სტატიაში განხილულია განსხვავებული განმარტებები ხელოვნური ინტელექტის შესახებ, მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის OECD-ს, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის მაღალი რანგის ექსპერტთა ჯგუფის განმარტებები და ასევე ჩვენეული განმარტება.

გაანალიზებულია ხელოვნურ ინტელექტის უდიდესი პოტენციალი, გარდაქმნას ეკონომიკა, განავითაროს ახალი ინდუსტრიები და ბიზნეს პროექტები, გაზარდოს მწარმოებლურობა, ცხოვრების დონე. მისი მეშვეობით შესაძლებელია რუტინული საქმის ავტომატიზირება, რაც გამოათავისუფლებს დროს კრეატიულ ამოცანებზე ფოკუსირებისთვის.

დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ბიზნეს განათლებას ენიჭება უდიდესი როლი შესაბამისი ცოდნა და უნარები ჩამოუყალიბოს სტუდენტებს. საჭირო ხდება მენეჯმენტის სასწავლო პროგრამების ფოკუსირება მომავლის ტექნოლოგიების გამოყენებაზე ბიზნესის სექტორში. საბოლოო მიზანი არის განვითარდეს ლიდერის უნარი გამოიყენოს ეს ტექნოლოგიები ბიზნესის ამოცანების სწორად გასაანალიზებლად, რომ მიიღოს დროული გადაწყვეტილებები კომპანიის წარმატების მისაღწევად ჰიპერკონკურენტულ გარემოში.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ბიზნეს განათლება, ჰიპერკონკურენტული გარემო.

**1. SSRN link: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4780635**

**2. Scopus link : https://www.scopus.com/record/display.uri?eid=2-s2.0-85190658987&origin=resultslist&sort=plf-f&src=s&sid=259f136809c4684059cfc5d716daf275&sot=a&sdt=a&s=aws&sl=3&sessionSearchId=259f136809c4684059cfc5d716daf275**

**ISSN: 15565068**
**DOI: 10.2139/ssrn.4780635**

# სადაზღვევო ხელშეკრულების რისკების განმსაზღვრელი ფაქტორები

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-18

**მარინე ხუციშვილი**
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
**E-mail: Mariam.khutsishvili@btu.edu.ge**

**რეზიუმე**

საზოგადოებრივი წარმოების პროცესი წყდება ან ირღვევა ბუნების სტიქიური ძალების დამანგრეველი მოქმედების შედაგად, ან სხვადასხვა ნეგატიური სიტუაციების შედეგად. ასეთი არასასურველი სიტუაციების შექმნა კანონზომიერი პროცესია და დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების წინააღმდეგობრივ ხასიათთან. საზოგადოებრივი წარმოების რისკის მაჩვენებელი წარმოქმნის ადამიანთა შორის ურთიერთობებს. არსებული ნეგატიური სიტუაციების გადასალახავად და ასევე მიყენებული ზარალის უპირობო ანაზღაუებას-ანუ დაზღვევას.

დაზღვევა გამოხატავს რა ეკონომიურ ურთიერთობებს, გვევლინება ეკონომიური კატეგორიად. დაზღვევის არსი მდგომარეობს მასში რომ ზარალი გადანაწილდება მრავალ დამზღვევებზე და მათი შენატანი შედარებით ნაკლებად დააწვება თითოეულ მათგანს. დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას მის მონაწილეებს შორის ფულადი შენატანების ხარჯზე მიზნობრივი სადაზღვევო ფონდის ფორმირებისა და მისი გამოყენების გამო ზარალის ასანაზრაურებლად და სადაზღვევო თანხების გადასახდელად. დაზღვევას საფუძვლად უდევს სადაზღვევო რისკი.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ურთიერთობა, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო გადასახდელი, სატარიფო განაკვეთი.

* * * *

სადაზღვევო რისკი არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა, მაგრამ უფრო ხშირად მის ქვეშგულისხმობენ იმ შემთხვევათა დადგომის ალბათობას, რომლებზედაც ხდება დაზღვევა. რისკი წარმოადგენს სადაზღვევო ურთიერთობათა წარმოშობის ობიექტურწანამძღვარს: თუ არ არის რისკი - არ არის მოთხოვნილება დაზღვევაზე. მაგრამ ყველარისკი არ შეიძლება საფუძვლად ედოს სადაზღვევო ურთიერთობებს. პრაქტიკაში ზარალის დადგომის ნაკლები ალბათობის დროს, ქონების პატრონი დაზღვევით დაინტერესებული არ არის (არ მოიძებნება, ვთქვათ, მსურველი დააზღვიოს თავისი ნაგებობანი მეტეორიტის ჩამოვარდნისაგან, თუმაცა თეორიულად ასეთი შემთხვევა შესაძლებელია), ხოლო ზარალის დადგომის ძალიან დიდი ალბათობისას ორგანიზაცია, რომელიც დაზღვევას ახორციელებს, იძულებულია თავისი ფინანსურისიმყარის დაცვისთვის ან უარი უთხრას დაზღვევას მიღებაზე, ან დააწესოს უმაღლესიტარიფები, რაც ზარალის ალბათობის შესაბამისი იქნება.

სადაზღვევო ტარიფები ესაა მოცემულ პერიოდში სადაზღვევო გადასახდელების თანხის ჯამიდან აღებული განაკვეთები, რომლებიც განისაზღვრება ერთნაირი რისკისმქონე საკმაოდ დიდი რაოდენობის სადაზღვევო ობიექტებზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი სტატისტიკური მონაცემების დახმარებით.

სადაზღვევო ტარიფები ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვევო საქმის წაუგებლობას, იგი, აგრეთვე, სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სიმყარის მაჩვენებელი-

ცაა. არსებითად სადაზღვევო ტარიფის სიდიდე კონკურენციისერთ-ერთი გამოვლენაა, ვინაიდან დამატებითი კლიენტურის მიზიდვისთვის სადაზღვევო კომპანიები ტარიფების მნიშვნელოვან შემცირებაზე მიდიან, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია სადაზღვევო ორგანიზაციის ფინანსური სტაბულურობა შეარყიოს; შედეგად სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ტარიფები უნდა ასახავდეს სადაზღვევო შემთხვევის (მოვლენის) დადგომის შესაძლებლობის რეალურ ხარისხს.

დამზღვევსა და დაზღვეულს შორის ურთიერთობა ნებაყოფლობით საფუძველზე (ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს)აიგება და დაზღვევის ხელშეკრულებით ფორმდება.

დაზღვევის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით დგება და განსაზღვრავს დამზღვევსა და დაზრვეულს შორის ერთიმეორის მიმართ ვალდებულების ძირითად წრეს. ვალდებულების ეს წრე რეგლამენტირდება არსებული კანონმდებლობით და დაზღვევის მოცემული რისკის საერთო პირობებით (წესებით), რომელიც არჩეულია დამზღვევის მიერ პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე, სხვა დამატებითი პირობებით,რომლებიც აუცილებელია დაზღვევის კონკრეტული ხელშეკრულების დადებისდროს. დაზღვევის ხელშეკრულების არსებობის დამამტკიცებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს დაზღვევის პოლისი (პირადი დაზღვევისას ხშირად იყენებენ ტერმინს: „დაზღვევის მოწმობა“).

პოლისი შეიცავს დაზღვევის ხელშეკრულების ყველა მნიშვნელოვან პუნქტს: დაზღვევის თანხას; დაზღვევის ობიექტს; სატარიფო განაკვეთს; დაზღვევისხელშეკრულების მოქმედების ვადას; ფრანშაიზას (ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად), ანუ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობას, რომელიც არ აღემატება გარკვეულ თანხას, და სხვა პუნქტებს.

დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას პირობების დამუშავებას ძალიან სერიოზულად და ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ამ პირობათა ნებისმიერ არაზუსტ ან არასრულ ფორმულირებას შეუძლია ერთ რომელიმე მხარეს მიაყენოს ზარალი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დაზღვევისხელშეკრულების ძირითადი პუნქტების შინაარსი. დამზღვევი ორგანიზაციას უწევს სადაზღვევო ფონდის ფორმირებას და გამოყენებას, იგი თავის თავზე იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ზარალი ან გადაიხადოს დაზღვევის თანხა დაზღვევისშემთხვავის დადგომისას. როგორც წესი, დამზღვევი წარმოდგენილია სპეციალური სადაზღვევო ორგანიზაციის იურიდიული პირის სახით, რომელსაც შეუძლია ჰქონდესსაკუთრების სხვადასხვა ფორმები და, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები (სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი, ამხანაგობა, კერძო კომპანია და ა.შ.).

დასაზღვევმა, დაზღვეულმა (სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელმა) უნდა იცოდეს, რომ სადაზღვევო ორგანიზაციის საქმიანობის მიზნის მიხედვით იგი შეიძლება იყოს კომერციული და არა კომერციული სადაზღვევო ორგანიზაცია. კომერციული სადაზღვევო ორგანიზაციის მიზანია სადაზღვევო ფონდის ფორმირებისა და გამოყენების საფუძველზე მოგების მიღება. ზოგიერთის აზრით,სადაზღვევო ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა სადაზღვევო დაცვის აღმოჩენა და მას მოგების მიღებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მაგრამ ასეთი აზრი სწორი არ არის. კომერციული სადაზღვევო საქმიანობა მოგების მიღების გარეშე აზრს კარგავს. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სადაზღვევო ორგანიზაციები კომერციულ საწყისებზე ფუნქციონირებენ.

კომერციულ სადაზღვევო ორგანიზაციას მოგების მიღების ორი ძირითადი წყარო გააჩნია, რომლებიც შეესაბამება თვით სადაზღვევო საქმიანობის სახეებს. ესენია:

ჯერ ერთი, საკუთრივ სადაზღვევო და მეორე, კომერციული. სადაზღვევო საქმიანობის მიზანია დაზღვევის მსურველთა სადაზღვევო დაცვა, დამზღვევის კომერციული საქმიანობის კი - მომგების მიღება. სადაზღვევო საქმიანობამაც შეიძლება მოგება მოიტანოს, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანიც კი, მაგრამ მისი მიღება სავალდებულოსარ წარმოადგენს.

კომერციული საქმიანობა სადაზღვევო რისკთან არის დაკავშირებული და სადაზღვევო პროცესში სახსრების წრებრუნვის ალბათობის ხასიათს ემყარება, ვინაიდან დამზღვევის ანგარიშზე

დასაზღვევის (დაზღვეული) გადასახდელების მოსვლის მომენტიდან მათ გადახდამდე გარკვეული დრო გადის. დაზღვეულის სახსრების დამზღვევთან შენახვის ხანგრძლივობა, უწინარეს ყოვლისა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადით განისაზღვრება. დაზღვევის ვადა შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი იყოს, მაგალითად, პირად დაზღვევაში ცნობილია ხელშეკრულება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც ფულის კურსის ინფლაციის პირობებში დაზღვეულისთვის სასარგებლო არ არის; ქონებრივ დაზღვევაში კი - უვადო ხელშეკრულება. გარდა იმისა, დამზღვევი ახდენს სამარაგო და სარეზერვო ფონდების ფორმირებას, რომელთა სახსრები ათწლეულების განმავლობაში შეიძლება არ იქნეს გამოყენებული. ყოველივე ეს ობიექტურ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ დამზღვევი მოცემული ქვეყნის სასესხო ფონდის ფორმირებასა და სხვადასხვა კომერციული ოპერაციების განხორციელებაში მონაწილეობდეს. გარდა ამისა, სადაზღვევო ასანაზღაურებლის გადახდის შემდეგ დამზღვევზე გადადის დაზღვეულის უფლებები მესამე პირის მიმართ, რომელიც დამნაშავეა ზარალის მიყენებაში. ამრიგად, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია იქცეს მოძრავი ქონების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ა.შ. მფლობელად.

კომერციული საქმიანობის სფეროს განსაზღვრავს დამზღვევი. იგი პირველ რიგში ორ ფაქტორს ითვალისწინებს: მის ხელთ არსებული სახსრების მობილურობას და ბაზრისკონიუქტურას.

სახსრების მობილურობა განისაზღვრება ძირითადი დაზღვევის განხორციელებული სახეებით. ასე, მაგალითად, დამზღვევი, რომელიც სპეციალიზდება სიცოცხლის დაზღვევაზე, კომერციული კომერციული ოპერაციებისთვის სახსრებს განაგებს ხანგრძლივი ციკლით (ხანგრძლივვადიანი კრედიტების გაცემა, სახსრების ინვესტირება უძრავ ქონებაში და ა.შ.) - ქონების დაზღვევაში, უბედური შემთხვევებისდაზღვევის დროს, პასუხისმგებლობის დაზღვევაში ჭარბობს მოკლევადიანი ხელშეკრულებები. ამ სახის დაზღვევების მიხედვით სამარაგო ფონდები არც თუ ისე დიდია, ხოლო არასახარბიელო წლებში დაზღვევის ასანაზღაურებელმაგადასახდელებმა შეიძლება დიდ მოცულობას მიაღწიოს. (მაგალითად, მიწისძვრის, დიდი ხანძრების და სხვათა დროს). ამიტომ დაზღვევის სახსრები, რომლებიც მოკლევადიან დაზღვევას ახორციელებენ, ისე უნდა იქნენ განთავსებული, რომ გადასახდელების უცაბედი, მოულოდნელი მოთხოვნილების გაჩენის შემთხვევაში ისინი სწრაფად შეაგროვონ. ასეთი დამზღვევები ცდილობენ სახსრები ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებში დააბანდონ.

ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისას, სახსრების დაბანდების მიზნით, დამზღვევს ორიენტაცია უნდა ჰქონდეს სახსრების შენახვასა და საკმაოდ მაღალ მოგებაზე, ვინაიდან იგი საქმეში აბანდებს თანხებს, რომლებიც ადრე თუ გვიან შეიძლება დაზღვეულისთვის უკან დასაბრუნებლად დასჭირდეს.

დამზღვევის სახით შეიძლება გამოდიოდეს, აგრეთვე, სახელმწიფო დამზღვევი ორგანიზაციები. როგორც წესი, მათი ოპერაციები კომერციულ ხასიათს ატარებს. დასავლეთის ქვეყნებში სახელმწოფო სადაზღვევო ორგანიზაციები პასუხისმგებლობის ტრადიციულ სახეობებთან ერთად, თავიანთ თავზე ღებულობენ, აგრეთვე, ისეთი რისკების შესახებ პასუხისმგებლობას, რომლებიც სარგებლიანი არ არის კერძო დამზღვევებისთვის, მაგრამ რომელთაც აქვთ განსაზრვრული სოციალურიმნიშვნელობა.

სადაზღვევო ხელშეკრულების მეორე მონაწილე- დაზღვეული - წარმოადგენს სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელს. დაზღვეული შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სადაზღვევო კონონმდებლობას, აგრეთვე, დაზღვევის კონკრეტული სახეების წესებსა და პირობებს.

დაზღვეული ვალდებულია დროულად შეიტანოს სადაზღვევო გადასახდელები და უფლება ჰქონდეს სადაზღვევო შემთხვევის დროს მიიღოს სადაზღვევო ანაზრაურება (სადაზღვევო თანხა) ან უზრუნველყოს მესამე პირისთვის მისი მიღება.

თავის დამზღვევი კომპანიები თავიანთ თავზე იღებენ რისკის იმ ნაწილს, რომელიც არშეუძ-

ლიათ უზრუნველყონ არა მარტო პირდაპირ დამზღვევთა სიმყარე, არამედ სადაზღვევო ბაზრის სიმყარე მთლიანად. დიდი რისკები ერთი კომპანიიდან გადაეცემა მეორეს იმდენჯერ, რამდენჯერაც აუცილებელია სრული სიმყარის მისაღწევად კატასტროფული ზარალის შემთხვევაშიც კი. ამრიგად, რისკი განაწილდება არა მარტო ერთი სადაზღვევო კომპანიის შიგნით, არამედ ნაწილდება თავის დამზღვევის რამდენიმე სადაზღვევო ერთობლიობად (პორტფელებად). უდიდესი მნიშვნელობა აქვს საიმედო თავის დამზღვევის პოვნას, ვინაიდან დაზღვეულის წინაშე უშუალო პასუხისმგებლობა აკისრია დამზღვევს, რომელმაც თავის თავზე აიღო დაზღვევის რისკი. თუ რთული ფინანსური მდგომარეობის გამო, თავის დამზღვევს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულება, მაშინ დაზღვეულისთვის მთელი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა დამზღვევს ევალება.

სადაზღვევო ბაზრის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამზღვევებისსხვადასხვა გაერთიანებები - კავშირები და ასოციაციები. მათი დანიშნულება სხვადასხვა ხასიათისაა: მარკეტინგული საქმიანობა, ინფორმაციის შეგროვება, დოკუმენტების უნიფიკაცია, იურიდიული პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ.

სადაზღვევო ბაზარზე დამზღვევები და სადაზღვევო მომსახურების მომხმარებლები ფორმალურად თავისუფალ სუბიექტებს წარმოადგენენ. ისინი დამოუკიდებელი (ავტონომიური) არიან სადაზღვევო მომსახურების მიწოდების ან ყიდვის გადაწყვეტილების მიღების შესახებ. სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნილების განსაზღვრისას მომხმარებელმა უნდა შეაფასოს სარისკო სიტუაცია, რომელშიც მას დასჭირდება სადაზღვევო დაცვა, ე.ი. მან უნდა შეაფასოს ზარალის ალბათობის სიხშირე და სიმძიმე. რისკის სიდიდის შეფასების და მასთან ბრძოლის სტრატეგიის გამომუშავების უნარი წარმოადგენს ფინანსური მენეჯერის პროფესიული მომზადების განუყოფელ ელემენტს. გაარკვევს რა სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნილებას, დამზღვევი მიმართავს ბაზარს, სადაც მისი სუბიექტური მოლოდინები ხვდება რეალურად შეთავაზებულ სადაზღვევო მომსახურებას.

## დასკვნა

სადაზღვევო მომსახურების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა დამზღვევისთვის რეალურად შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მხოლოდ დამზღვევებს შორის კონკურენციის პირობებში. დამზღვევებს შორის კონკურენცია გამოვლინდება ძირითადად შემდეგი მიმართულებით: დაზღვევის ახალი სახეების მიწოდება (შეთავაზება) ახალი მოთხოვნილებების წარმოშობის საფუძველზე; დაზღვევის ხელშეკრულებების დამუშავება რისკის სხვადასხვა კომბინაციებით ისე, რომ დასაზღვევს შეეძლოს შეარჩიოს მისი კუთვნილი ობიექტებისთვის ყველაზე მოსახერხებელი დაზღვევა; შემცირებული სადაზღვევო ტარიფები სხვა დამზღვევებისმიერ შეთავაზებულ სადაზღვევო მომსახურების ფასთან შედარებით (იმავე პასუხისმგებლობისა და იმავე რისკის პირობებში); სადაზღვევო ხელშეკრულების ანაზღაურების ხელსაყრელი ფორმები; დასაზღვევო მომსახურების უფრო მაღალი ხარისხი.

**გამოყენებული ლიტერატურა**

**1. კაკაშვილი ნ.** დაზღვევა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, თბილისი, 1998 წ. (ავტორეფერატი)

**2. ჯაყელი კ.** დაზღვევის ეკონომიკური საფუძვლები, თბილისი, 2000 წ.

**3. ჟვანია ნ.** სადაზღვევო ბაზარი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში.

**4. კალანდაძე ლ., ცერცვაძე ა., დავითაშვილი ლ.** სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1999 წ.

5. Insurace Law. Doctrines and Principles Lowry J.P. London Publishing, 2005

6. General Principles of Insurance Law. Hardy Ivamy E.R. London: Butterworth's Law, 1993

**REFERENCES:**

1. Kakashvili N. Insurance in the conditions of transition to the market economy of Georgia, Tbilisi, 1998. (abstract)

2. Jackeli K. Economic foundations of insurance, Tbilisi, 2000.

3. Zhvania N. Insurance market in transition economy of Georgia.

4. Kalandadze L., Tsertsvadze A., Davitashvili L. Explanatory dictionary of insurance terms, Tbilisi, 1999.

5. Insurance Law. Doctrines and Principles Lowry J.P. London Publishing, 2005

6. General Principles of Insurance Law. Hardy Ivamy E.R. London: Butterworth's Law, 1993

## FACTORS DETERMINING THE RISKS OF AN INSURANCE CONTRACT

**Marine Khutsishvili**
PhD OF BUSINESS ADMINISTRATION
E-mail: Mariam.khutsishvili@btu.edu.ge

**RESUME**

The process of public production is interrupted or disrupted as a result of the destructive action of natural forces or as a result of various negative situations. The creation of such undesirable situations is a regular process and is connected with the contradictory nature of public production. The risk indicators should also be discussed. In order to overcome the existing negative situations, as well as to provide unconditional compensation for the caused damage, insurance certainly plays a crucial role.

Insurance expresses what kind of economic relations act as economic categories.

The essence of the insurance is that the damage will be distributed among many insurers, and their contribution will be relatively small for each of them. Moreover, Insurance is a set of economic relations between its participants, caused by the formation of a target insurance fund and its use in order to cover losses and pay insurance sums. Insurance risk lies in the basis of insurance.

**Key Words:** Economic relationship, insurance amount, insurance payment, insurance rate.

# კიბერუსაფრთხოების როლი ციფრული პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციურ განვითარებაში

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-23

**ნინო ბენდიანიშვილი**
პროფესორის ასისტენტი, სტუ
E-mail: bendianishvili.nino@gtu.ge

**რეზიუმე**

ციფრული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების საფრთხეების გაანალიზება, რაც მზარდ გავლენას ახდენს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა განსხვავდება ახალი თაობის საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების ტენდენციებისგან, რომლებიც ქმნიან უსაფრთხოების ფართო გამონაკლისებს და შექმნილია საერთაშორისო ვაჭრობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის ბალანსის აღსადგენად. თუმცა, ეს ახალი მიდგომები შესაძლოა არ იყოს დაცული პოტენციური ბოროტად გამოყენებისგან. [1]

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ზრდის თავდასხმების რისკს, რაც ორგანიზაციებს უფრო მგრძნობიარეს ხდის კიბერ საფრთხეების მიმართ. რაც უფრო მეტი მოწყობილობა, სისტემა და ქსელია ურთიერთდაკავშირებული, მით უფრო იზრდება წარმატებული კიბერშეტევების რისკი. რაც შეეხება საქართველოს კიბერსაფრთხოების პოლიტიკას, უმთავრეს გამოწვევად რჩება შემდეგი: კიბერუსაფრთხოების პროაქტიული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, სახელმწიფო უწყებებში კიბერცნობიერების ამაღლება, კადრების პრობლემა და კიბერუსაფრთხოების არაპრიორიტეტულობა. [2]

დღევანდელ სწრაფად განვითარებად ციფრულ გარემოში, ორგანიზაციები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც ცნობილია, როგორც ციფრული ტრანსფორმაცია. ტერმინი „ციფრული ტრანსფორმაცია" აღნიშნავს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას კორპორატიული ოპერაციების ყველა ასპექტში, რაც ღრმა გავლენას ახდენს კომპანიების ფუნქციონირებასა და ღირებულებაზე.მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ტრანსფორმაციას უამრავი შესაძლებლობა და სარგებელი მოაქვს, თან სდევს კიბერუსაფრთხოების უამრავი გამოწვევა. დიდია კიბერუსაფრთხოების როლი და მნიშვნელობა უსაფრთხო ციფრული ტრანსფორმაციის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:**კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა კონფიდენციალურობა, კიბერუსაფრთხოების სტრატეგია.

**შესავალი**

ინფორმაციის გაზიარების გაზრდა, თანამშრომლობის ხელშეწყობა (მათ შორის საერთაშორისო დონეზე) და მიწოდების მხარეზე უსაფრთხოების პრინციპების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანი გზებია კიბერპოლიტიკის განსახორციელებლად. [3]

სანამ კიბერუსაფრთხოების როლს უფრო ღრმად ჩავუღრმავდებით, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რას გულისხმობს ციფრული ტრანსფორმაცია. ციფრული ტრანსფორმაცია მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მიღებას, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, გამოთვლები, დიდი მონაცემების ანალიტიკა და ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება მომხმარებლისთვის პირობების გასაუმჯობესებლად. ეს საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს იყვნენ უფრო მოქნილი, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ციფრულ ეპოქაში.

არსებობს კიბერუსაფრთხოების გაზრდილი რისკები ციფრულ ტრანსფორმაციაში: კიბერკ-

რიმინალები მუდმივად ეძებენ მოწყვლადობას ექსპლუატაციისთვის და ციფრული ტრანსფორმაცია მათ ახალ შესაძლებლობებს აძლევს. მონაცემთა დარღვევა, გამოსასყიდი პროგრამული თავდასხმები და ინსაიდერული საფრთხეები არის კიბერუსაფრთხოების რისკი, რომელსაც აწყდებიან ორგანიზაციები ციფრული ტრანსფორმაციის დროს.

## ძირითადი ტექსტი

კიბერუსაფრთხოების სექტორში ამჟამად ყველაზე დიდი გამოწვევა არის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტებსა და გაიდლაინებში ინტეგრირება. ასევე საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელი, რაც გულისხმობს კიბერუსაფრთხოების პროფესიონალების ნაკლებობას საჯარო სექტორში და კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რაც ფოკუსირებულია კიბერდანაშაულზე. [4]

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველი, გულისხმობს შემდეგს: უსაფრთხო ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს პროაქტიულ და ყოვლისმომცველ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას. ციფრული ტრანსფორმაციის ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს გამყარებული ძლიერი კიბერუსაფრთხოების ზომებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სენსიტიური მონაცემებისა და კრიტიკული სისტემების მთლიანობა, კონფიდენციალობა და ხელმისაწვდომობა.

ორგანიზაციებმა პროდუქტებისა და სერვისების წარმოებისას პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ კიბერუსაფრთხოების შემდეგ მიდგომებს: 1) რისკის შეფასება და მართვა - ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ რისკების რეგულარული შეფასება, რათა გამოავლინონ ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივებთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხე და რისკები. 2) უსაფრთხო დიზაინის მიდგომა - უსაფრთხოება თავიდანვე უნდა იყოს ჩართული ციფრული ტექნოლოგიების, სისტემებისა და აპლიკაციების დიზაინში. 3) ძლიერი ავტორიზაცია და წვდომის კონტროლი - მრავალეტაპიანი ავთენტიფიკაცია, ასევე მკაცრი კონტროლი გადამწყვეტია მონაცემების დასაცავად და არაავტორიზებული წვდომის შეზღუდვისთვის. 4) ძლიერი ქსელის უსაფრთხოება-როდესაც ორგანიზაციები აფართოებენ თავიანთ ციფრულ ინფრასტრუქტურას, მათი ქსელების დაცვა უმნიშვნელოვანესია. 5) მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა - დაშიფვრის, მონაცემთა კლასიფიკაციისა და კონფიდენციალურობის დაცვის ტექნიკა უნდა იყოს გამოყენებული სენსიტიური მონაცემების დასაცავად. მონაცემთა დაცვის შესაბამისი რეგულაციების გაზიარება, როგორიცაა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR - General Data Protection Regulation), აუცილებელია. 6) უწყვეტი მონიტორინგი და საფრთხის დაზვერვა - ორგანიზაციებმა უნდა შექმნან უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი (SOC - Security Operations Center) და განახორციელონ რეალურ დროში მონიტორინგი, საფრთხეების დაზვერვა და ინციდენტებზე რეაგირება. ეს კიბერ საფრთხეების პროაქტიული გამოვლენის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასა და პარტნიორობას, ამ სფეროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კიბერუსაფრთხოება მხოლოდ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ. გარე პარტნიორებთან თანამშრომლობა, როგორიცაა კიბერუსაფრთხოების სერვისის პროვაიდერები, ინდუსტრიული ასოციაციები და სამთავრობო უწყებები, აძლიერებს ორგანიზაციის უნარს დაიცვას კიბერ საფრთხეები. საფრთხეების დაზვერვის, საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების გაზიარება აძლიერებს კოლექტიური კიბერუსაფრთხოების მდგრადობას ციფრული ტრანსფორმაციის დროს.

## დასკვნა

ტექნოლოგიები განაგრძობენ განვითარებას და ახალი ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივების გაჩენას. კომპანიები უნდა იყვნენ მოქნილნი თავიანთი კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების მართვაში. ხელოვნურ ინტელექტს და ავტომატიზაციას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაში. თანამშრომლების უწყვეტი ტრენინგი და

ცნობიერების ამაღლების პროგრამები უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციები ფხიზლად იყვნენ განვითარებადი კიბერ საფრთხეების წინააღმდეგ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ციფრული ტრანსფორმაცია უზარმაზარ შესაძლებლობებს სთავაზობს ორგანიზაციებს გააუმჯობესონ სამუშაოს ეფექტურობა, გააძლიერონ მომხმარებელთა გამოცდილება და მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა. თუმცა, კიბერუსაფრთხოების ადეკვატური ზომების გარეშე, ამ მიღწევებს მნიშვნელოვანი რისკები მოჰყვება. ორგანიზაციებმა უნდა აღიარონ კრიტიკული როლი, რომელსაც კიბერუსაფრთხოება ასრულებს მათი ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივების დაცვაში. კიბერუსაფრთხოებისადმი პროაქტიული და ყოვლისმომცველი მიდგომით, კომპანიებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ნდობა, დაიცვან კონფიდენციალური მონაცემები და უზრუნველყონ უსაფრთხო და წარმატებული ციფრული გარემო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1) „Digital Economy and National Security: Contextualizing Cybersecurity-Related Exceptions“, Published online by Cambridge University Press: 08 May 2023, p.6;

2) ჯღარკავა ი., „საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ. 2021, გვ. 30;

3) „Enhancing the Digital Security of Products“, Published on February 09, 2021, In series:OECD Digital Economy Papers, p.88;

4) „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“, თბ. 2022, TWINNING, გვ.19.

**REFERENCES:**

1) „Digital Economy and National Security: Contextualizing Cybersecurity-Related Exceptions“, Published online by Cambridge University Press: 08 May 2023, p.6;

2) Jgharkava I., “Georgia’s Cyber Security Policy, Challenges and Opportunities”, Georgia 2021, p. 30;

3) „Enhancing the Digital Security of Products“, Published on February 09, 2021, In series: OECD Digital Economy Papers, p.88;

4) “Supporting Opportunities for Intersectoral Cooperation in Research and Between the Industry”, Georgia 2022, TWINNING, p.19.

# THE ROLE OF CYBER SECURITY IN THE INNOVATIVE DEVELOPMENT OF DIGITAL PRODUCTS AND SERVICES

**Nino Bendianishvili**
Professor's Assistant, GTU
E-mail: bendianishvili.nino@gtu.ge

**RESUME**

Given the modern challenges of the digital economy, it is important to analyze cyber security threats, which increasingly affect national security. Addressing cyber security concerns is different from the trends in the new generation of international trade agreements, which create broad security exceptions and are designed to restore balance between international trade and national security. However, these new approaches may not be immune to potential abuse. [1]

The rapid development of digital technologies increases the risk of attacks, making organizations more susceptible to cyber threats. The more devices, systems and networks are interconnected, the greater the risk of successful cyber attacks. As for Georgia's cyber security policy, the following remain the main challenges: establishing a proactive state cyber security policy, raising cyber awareness in state agencies, staffing problems, and non-priority of cyber security. [2]

In today's rapidly evolving digital environment, organizations are undergoing a major change known as digital transformation. The term "digital transformation" refers to the integration of digital technologies into all aspects of corporate operations, which has a profound impact on the performance and value of companies. While digital transformation brings many opportunities and benefits, it also brings many cybersecurity challenges. The role and importance of cyber security in ensuring a secure digital transformation is huge.

**Keywords:** Ensuring Cyber Security, Digital Transformation, Data Privacy, Cyber Security Strategy.

# საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-27

**ხათუნა შალამბერიძე**
ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარება, მნიშვნელოვანი წინაპირობაა თავისუფალი და კონკურენტული გარემოს შექმნისა, რომელიც ბუნებრივია, უზრუნველყოფს ქვეყანაში კაპიტალისა და ინვესტიციების საჭიროებას. იგი გახდება ეფექტიანი, ინოვაციური, მაღალ შედეგებზე ორიენტირებული და ეკონომიკის განვითარების გარანტი. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას კაპიტალის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და სასურველ სიტუაციასთან შედარების შედეგად გამოვლენილი აცდენების ანალიზის გზით, მოხდეს ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირება. სექტორში არსებული სიტუაციის დიაგნოსტიკა ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, აზიის ბანკის და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის ფარგლებში გაკეთებულ კაპიტალის ბაზრის განვითარების შესახებ მიმოხილვის დასკვნებს. აღნიშნული დასკვნები ასევე იქნა გამოყენებული ძირითადი პრობლემის გამომწვევი ფაქტორების და უარყოფითი შედეგების დასადგენად.

საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის დანიშნულებაა შექმნას უმნიშვნელოვანესი სამოქმედო მექანიზმი კაპიტალის ბაზრის კოორდინირებული და თანამიმდევრული განვითარებისათვის. სტრატეგია მიმოიხილავს კაპიტალის ბაზრის მიმართულებით არსებულ ვითარებას, სფეროში არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს. სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს კაპიტალის ბაზრის სტრატეგიულ პოზიციას და მომავალ მიმართულებას მომდევნო წლების განმავლობაში. კაპიტალის ბაზრის სტრატეგია განსაზღვრავს ახალი საზედამხედველო, მარეგულირებელი და საკანონმდებლო აქტების თანამიმდევრული შემოღების ჩარჩოს, რაც მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეებისათვის გამჭვირვალე და განჭვრეტად გარემოში ოპერირებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** კაპიტალის ბაზრის სტრატეგია; ბაზრის მონაწილეებისათვის მასტიმულირებელ გარემოში ოპერირება; ეკონომიკის განვითარების გარანტი.

**შესავალი**

განვითარებული კაპიტალის ბაზრისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი საზედამხედველო პოლიტიკა. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ზედამხედველობს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, და ზოგადად ფინანსურ ბაზარს საქართველოში, 2021 წელს გახდა ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი წევრი. აღნიშნული ზედამხედველის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორის რეპუტაციას ამაღლებს. ამასთან, ორგანიზაციის მუდმივი წევრობა გააფართოებს საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის შესაძლებლობას, ხოლო ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს სხვა ქვეყნების რეგულატორებთან ურთიერთთანამშრომლობისა და შესაბამისი ინფორმაციის მიმოცვლის მეშვეობით, კაპიტალის ბაზრის ეფექტიანი ზედამხედველობა უზრუნველყოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარების მრავალი სტანდარტი ზუსტად მათ მიერ გამოქვეყნებულ პრინციპებს ეფუძნება, რომლებთანაც დაახლოება წარმოდგენილი სტრატეგიის ფარგლებში გაგრძელდება.

კაპიტალის ბაზრის სტრატეგიის შემუშავება მიმდინარეობდა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, კერძო სექტორის წარმომადგენლების, აზიის განვითარების ბანკის ექსპერტებისა და კონსულტანტების აქტიური ჩართულობით, ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, პარტნიორი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით შემუშავებული საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების განხილვისა და მოსაზრებების მიღების მიზნით.[1]

სტრატეგია შესაბამისობაშია ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან, რომლებთანაც დაახლოება სავალდებულოა საქართველოს მხარისათვის შეთანხმების საფუძველზე. კერძოდ, სტრატეგია ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის, როგორც საინვესტიციო ფონდების, კერძო საპენსიო სქემების, ასევე ფასიანი ქაღალდების სხვა მარეგულირებელ დირექტივა/რეგულაციებთან შესაბამისობას. ამის გარდა, საქართველოს ამჟამინდელი კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი ჩარჩო უკვე დიდწილად შესაბამისობაშია არა მხოლოდ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან, არამედ სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებთან.

**ძირითადი ტექსტი**

გავეცნოთ სტრატეგიის მიზნებს. კერძოდ, *მიზანი პირველი* - კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. კაპიტალის ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების განვითარება გულისხმობს მოცემულ ეკონომიკურ პირობებში ახალი ფასიანი ქაღალდების ემისიების ხელშეწყობას, რათა ეკონომიკურმა სუბიექტებმა შეძლონ კაპიტალის ეფექტიანად მოზიდვა და ინვესტორებმა შეძლონ თავიანთი ფინანსური დანაზოგების ინვესტირება შესაბამის რისკზე მოთხოვნილებების გათვალისწინებით. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკის ფინანსური რესურსის უკეთ მობილიზებას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

*მიზანი მეორე* - კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის. ინვესტორთა ბაზის განვითარება გულისხმობს კაპიტალის ბაზარზე სხვადასხვა სახეობის ახალ ინვესტორთა წარმოქმნას და კაპიტალის ბაზარზე ინვესტორთა ჩართულობის გაზრდას. შედეგად მივიღებთ კაპიტალის ბაზრის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოთხოვნის გაზრდას, რაც მნიშვნელოვანია ზოგადად ბაზრის განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს ამ ინსტრუმენტების მიწოდების ზრდას. შესაბამისად, კაპიტალის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე გაიზრდება მოცულობა და ლიკვიდურობა. ზოგად ეკონომიკურ ჭრილში, ინვესტორთა ბაზის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსური რესურსის მობილიზებას ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ამ მხრივ, სტრატეგია ითვალისწინებს ინვესტორთა ბაზის განვითარებასთან მიმართებით დაბრკოლებების შემცირებას და ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ყურადღება გავამახვილოთ პრობლემის გამომწვევ ფაქტორებზე. კერძოდ: ეკონომიკის ამჟამინდელი ზომა, კორპორატიული სექტორის ფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად ზღუდავს ფასიანი ქაღალდების, როგორც ობლიგაციების, ისე აქციების ემისიებს;

ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის ნაკლებობა აფერხებს ფასიანი ქაღალდების, როგორც ობლიგაციების, ისე აქციების ემისიების განვითარებას;

სტაბილური ბენჩმარკ შემოსავლიანობის მრუდის არ არსებობა დაბრკოლებას წარმოადგენს ინსტიტუციურ და საცალო ინვესტორთა ბაზის განვითარებისთვის;

ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე უცხოური ინვესტორების ნაკლებობა ზღუდავს ინვესტორთა ბაზრის განვითარებას.

კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალ დონეს, გარდაუვლად მოჰყვება მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები. თუ კაპიტალის ბაზარი დარჩება განვითარების დაბალ დონეზე, ეკონომი-

**1 წყარო: საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია**

კური ზრდის დონეც ვერ მიაღწევს სრულ პოტენციალს. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ შეზღუდულია ეკონომიკაში არსებული ფინანსური რესურსის ეფექტიანი მობილიზების დონე, რაც იწვევს ინვესტიციის შეზღუდვას და ეკონომიკური ზრდის შენელებას. განვითარებული კაპიტალის ბაზარი ასევე წარმოადგენს კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ გზას მეწარმეებისათვის, რომლის არ არსებობის შემთხვევაში, კერძო სექტორის დაფინანსების თვალსაზრისით იქმნება არაკონკურენტული გარემო, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია სექტორში ინოვაციის ჩახშობასთან და ფინანსური პროდუქტების მომხმარებლისთვის არაეფექტიან ფასწარმოქმნასთან. კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალ დონეს უარყოფითი შედეგი ასევე გააჩნია სახელმწიფოს მდგრადი დაფინანსების თვალსაზრისით. კერძოდ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი ბაზრის შედარებით მცირე როლი სახელმწიფოს დაფინანსების თვალსაზრისით ხდის სახელმწიფოს იძულებულს, სასურველზე მეტად დაეყრდნოს უცხოურ ფინანსურ ბაზრებს თავისი საჭიროებების დასაფინანსებლად, რომლის შედეგადაც იღებს არასასურველ სავალუტო რისკს. კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახეობის, რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის, იგივე მიწოდების ზრდა. ეს კი ხელს შეუწყობს სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ამისათვის ასევე აუცილებელია სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების ემისიების შენარჩუნება.

როგორც სახელმწიფო სტრატეგიიდან ვგებულობთ, იგი გეგმავს ბენჩმარკ ბონდების გამოშვების პოლიტიკის გაგრძელებას. დასრულდება პირველადი დილერების პროგრამა და მოხდება უკუგამოსყიდვის პროგრამის დანერგვის უპირატესობების შესწავლა. ასევე გადაიხედება ღია ბაზრის ოპერაციების პოლიტიკა FSAP-ის რეკომენდაციების შესაბამისად და საჭიროების გათვალისწინებით განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. გაკეთდება შეფასება სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებით. საცალო ინვესტორებისათვის კი გამარტივდება წვდომა სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების შეძენის კუთხით.

კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს კომპანიების დაფინანსების ინსტრუმენტების დივერსიფიცირებას. ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული სექიურითიზაციის სამართლებრივი ჩარჩო დაეხმარება არასაფინანსო კომპანიებს, რომლებიც ეძებენ დაფინანსებას საკუთარი პროგნოზირებადი შემოსულობების გაყიდვით. ამასთანავე, გაგრძელდება იპოთეკით დაცული ობლიგაციების ბაზრის განვითარება, რაც საფინანსო სექტორისათვის იქნება ხელსაყრელი ინსტრუმენტი იაფი დაფინანსების მისაღებად (იპოთეკით უზრუნველყოფილი პორტფელი გაზრდილი რეიტინგის შესაძლებლობას აჩენს, რაც, თავის მხრივ, აიაფებს კაპიტალის მოზიდვას). ასევე ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტების განვითარების მიზნით, გაგრძელდება უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდის ბაზრის ანალიზი.[1]

სააქციო ბაზრის განვითარება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორს, მოიპოვოს დაფინანსება ალტერნატიული გზით, ხოლო, მეორე მხრივ, წვდომას გაუხსნის ინვესტორებს უფრო მრავალფეროვან პროდუქტებზე. პარალელურად, ლარიზაციის პოლიტიკის გატარება, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი საწარმოების მხრიდან აქციების ადგილობრივად გამოშვებას და აგრეთვე ინვესტორების მიერ მათ შეძენას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საცალო ინვესტორთათვის სააქციო ბაზრის ხელმისაწვდომობის ზრდა, რასაც ხელი შეეწყობა თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვითა და სააქციო ბაზრის შესახებ ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელებით. გრძელვადიან პერსპექტივაში, ასევე შეფასდება კომერციული ბანკების მიერ ბირჟის მფლობელობის საკითხი და ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტი შუამავლებთან დაკავშირებით. შემუშავდება პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საწარმოებს და მოახდენს იმ საწარმოების იდენტიფიცირებას, რომელთა პრივატიზება იქნება შესაძლებელი წილობრივი საჯარო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით.

ასევე, საფინანსო სექტორის განვითარებისა და ბაზარზე მრავალფეროვანი ინსტრუმენტების

1 წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ღია ბაზრის ოპერაციები https://shorturl.at/abqIP

გაჩენის უზრუნველსაყოფად, შემუშავდება მარეგულირებელი ჩარჩო ფაქტორინგისათვის, რომელიც ფაქტორინგული კომპანიების საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის სამუშაო კაპიტალის მოზიდვას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, განახლდება ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული რეგულაციები, კერძოდ, მცირე საწარმოთათვის დაშვებული იქნება ე. წ. სახალხო დაფინანსების მექანიზმებით ფინანსების მოზიდვა.

ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე მომდევნო წლებში პრიორიტეტული იქნება ინვესტორთა ბაზრის განვითარება, მოთხოვნის ზრდა ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის დივერსიფიცირება და მათთვის სტიმულირების მექანიზმების დანერგა. კაპიტალის ბაზარზე ინვესტორები ძირითადად არიან კომერციული ბანკები, რომლებიც სასესხო ფასიან ქაღალდებს მათთვის დამაკმაყოფილებელი რეიტინგის შემთხვევაში იძენენ, რეპო ტრანზაქციით აგირავებენ ეროვნულ ბანკში და, შესაბამისად, იზიდავენ იაფ კაპიტალს. პირველადი დილერების პროგრამის სრულფასოვანი დანერგვითა და ბაზარზე მეტი საინვესტიციო ფონდის გამოჩენით უნდა გაიზარდოს მეორადი ბაზრის მიმართ ინტერესი, შედეგად კომერციული ბანკის გარდა, სხვა ინვესტორების დაინტერესებაც გაიზრდება ემისიებში. საჭირო გახდება არსებული რეგულაციის გადაფასება და ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით ნეიტრალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. პორტფელური ინვესტიციების განვითარების ხელშესაწყობად და საერთაშორისო ინვესტორთა მოზიდვის მიზნით, შეიქმნება ფინანსური ცენტრი, რომელიც საერთაშორისო კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას, საქართველოდან გასწიონ მომსახურება აქტივების მართვის, დაგროვილი კაპიტალის, სასაქონლო ვაჭრობისა და ფინტექ სერვისების მიმართულებით. ამგვარი ცენტრის ფუნქციონირებისა და ინვესტორთა მოზიდვისათვის შემუშავდება საჭირო სამართლებრივი და ფისკალური ჩარჩო. ასევე განვითარდება ტრასტების სამართლებრივი ჩარჩო, რაც ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფს ტრასტის მექანიზმით ქონების მისი სურვილისა და საჭიროებისამებრ მართვის შესაძლებლობას და ქართულ ბაზარზე გააჩენს ქონების/კაპიტალის და მასთან დაკავშირებული გადასახადების დაგეგმვის საუკეთესო შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებლობა მიმზიდველს გახდის ქართულ ბაზარს უცხოელი ინვესტორებისათვის, რომ საქართველოდან მართონ აქტივები.[1]

## დასკვნა

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით ძირითად პრობლემას ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინვესტორთა ბაზის განვითარების თვალსაზრისით კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონე წარმოადგენს. საუკეთესო პრაქტიკების ანალიზის შედეგად, პრობლემასთან მიმართებით გამოიკვეთა პოლიტიკის სამი ალტერნატივა - ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება; ადგილობრივი კომპანიების და ინვესტორებისთვის საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე მოხერხებული და კარგად მართული წვდომის ხელშეწყობა და რეგიონალური ინტეგრაცია.

განხილული მასალიდან გამოიკვეთა რომ: კაპიტალის ბაზრის განვითარებით გაჩნდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და დანაზოგების ალტერნატიული და უფრო მოქნილი ინსტრუმენტები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკაში რესურსების ეფექტიან ალოკაციას და დაეხმარება ეკონომიკის მდგრად განვითარებას. კაპიტალის ეფექტიანი ალოკაცია მოითხოვს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას, შესაბამისად, რეფორმის ყველა ეტაპზე მოხდება კონკურენციის ხელშემწყობი გადაწყვეტილებების მიღება. ამასთანავე, კაპიტალის ბაზრის განვითარების შედეგად საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდება, მიიღოს პერსპექტიული ბაზრის კლასიფიკაცია, რაც საქართველოს ბაზრის მიმართ საერთაშორისო ინვესტორების ინტერესს მეტად გააღვივებს და უზრუნველყოფს უფრო მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას, როგორც პორტფელური ინვესტიციების პირდაპირი, ასევე პირდაპირი ინვესტიციების მიმართულებით.

**1 წყარო: ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია https://faolex.fao.org/docs/pdf/geo215987.pdf**

ამრიგად, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა, შექმნას კაპიტალის ბაზრის კოორდინირებული და თანამიმდევრული მიმართულებები განვითარებისათვის. სტრატეგია მიმოიხილავს კაპიტალის ბაზარზე არსებულ ვითარებას, სფეროში არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს. სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს კაპიტალის ბაზრის სტრატეგიულ პოზიციას და მომავალ მიმართულებას მომდევნო წლების განმავლობაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ძალისხმევას აუცილებლად ექნება შესაბამისი მასტიმულირებელი გარემო მასში ჩართულ და მონაწილე სუბიექტების მიმართ, რაც საშუალებას მისცემს საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - „თანამედროვე საბანკო საქმე თეორია, პრაქტიკა", თბ. 2022 წ.
2. ასლანიშვილი დ. „საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და გაურკვეველი მომავალი" - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი „თსუ მეცნიერება", მე-6 გამოცემა, დეკემბერი, თბ., 2014;
3. „საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია", თბ.2023 წ. 45 გვ.
4. ბახტაძე ლ., ბარბაქაძე ხ., ყანდაშვილი თ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, თბ. , 2023 წ.
5. USAID, ASIAN DEVELOPMENT BANK, „საქართველოს კაპიტალის ბაზარი დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები", თბ. 187 გვ. 2015 წ.
6. CMS, „ფინანსური ბაზრები: ფულადი და კაპიტალის ბაზრები", თბ. 2022 წ.
7. Angeloni, I., A. Kashyap, B. Mojon and D. Terlizzese (2003), "Monetary transmission in the euro area: does the interest rate channel explain all?", NBER Working Papers No.
8. Bacchella, Gerlach (1997) "Consumption and Credit Constraints: International Evidence", Journal of Monetary Economics, 40, pp. 207-38.
9. Bakradze, Giorgi, and Andreas Billmeier. "InflationTargeting in Georgia: Are We There Yet?." NBGWP. no. 04 (2018).

**REFERENCES:**

1. I. Kovzanadze, G. Kontridze - "Modern banking theory, practice", chap. 2022
2. Aslanishvili d. "Stock market in Georgia: current reality and uncertain future" - TSU Science magazine of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 6th edition, December, 2014;
3. "Georgia Capital Market Development Strategy for 2023-2028", Vol. 2023 45 p.
4. Bakhtadze L., Barbakadze Kh., Kandashvili T., Financial institutions and markets, Vol. , 2023
5. USAID, ASIAN DEVELOPMENT BANK, "Georgia's capital market diagnostic study and recommendations", Vol. 187 p. 2015
6. CMS, "Financial Markets: Money and Capital Markets", Vol. 2022
7. Angeloni, I., A. Kashyap, B. Mojon and D. Terlizzese (2003), "Monetary transmission in the euro area: does the interest rate channel explain everything?", NBER Working Papers no.
8. Bacchella, Gerlach (1997) "Consumption and Credit Constraints: International Evidence", Journal of Monetary Economics, 40, pp. 207-38.
9. Bakradze, Giorgi, and Andreas Billmeier. "InflationTargeting in Georgia: Are We There Yet?" NBGWP. no. 04 (2018).

# STRATEGIC DIRECTIONS OF THE CAPITAL MARKET DEVELOPMENT OF GEORGIA

**Khatuna Shalamberidze,**
Doctor of Economics,
Assoc. Professor - Akaki Tsereteli State University

**RESUME**

The development of the capital market in Georgia is an important prerequisite for the creation of a free and competitive environment, which naturally ensures the need for capital and investments in the country. It will become effective, innovative, focused on high results and a guarantee of economic development. The purpose of the study is to study the current situation in the sector in order to identify the main problem in the sector and by analyzing the shortcomings identified as a result of comparison with the desired situation, the main problem was identified. The diagnosis of the current situation in the sector is based on the conclusions of the overview of the development of the capital market made within the framework of the financial sector assessment program developed by the World Bank, the Asian Bank and other financial institutions. The mentioned conclusions were also used to determine the main problem-causing factors and negative consequences.

The purpose of the capital market development strategy in Georgia is to create the most important action mechanism for the coordinated and consistent development of the capital market. The strategy reviews the current situation in the direction of the capital market, challenges in the field and ways to overcome them. The strategy defines the strategic position and future direction of the capital market of Georgia in the coming years. The capital market strategy defines the framework for the consistent introduction of new supervisory, regulatory and legislative acts, which is important for market participants to operate in a transparent and predictable environment.

**Keywords:** Capital market strategy; Operating in a stimulating environment for market participants; Guarantor of economic development.

# სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-33**

**მარინე ხუციშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
E-mail: Mariam.khutsishvili@btu.edu.ge

**რეზიუმე**

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები და ცვლილებები თანაცხოვრების ყველა სფეროში მიმართულია სახელმწიფოს თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის განვითარების უზრუნველსაყოფად. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ, ბიზნესი საქართველოს ეკონომიკის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად გახადა.

ქვეყნის, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვა და მისი გარანტიების შექმნა, რათა ის შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ყოველივე ეს უშუალო კავშირშია ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო ბაზარი, არაქონებრივი ინტერესი, დაზღვევის ობიექტი, სიცოცხლის დაზღვევა.

**ძირითადი ტექსტი**

სიცოცხლის დაზღვევის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წლიდან იწყება, როდესაც ეგვიპტეში ქვისმთლელთა მიერ შეიქმნა ე.წ დამკრძალავი კოოპერატივები, გარდაცვლილი წევრების ოჯახის მხარდასაჭერად. მსგავსი საქველმოქმედო საზოგადოებები ან დამკრძალავი კლუბები (როგორც მათ უწოდებდნენ) გავრცელებული იყო ასევე ინდოეთსა და ძველ რომში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მეათე საუკუნეში.

მოგვიანებით, სიცოცხლის დაზღვევის უძველესი ფორმა ნიძლავის სახით არის დაფიქსირებული დიდ ბრიტანეთში (მე-17 საუკუნე). შორ მანძილებზე ცურვის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მეკობრეებთან მოხვედრის რისკი. ამიტომაც პირი, რომელიც წინასწარ ითვალისწინებდა ამ საფრთხეს, აუცილებლად აფორმებდა სადაზღვევო სახის ხელშეკრულებას იმ ორგანიზაციასთან, რომელიც იკისრებდა გარკვეული მიზერული პრემიის წინასწარი გადახდის შემთხვევაში, მეკობრეებთან ტყვედ ჩავარდნილი პირის გამოსყიდვას. ამგვარ ხასიათს ატარებდა სიცოცხლის დაზღვევის ადრეული გარიგებები.

სიცოცხლის დაზღვევა მოიცავს დაზღვევის სახეობათა მთელ ჯგუფს. ეს სახეობები დამახასიათებელი ნიშნით არიან ერთმანეთთან დაკავშირებილნი: დაზღვევის ობიექტი ყოველთვის არის ადამიანი და დაზღვეული რისკი ყოველთვის განპირობებულია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით.

სიცოცხლის დაზღვევაში იგულისხმება არა ადამიანის სიცოცხლის, არამედ თანხების დაზღვევა, რომლებიც შეიძლება გაიცეს ერთჯერადად ან რეგულარულად (ანუიტეტური დაზღვევა) გარკვული პერიოდულობით. აქ (მითუმეტეს, რისკობრივი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში) არანაირად არ შეიძლება საუბარი სადაზღვევო შემთხვევისაგან მიყენებული ზარალის აღდგენაზე პირვანდელ ღირებულებამდე, როგორც ეს დაზღვევის სხვა სახეობებში ხდება.

სიცოცხლის დაზღვევის დროს ხდება დაზღვეული პიროვნების ან/და მისი ოჯახის (ნათესა-

ვების, ახლობლების, თანამშრომლების, საქმიანი პარტნიორების) მატერიალური (ფინანსური) მდგომარეობის გაუარესების რისკის დაზღვევა, რომელიც განპირობებულია დაზღვეულის სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით.სიტყვა „განუსაზღვრელი" გულისხმობს როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი სიცოცხლის შესაძლებლობას.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი "სიცოცხლის დაზღვევა" მოიცავს დაზღვევის სახეობათა მთელ ჯგუფს. განვიხილოთ ვადიანი სიცოცხლის დაზღვევა. რომლითაც იფარება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადამიანის (დაზღვეულის) ნებისმიერი მიზეზით (გარდა გამონაკლისებში მითითებული მიზეზებისა) გარდაცვალების რისკი.

თავად დაზღვევის მოქმედების მექანიზმი ძალზე მარტივია: თუ პოლისში მითითებული დროის შუალედის განმავლობაში დაზღვეული გარდაიცვლება ან უგზოუკვლოდ გაქრება და შემდგომში სასამართლო მას მიიჩნევს გარდაცვლილად, სადაზღვევო კომპანია გადაუხდის მოსარგებლეს თანხას, რომელიც ტოლია პოლისში წინასწარ დაფიქსირებული სადაზღვევო თანხისა (ფრანშიზა სიცოცხლის დაზღვევაში არ გამოიყენება). თუ იმავე პერიოდის დასრულების მომენტში დაზღვეული ცოცხალია, მაშინ არანაირი სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა.

ისევე როგორც დაზღვევის ყველა სხვა სახეობაში, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები არიან დამზღვევი და მზღვეველი. დამზღვევი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტში გააჩნია სადაზღვევო ინტერესი დაზღვეულის (ანუ დაზღვევის ობიექტის) სიცოცხლის მიმართ. დამზღვევი და დაზღვეული შეიძლება იყოს ერთი და იგივე ადამიანი, ვინაიდან მიღებულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს შემოუსაზღვრელი სადაზღვევო ინტერესი საკუთარი თავის მიმართ (ისევე როგორც ერთ მეუღლეს მეორე მეუღლის სიცოცხლის მიმართ). რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია ისიც, რომ დამზღვევი და დაზღვეული იყოს სხვადასხვა პირი.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია მოსარგებლის როლი სიცოცხლის დაზღვევაში. ვთქვათ, ადამიანი აზღვევს საკუთარ სიცოცხლეს. ჩვენ კი აღვნიშნეთ, რომ ამ პიროვნებას გააჩნია სადაზღვევო ინტერესი საკუთარი სიცოცხლის მიმართ, მაგრამ, ქონების დაზღვევის შემთხვევასთან შედარებით, ეს სადაზღვევო ინტერესი უცნაურია. ქონების დაზღვევაში გასაგებია, რომ დამზღვევის კუთვნილი ქონება ანუ დაზღვევის ობიექტი ზიანდება, რის შედეგადაც დამზღვევი, როგორც ფინანსური ინტერესის მქონე პიროვნება, ზარალდება. სიცოცხლის დაზღვევაში ცოტა უცნაური და ხელოვნური იქნებოდა გარდაცვლილი პიროვნების ზარალზე საუბარი. სხვათა შორის, ეს მსჯელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ტერმინი სიცოცხლის დაზღვევა, ისევე როგორც მრავალი სხვა ტერმინი, არის მხოლოდ ჟარგონი და არ გამოხატავს დაზღვევის ამ სახეობის შინაარსს.

სინამდვილეში სიცოცხლის დაზღვევის დროს ხდება გარკვეული იურიდიული თუ ფიზიკური პირების მატერიალური (ფინანსური) მდგომარეობის (ჩვეული ცხოვრების დონის) გაუარესების რისკის დაზღვევა, რაც განპირობებულია დაზღვეულის გარდაცვალებით.

ვადიანი სიცოცხლის დაზღვევის სახეობა იყოფა მოკლე (1-დან 5 წლამდე) და გრძელვადიან (20, 30 ან 40 წელი ) სიცოცხლის დაზღვევად.მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევა, თავისი ბუნებით სიცოცხლის დაზღვევის სახეობათა შორის, ყველაზე მეტად ჰგავს არასიცოცხლის დაზღვევას. სწორედ ამიტომ სპეციალისტები ამ სახეობას „წმინდა რისკობრივს" უწოდებენ.

პიროვნება (დაზღვეული) დებს სადაზღვევო ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიასთან (მზღვეველთან), რომლის მიხედვითაც მისი კანონიერი მემკვიდრენი (მოსარგებლენი), მისი გარკვეული დროის (1-დან 5 წლამდე)განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევაში, მიიღებენ სადაზღვევო ანაზღაურებას – თანხას, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაში წინასწარ არის დასახელებული.

განვითარებულ ქვეყნებში მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევას სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ. მაგალითად: ოჯახის დაცვა. ადამიანი რომლის შემოსავალი ოჯახს უზრუნველყოფს შეიძლება უდროოდ გარდაიცვალოს და მარჩენალს მოკლებული ოჯახის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცემა. ასეთი რისკის თავიდან ასაცილებლად მარჩენალს შეუძლია შეიძინოს ისეთი სიცოცხლის დაზღვევა, რომლის პირობების თანახმად, მისი უდროოდ გარდაცვალების შემთხვე-

ვაში, ოჯახი მიიღებს ისეთ ფულად ანაზღაურებას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მას ჩვეულ ცხოვრების დონეს შეუნარჩუნებს.

ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ, როდესაც პიროვნება აზღვევს საკუთარ სიცოცხლეს, ის არ ფიქრობს საკუთარ შესაძლო ზარალზე, არამედ ფიქრობს ოჯახის წევრებზე ან სხვა ახლობელ ადამიანებზე. ამ ახლობლებს შეიძლება ჰქონდეთ დაზღვეულის სიცოცხლის მიმართ ფორმალური სადაზღვევო ინტერესი და დამზღვევის როლში გამოსვლის უფლება, მაგრამ შეიძლება, არც ჰქონდეთ. მაგალითად, შვილს უდავოდ აქვს ფინანსური ინტერესი მარჩენალი მამის სიცოცხლის მიმართ, მაგრამ ის შეიძლება არასრულწლოვანი იყოს და ამ მიზეზით ვერ შეძლოს დამზღვევის როლის შესრულება. შესაძლოა პიროვნება არ იმყოფებოდეს სამოქალაქო ქორწინებაში და ამიტომ მის მეუღლეს არ ჰქონდეს ფორმალური სადაზღვევო ინტერესი, თუმცა ჰქონდეს რეალური ინტერესი. შესაძლოა კიდევ სხვა მსგავსი მაგალითების მოყვანა, რომლებიც მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ განსხვავებით არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებისაგან, სიცოცხლის დაზღვევაში ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია მოსარგებლე, რომელსაც ხელშეკრულების დადების მომენტში ნიშნავს დამზღვევი და რომელსაც ფორმალურად არ მოეთხოვება სადაზღვევო ინტერესის ქონა. თუ დამზღვევი და დაზღვეული არ არის ერთი და იგივე პირი, მაშინ დამზღვევს თავად შეუძლია შეასრულოს მოსარგებლის ფუნქცია, მაგრამ ასევე შეუძლია მაინც დანიშნოს მოსარგებლე (დაზღვეულის თანხმობით).

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ბაზრებზე ვადიანი სიცოცხლის დაზღვევა ძალზედ პოპულარულია ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდა ოჯახი ხშირად არ არის ფინანსურად იმდენად მძლავრი, რომ (დაგროვებადი) სიცოცხლის დაზღვევა შეიძინოს, მაგრამ, ამავდროულად ოჯახის მარჩენალს სურს, რომ მისი ოჯახი დაცული იყოს მოულოდნელი უბედურების შემთხვევაში. სწორედ ამ მიზნით ახალგაზრდები ყიდულობენ ვადიანი სიცოცხლის დაზღვევას, რომელიც მათ ასაკში ძალიან იაფია და რომელსაც უბედურების შემთხვევაში შეუძლია სერიოზული მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ოჯახს.

საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა. ბანკიდან კერძო პირის მიერ სესხის აღებისას, ხდება ამ სესხის თანდათან განვადებით დაფარვა. სამწუხაროდ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სესხის ამღები გარდაიცვლება სესხის დაფარვის პერიოდში ისე რომ სესხის ნაწილი დაუფარავი დარჩება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზარალი შეიძლება მოუვიდეს ბანკს ან გარდაცვლილის ოჯახს.

ასეთ შემთხვევაში, რისკის თავიდან ასაცილებლად იყენებენ მოკლევადიან სიცოცხლის დაზღვევას. სადაზღვევო პერიოდი ემთხვევა სესხის დაფარვის პერიოდს, დაზღვეული არის სესხის ამღები, ხოლო მოსარგებლე ბანკი.

ბანკის ინტერესების დაცვის შემთხვევაში ანუ ე.წ. საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის დროს, სადაზღვევო თანხა ცალსახად განისაზღვრება გაცემული კრედიტისა და შესაბამისი პროცენტების ოდენობით.

დღესდღეობით, განვითარებულ ბაზრებზე სიცოცხლის დაზღვევის სქემების მიერ მობილიზებული დანაზოგები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების ძირითად წყაროს. სიცოცხლის დაზღვევის პოლისების გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, მათში ჩადებული დანაზოგები საწარმოებისა და მთავრობების მიერ გამოიყენება კაპიტალური ხარჯების ზრდისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. ინფრასტრუქტურის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკებისათვის, არა მხოლოდ ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდის მხარდასაჭერად, არამედ უცხოური კომპანიების ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლის წასახალისებლადაც.

კერძო სექტორისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კაპიტალური ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით, მივყავართ დასაქმებისა და ზოგადად ცხოვრების დონის ზრდასთან. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალიც იზრდება, ეს საშუალებას აძლევს ქვეყანას აწარმოოს მეტი საქონელი, მათ შორის ისეთიც რომელიც ამჟამად იმპორტირებულია უცხოეთიდან. შედეგად, უმჯობესდება საგადამხდელო ბალანსიც და ქვეყნის ეროვნული ვალუტაც უფრო მყარდება.

სადაზღვევო კომპანიები პოლისის მფლობელთა მიმართ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის ახორციელებენ ინვესტირებას დივერსიფიცირებულ ფასიან ქაღალდებში. ცხადია, რომ მათთვის უფრო მომგებიანია ფიქსირებული შემოსავლების მქონე აქტივებში ჩადონ ფული, როგორიცაა: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები და ა.შ. თუმცა, მსგავსი ტიპის ფასიანი ქაღალდები ყოველთვის არაა ხელმისაწვდომი სადაზღვევო კომპანიებისათვის, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სადაც არ არსებობს განვითარებული კაპიტალის ბაზარი და სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელის დაახლოებით 67% საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებულ დეპოზიტებზე მოდის. განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევის სქემების განვითარების კუთხით. ასეთი ბაზარი შეიძლება დავახასიათოთ კომპანიების ბრუნვადი ფასიანი ქაღალდების სიმცირითა და ადგილობრივი, განსაკუთრებით კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის არარსებობით. ფაქტობრივად არ არსებობს არც გირაოთი და არც სხვა გარანტიით უზრუნველყოფილი ობლიგაციები.

საქართველოში ჩამოყალიბდა ცუდი ისტორიული გამოცდილება ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ნდობის კუთხით. ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოება არაა სათანადოდ ინფორმირებული სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებზე.

ცხადია, რომ მაშინ როცა სადაზღვევო ინდუსტრია ეკონომიკის მხოლოდ ნაწილია, მასზე მეტ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური გარემო მთლიანობაში, ვიდრე თავად განიცდის მის ზეგავლენას. უფრო კონკრეტულად, ქვეყანაში არსებულ ცხოვრების დონეს აქვს ძირითადი გავლენა დაზღვევის მოთხოვნაზე მოსახლეობის მხრიდან. მაღალი ინფლაცია წარმოადგენს ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს ყველა სახის დანაზოგის მობილიზებაზე, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილ დანაზოგებზე. დაბალი ინფლაციის პირობებში ხალხი კარგად გრძნობს სიცოცხლის დაზღვევის სქემების რეალურ ღირებულებასა და სარგებელს (განსაკუთრებით დანაზოგის ელემენტების მქონე სქემებისას). მაშინ, როცა მაღალი ინფლაციის პირობებში ამ სქემებიდან მიღებული ბენეფიტი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

## დასკვნა

სადაზღვევო სისტემის ძლიერება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ამავე დროს თვითონაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობასა და ბიზნესის სიძლიერეზე. სადაზღვევო ბაზარზე დღეს ძალიან მაღალია კონკურენცია, კომპანიები ძალებს არ იშურებენ კლიენტების მოსაპოვებლად, თუმცა მხოლოდ კომპანიების ეს ძალისხმევა, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის და ე.წ. სადაზღვევო კულტურის/ გამოცდილების გათვალისწინებით, ბაზარზე უახლოეს წლებში გარდატეხას ვერ შეიტანს – ვისაც ჰქონდა სურვილი და შესაძლებლობა, ის უკვე დაზღვეულია, ბაზრის მკვეთრი ზრდა უახლოეს ერთ- ორ წელიწადში ვერ მოხდება

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Шахов В.В. Страхование: Учебник для вузов. М.: Юнити, 2003.
1. 2.Юлдашев Р.Т. Страховой бизнес. Словарь-справочник. М.: Анкил, 2005.
2. 3.Коваль, А. Человеческий капитал в страховании важнее финансового / А. Коваль // Управление персоналом. 2004.
3. 4. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.
4. 5. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес: Словарь-справочник. М.: АНКИЛ, 2005.
5. 6. გიორგი გიგოლაშვილი – სადაზღვევო საქმე, 2013.

**REFERENCES:**

1. Shakhov V.V. Insurance: Textbook for universities. M.: Unity, 2003.
2. Yuldashev R.T. Insurance business. Dictionary-reference book. M.: Ankil, 2005.
3. Koval, A. Human capital in insurance is more important than financial capital / A. Koval // Personnel Management. 2004.
4. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.
5. Yuldashev R.T. Insurance business: Dictionary-reference book. M.: ANKIL, 2005.
6. Giorgi Gigolashvili – insurance case, 2013.

# LIFE INSURANCE MARKET DEVELOPMENT PROSPECTS IN GEORGIA

**Marine Khutsishvili**
PhD of business administration
E-mail: Mariam.khutsishvili@btu.edu.ge

**RESUME**

Reforms and changes carried out in all spheres of coexistence are aimed at ensuring the development of the state's free economic market. The establishment of free market relations made business a natural component of the Georgian economy.

On the way to building the country as a legal state, an important role is played by the protection of property and non-property interests and the creation of its guarantees of compliance with international standards. All this is directly related to the development of the country's insurance market.

**Key words:** insurance market, non-property interest, object of insurance, life insurance.

# ნიადაგის დაბინძურების გამოწვევები გურჯაანის მუნიციპალიტეტში

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-38

**მარიამ დოიაშვილი**
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის მესამე კურსის სტუდენტი
E-mail: mariam.doiashvili549@eab.tsu.edu.ge

**რეზიუმე**

განხილულია ნიადაგის დაბინძურების პრობლემა და მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები გურჯაანის მუნიციპალიტეტში. ავტორი აღწერს გურჯაანის მუნიციპალიტეტს სტატისტიკურ მონაცემებში (მოსახლეობა, სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ფართობი, ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების ძირითადი მიმართულებები, მუნიციპალიტეტში მოქმედი ქარხნებისა და მარნების შესახებ ინფორმაცია და სხვა.). ყურადღებას ამახვილებს ნიადაგის დაბინძურების საწინააღმდეგოდ მიმართულ ღონისძიებებზე ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და ფერმერების მხრიდან. ავტორი აღნიშნავს, რომ ნიადაგის დაბინძურების პრობლემა ცნობილია მოსახლეობისთვის და ისინი ცდილობენ გამოიყენონ ბიოსასუქები და მიწის ნაყოფიერების ასამაღლებლად გააშენონ ქარსაცავი ზოლები, სარწყავი სისტემები და სავარგულების "დასვენებისას" მოახდინონ ნათესების მონაცვლეობა. ნიადაგის დაბინძურების პრობლემასთან მოსახლეობის დამოკდებულების საკითხზე ავტორმა გუგლის პლატფორმისა და სოციალური ქსელის გამოყენებით ჩაატარა თვისებრივი კვლევა. კვლევაში 142 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა მოსახლეობის განწყობა გაუფრთხილდეს გარემოს და ნიადაგს.

**საკვანძო სიტყვები:** ნიადაგის დაბინძურება, მევენახეობა, მეხილეობა, ბიოსასუქები,

## შესავალი

საცხოვრებლის თავისებურებებისა და ხარისხისთვის ზიანის მიმყენებელ ყველა სახის მოვლენას ნიადაგის დაბინძურება ეწოდება. იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს ყველა ცოცხალ არსებაზე. მიწა დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმების დიდი ნაწილის მთავარი საცხოვრებელი ადგილია. ადამიანის ცხოვრების ხარისხსაც სწორედ არსებული გარემოს მდგომარეობა განაპირობებს, მაგრამ ამის მიუხედავად მოსახლეობა ბუნებრივ რესურსებს არასათანადოდ ექცევა, რითაც საფრთხეს უქმნის პირველ რიგში ფლორასა და ფაუნას, ამასთანავე საკუთარ ჯანმრთელობას. ნიადაგის დაბინძურება მასში არსებული სასარგებლო ნივთიერებების ბალანსს არღვევს. ამ პრობლემამ თავი იჩინა საქართველოშიც, სადაც სოფლის მეურნეობა უძველესი დროიდან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის, შედარების, ანალოგიისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები, ასევე, გუგლის პლატფორმის გამოყენებით ჩატარებული თვისებრივი კვლევა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია საკვლევი სფეროს მარეგულირებელი კანონები, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი და კვლევის გარშემო არსებული სტატისტიკური მონაცემები, სამეცნიერო სტატიები და სხვა.

## ძირითადი ტექსტი

კახეთში ერთ-ერთი დიდი მუნიციპალიტეტია გურჯაანი, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენს ქალაქი გურჯაანი, რომლის ფართობი 849,2 კვ კმ-ია. მისი დიდი ნაწილიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია - 39430 ჰა. მოსახლეობა 2021 წლის მონაცემებით

შეადგენს 51400 ადამიანს. სოფლად 46313 კაცი ცხოვრობს. სულ 31 დასახლებაა. ძირითადად მევენახეობა და მეცხოველეობა. გურჯაანის მუნიციპალიტეტი მოიცავს 19287 ჰა სახნავის და 5600 ჰა საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს. გურჯაანის მუნიციპალიტეტში მევენახეობა პრიორიტეტული დარგია. სოფლის მეურნეობის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია ღვინო, ატამი, ვაშლი, ქლიავი, ლეღვი. საქართველოში არსებული 18 მიკროზონიდან 6 გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ესენია: ვაზისუბანი, მუკუზანი, ახაშენი, ქ. გურჯაანი, სოფ. გურჯაანი, კარდენახი (ფართობი 17000 ჰა). ვენახების საერთო ფართობი 2022 წლის მონაცემებით არის 11000 ჰა. ეს კი საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მსოფლიოში ცნობილი ღვინოები, როგორიცაა მუკუზანი, ახაშენი, და სხვა. მუნიციპალიტეტში ასათვისებელია სავენახე ფართების დაახლოებით 30% და მოსაწესრიგებელია სამელიორაციო სისტემა, რაც სამომავლოდ მოსავლიანობისა და შემოსავლების მკვეთრ ზრდას განაპირობებს.

მრეწველობის მთავარი დარგია მეღვინეობა. ამჟამად მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 99 საწარმოთი. გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2022 წლის მონაცემებით მუშაობს ღვინის 48 მარანი, 20 ღვინის ქარხანა. წლის განმავლობაში ქარხნები იღებენ და გადაამუშავებენ 65000 ტ-მდე ყურძენს. აქედან 27300000 ლ ღვინო გადის ექსპორტზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში შეიქმნა ყურძნის წიპწის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც აწარმოებენ ყურძნის წიპწის ზეთს და წიპწის ფქვილს, სხვა ნარჩენით მაგალითად, კლერტითა და წალმით სასუქი მზადდება.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევა. კერძოდ: სოფლის მეურნეობის დარგში სწრაფ ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და ტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, ასევე აღნიშნულ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სიმცირე. აგრეთვე შემაფერხებელი ფაქტორია ფერმერთა სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების მცირე ზომები, მათი უმრავლესობა ამუშავებს 1 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ნაკვეთს. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰა მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. აქედან გამომდინარე, მომგებიანი და ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია.

სოფლის მეურნეობის კუთხით მევენახეობასთან ერთად განვითარებულია მეხი ლეობაც. გურჯაანის მუნიციპალიტეტში წელიწადში საშუალოდ იწარმოება 25–30 ათასი ტ ატამი და ნექტარინი (ვაშლატამა). აქედან სარეალიზაციო დანიშნულების პროდუქტს შეადგენს 80–85%. პირველადი სახით ნაწარმოები პროდუქციის 22% გადის ექსპორტზე.

გურჯაანის მხარე იყოფა ორად, წინა მხრისა და უკანა მხრის ზონებად. პირველი ზონის მოსახლეობა ძირითადად დამოკიდებულია მევენახეობაზე, რადგან მათი ნიადაგი და ჰავა ქმნის ისეთ გარემოს სადაც ვაზი უფრო ხარობს და იძლევა მაღალხარისხიან ყურძენს. ხოლო მეორე ზონაში მეხილეობა-მებოსტნეობა: ატამი, ნექტარინი, გარგარი, ლეღვი, პომიდორი და სხვა. ამ მხარეში არის უფრო თბილი და ნოტიო ჰავა, რაც ხელს უწყობს უფრო პროდუქტიულ მოსავლიანობას.

გურჯაანელი სოფლისმეურნეები ქიმიურ სასუქებს იყენებენ ვენახისა და სხვა ნარგავების ნაყოფიერების ასამაღლებლად. მიწის მსგავსი განოყიერება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდება ამინდის გათვალისწინებით, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად უფრო და უფრო იკლებს მიწის ნაყოფიერება. ზოგჯერ ხდება სასუქის დოზირების შეცდომით შეტანა ნათესებში, რაც იწვევს მცენარის ზედმეტ გამოკვებას. ამ დროს მცენარეც ხმება და ნიადაგიც იწამლება. სასუქები ხელს უწყობენ მცენარის კვებას მოკლე პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ მცენარეები იღებენ საჭირო საკვებ ნივთიერებებს, მიკრობები, რომლებზეც ისინი დამოკიდებული არიან, ნელ-ნელა წყვეტენ არსებობას. მოგეხსენებათ, მცენარეები სასიცოცხლოდ მხოლოდ საკვებ ნივთიერებებზე არ არიან დამოკიდებული. ეს პატარა არსებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაავადებების პრევენციასა და ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებაში. ქიმიური სასუქები მრავალი წლის განმავლობაში ილექება მიწაში.

სხვადასხვა კვლევების თანახმად, აშკარაა, რომ თითქმის ყველა სახის პესტიციდი რეალურ საფრთხეს უქმნის ნიადაგის უხერხემლო ბინადრებს. გურჯაანის მუნიციპალიტეტში კი აქტიურად გამოიყენება პესტიციდები თუ გერბიციდები, რათა გაანადგურონ ბალახი და სხვა სარეველები ამოძირკვონ ნარგავებიდან. პესტიციდები ვენახში გურჯაანელ ფერმერებს ძირითადად 2-3-ჯერ შეაქვთ, რისი ჩანაცვლებაც სხვა ალტერნატივებით შეიძლება, როგორიცაა მიწის კულტივირება დროგამოშვებით. ეს პროცესი მოიაზრებს სარეველების მოჭრას ტრაქტორზე ჩაბმული სპეციალური საკულტივაციო დანადგარით.

ვენახები იწამლება წელიწადში 8-11 აგროქიმიკატით, რომლებიც აღკვეთენ ვენახის უამრავ დაავადებას. დღევანდელ გარემოში ძალიან ბევრი სახეობის მცენარის დაავადება გაჩნდა, მაგალითად, ასეთია ჭრაქი, ნაცარი, ქლოროზი და სხვა ეს ქიმიკატები კი წვიმის მეშვეობით ჩამოირეცხება ნიადაგში. ნაწილს იწოვს მცენარეები. მათი დიდი ნაწილი კვლავ ხვდება ნიადაგში და იწვევს თითქმის იგივე პრობლემებს, რასაც პესტიციდები.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, FAO-ს "ესტიციდების განაწილებისას და გამოყენებისას წესების საერთაშორისო კოდექსი", სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, „ნიადაგის დაცვის შესახებ", "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" და "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის სკოლების ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, რომელშიც შედის სწორედ ნიადაგის დაბინძურების აღმოფხვრაც. (მაგალითად, "ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია").

მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება და მაღალი ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მომსახურებას ახორციელებს მუნიციპალური ააიპ „დასუფთავების სამსახური". დასუფთავების სერვისი მიეწოდება ყველა ტერიტორიულ ერთეულს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ცალი ნარჩენების კონტეინერი, რაც არაა საკმარისი სრული სერვისის მიწოდებისთვის. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს აშენება დაგეგმილი იყო სოფელ არაშენდასა და შემდგომ, სოფელ ჩალაუბანში, თუმცა მოსახლეობის პროტესტის გამო პროექტი არ განხორციელდა.

რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ბუნებრივი სასუქის (ნაკელი, ნაცარი, კომპოსტი) გამოყენება ვენახებში. დღეისათვის უკვე მევენახეებმა დაიწყეს ეგრეთწოდებული საკუწი აპარატების გამოყენება, რათა შეემცირებინათ სინთეტიკური სასუქების გამოყენება სავარგულებში და წალმის დატოვება დაიწყეს ვენახში, ისინი მოცემული საკუწი დანადგარით ამუშავებენ წალამს და ტოვებენ ნიადაგში. მაგრამ ისინი პრობლემის წინაშეც დგანან, აღნიშნული ტექნიკა ძვირი და იშვიათია ჯერჯერობით, ამიტომაც მათი მოძიება და დაქირავება გურჯაანელი ფერმერისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. ასევე ისინი ცდილობენ, რომ ფოთლები არა თუ დაწვან, რაც წარსულში სამწუხაროდ გავრცელებული იყო, არამედ სავარგულებში შეიტანონ. ასევე სოფლების, რაღაც ნაწილი ჯერ კიდევ იყენებს შეშის ღუმელს გასათბობად, მაგრამ ცდილობენ, რომ დარჩენილი ნაცარი გამოიყენონ სასუქად, რადგან იგი მრავალი სასარგებლო თვისებით ხასიათდება ნიადაგისთვის. იგი შეიცავს: კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინას, ბორს, სპილენძს. ნაცარს იყენებენ ნიადაგში მჟავიანობის დასაწევადაც , მაგრამ ტუტე ნიადაგში არ შეიძლება ნაცრის გამოყენება.

ბოლო წლებში ვენახებსა თუ ხილ-ბოსტნის ბაღებში აქტიურად გამოიყენება ე.წ. ვაზის და ბოსტნეულის ასახვევი ხელსაწყოები. მოცემული დანადგარი აადვილებს ფერმერების შრომას და მუშაობის დროსაც ამცირებს. ამ დანადგარმა ჩაანაცვლა სიმინდის ფუჩეჩი, რაც ბუნებრივი, ეკომეგობრული საშუალებაა და არანაირ საფრთხეს არ უქმნის გარემოს. "ვაზის საკავებელში" გამოიყენება პოლიეთილენის ლენტები, რომელიც ისეთი ტექნიკითაა დამზადებული, რომ დაახლოებით ორი წელი სჭირდება, დასაშლელად მზის ზემოქმედების პირობებში. ეს მასა კი ნია-

დაგში ჩაიწოვება, რაც იწვევს მის დაბინძურებას.

მოსახლეობა აქტიურად ცდილობს დაიცვას სავარგულები ქარისმიერი ეროზიისგან და ჩართულები არიან საკუთარ ნაკვეთებთან ქარსაცავი ზოლების გაშენებაში, გურჯაანის რაიონში ქარსაცავი ზოლის შესაქმნელად უმეტესწილად იყენებენ აკაციის ხეს, რომელიც მალე მზარდი და ქარგამძლე მცენარეა და მოკლე ვადაში უკვე ქმნის ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ზოლს. აკაციასთან ერთად შესაძლებელია გამოყენებული იყოს პავლონიის ხეც.

რეგიონში ბოლო წლებში აქტუალური გახდა წვეთოვანი სარწყავი სისტემის დაყენება ხილ-ბოსტნის ბაღებში, მოსახლეობამ მალევე აითვისა მოცემული ტენდენცია, რამაც მიწის გამოფიტვა შეამცირა, გაზარდა სასუქის შეთვისების ხარისხი მცენარეში და უფრო ნაყოფიერი გახადა მოსავალიც. მიწის ბოლომდე გამოფიტვის თავიდან ასაცილებლად მევენახეთა რაღაც ნაწილი ბოლო წლებში ჩეხავს კიდეც ვენახების ნაწილს და ცდილობს “დაასვენოს“ მიწა. ზოგი ფერმერი გაკაფული ვენახის ადგილას ხორბალსაც თესავს, რათა შემოსავლის წყარო არ დაკარგოს და მიწაც განაყოფიერდეს, რადგან კომბაინი ნაკვეთშივე კუწავს და ტოვებს თესლის გარდა დარჩენილ მცენარეს, რომელიც კომპოსტირდება და ანაყოფიერებს გამოფიტულ მიწას.

ნიადაგის დაბინძურების პრობლემასთან მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა მიმდინარეობდა 28 აპრილიდან 7 მაისამდე პერიოდში Gგუგლის პლატფორმის გამოყენებით, ფეისბუქის სოციალური ქსელის საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 142-მა რესპონდენტმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან გამოკითხულთა 46,8%(66), ხოლო 53,2%(75) არის სხვა მუნიციპალიტეტებიდან. მათი უმეტესობა 39,9% (52) 21-30 წლისაა, 20 წ-მდეა 26,2% (37), 31-40 წლისაა 10,6%(15), 41-50 წლისაა 9.9% (14), ასევე 9,9% 51-60 წლის, 61 და მეტისაა 5,7%(8). 70,2%(99) რესპონდენტი მდედრობითი სქესისა, ხოლო 29,8% (42) მამრობითი.

ჩატარებული კვლევის პროცესში დაისვა კითხვა, მიგაჩნიათ ნიადაგის დაბინძურება მძიმე პრობლემად, პასუხები ასე გადანაწილდა: 84,4% (125) მძიმე პრობლემად მიიჩნევს ნიადაგის დაბინძურებას, ხოლო 7% (10) მოცემულ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემს.

კითხვაზე, ზემოქმედებს, თუ არა ნიადაგის დაბინძურება ყველა ცოცხალ არსებაზე. დადებით პასუხს სცემს გამოკითხულთა 87,4% (125) , ხოლო 8,4% (12) მათგანის აზრით ნაწილობრივ ახდენს გავლენას.

კითხვაზე, აქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორ ხდება ნიადაგის დაბინძურება გამოკითხულთა 71,3% (102)-მა გასცა დადებითი პასუხი, ხოლო 7% (10)-ს არ აქვს ინფორმაცია. (იხ. დიაგრამაზე 1)




**დიაგრამა 1. რესპონდენტთა პასუხების განაწილება, აქვთ თუ არა ინფორმაცია ნიადაგის დაბინძურების შესახებ**

კითხვაზე უქმნის თუ არა საფრთხეს ნიადაგის დაბინძურება თქვენს ჯანმრთელობას პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა, გამოკითხულთა 84,4%(119) ფიქრობს, რომ უარყოფითად ზემოქმედებს მოცემული მოვლენა მათ ჯანმრთელობაზე, 9.2%(13) კი ფიქრობს რომ საერთოდ არ

მოქმედებს ნიადაგის დაბინძურება მათ ჯანმრთელობაზე.

გამოკითხულთა დიდი ნაწილის, 61,3%(87) აზრით, სახნავ-სათესი სავარგულები სინთეტიკური სასუქების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატებისგან ძალიანაა დაბინძურებული. 25,4%(36)-ს კი უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 13,4%(19) კი ფიქრობს, რომ საერთოდ არააზემოთ აღნიშნულით ნიადაგი მოწამლული.

გამოკითხულთა 31,2%(44) უკვე არის ფერმერი, 46,8%(66) არ არის და არც აპირებს ფერმერობას, ხოლო 22% (31) არ არის ფერმერი მაგრამ აპირებს რომ გახდეს.

გამოკითხული ფერმერების 31% (26) მიჰყვება მევენახეობას, 25% (21) მებოსტნეობას, 21,4% (18) კი რამდენიმე დარგს ერთად. კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მეხილეობის ბაღები ან ვენახები გამოკითხულთა 49,3% (69) დადებით პასუხს სცემს, 24,3%-ს (34) არ აქვს არცერთი, 12,1% (17) აპირებს ახლო მომავალში რომელიმე მეურნეობის გაშენებას, 14,3% (20) საერთოდ არ აქვს საკუთარი მიწის ნაკვეთი.

რესპონდენტები კითხვაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის და მათი ოჯახებისთვის ეკოლოგიურად სუფთა საკვები 44,7% (63) ფიქრობს, რომ თითქმის არ არსებობს დღევანდელ გარემოში ჯანსაღი საკვები, 40,4%-ის (57) აზრით, მათთვის ხელმისაწვდომია ეკოლოგიური საკვები, ხოლო 14,9% (21) უარყოფით პასუხს სცემს.

დიაგრამა 2. ასახავს გამოკითხულთა გადანაწილებას იმ აქტივობების მიხედვით, რის განხორციელებასაც ცდილობენ ნიადაგის დაბინძურების აღმოსაფხვრელათ. მოცემულ გრაფიკზე ნათლად ვხედავთ, რომ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი რაიმე აქტივობით მაინცაა ჩართული ნიადაგის დაბინძურების აღმოფხვრაში. 51%(75) ცდილობს არასათანადო ადგილას არ დაყაროს ნაგავი და ნარჩენები, 23,4% (33) კი რამდენიმე აქტივობას ერთდროულად ახორციელებს, 8,5% (12) კი ცდილობს ნარჩენებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას, 9,9% კი არანაირ აქტივობას არ ახორციელებს.

გამოკითხულთა მოსაზრებები, თუ როგორი აგრარული პოლიტიკის გატარება შეუძლია გურჯაანის მერიას, რათა დაეხმაროს გურჯაანელ ფერმერებს, რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს 42,1%(59) სურს თანადაფინანსების მექანიზმის გაზრდა, რაც ფერმერთათვის თანამედროვე ტექნიკით მომარაგების პრობლემასაც შეამცირებდა. 34,3% (48)-ს აზრით, მუნიციპალიტეტის მერიამ ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად გამოყოს ბალახისა და ტოტების საკუწი დანადგარები, რომლის ქირაობაც შელავათიან ფასშიც შეეძლება ფერმერს, ხოლო 23,6%(33) ფიქრობს, რომ გურჯაანელი ფერმერების დასახმარებლად მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოყოს სეზონურად ტალონები სატრაქტორო თუ სხვა სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ტექნიკის საწვავისთვის.




**დიაგრამა 2. ასახავს გამოკითხულთა გადანაწილებას იმ აქტივობების მიხედვით, რის განხორციელებასაც ცდილობენ ნიადაგის დაბინძურების აღმოსაფხვრელად**

რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე, თუ რომელი დარგს (მემარცვლეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, არცერთი, ყველა) აქვს ყველაზე მეტი პერსპექტივა დღევანდელ კლიმატურ-ნიადაგურ პირობებში გურჯაანის მუნიციპალიტეტში. მათი დაახლოებით ნახევარი, 48,2% (67) მევენახეობას ფიქრობს ყველაზე პერსპექტიულად, 18%-ის (25) აზრით ყველა დარგი გაამართლებს, 11,5% (16) მემარცვლეობას, ასევე 11,5% (16) მეხილეობას.

## დასკვნითი ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ასევე სრულიად საქართველოში მძიმედ დგას ნიადაგის დაბინძურების პრობლემა, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონის ეკონომიკურ, თუ სოციალურ მდგომარეობას. საჭიროა ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო მეტად შეუწყოს ხელი იმ გამოწვევების შემცირებას, რასაც ნიადაგის დაბინძურება იწვევს. საჭიროა უფრო მეტად ინფორმირებულობის ამაღლება ამ თემის გარშემო ფერმერებში. ვინაიდან კვლევამ ცხადყო, რომ რეგიონის გარკვეულ ნაწილს გამოკითხულთა 7%(10) საერთოდ არ აქვს ინფორმაცია, 21,8%(31)-მა კი არასრულყოფილად აქვს, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ნიადაგის მდგრადობა საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობისთვისაც, ამ შემთხვევაში ექსპორტისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ეკოლოგიურად სუფთა და ნაყოფიერი პროდუქცია იქნას გატანილი ბაზარზე და ამაღლდეს საექსპორტო პროდუქტის კონკურენტუნარიანობა, რითაც ჩვენი ღვინო, გამოირჩევა კიდეც. კვლევაში ნათლად ჩანს, რამდენად რთულად დგას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის პრობლემა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი ცდილობს შეანელოს მიწის დეგრადაცია, რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, რაც განხორციელებული კვლევიდანაც ნათლად ჩანს. მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული ნიადაგის „გადამრჩენ“ ღონისძიებებში, რომლის განხორციელებასაც თავისი რესურსით ცდილობს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც ახერხებს მიწის ბოლომდე გამოფიტვის თავიდან აცილებას. ამიტომაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათთვის ინფორმირებულობის ამაღლებას და უფრო მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს საჭირო ტექნოლოგიები, ამისთვის უნდა აწარმოოს სწორი აგრარული პოლიტიკა. მაგალითად, დააფინანსოს მიწების დაცვისა და გაუმჯობესების პროგრამები, დანერგოს ახალი სასოფლო-სამეურნეო კვლევები და ახალი ტექნოლოგიები და სხვა. კარგი იქნებოდა, თუ მუნიციპალიტეტი განახორციელებდა ქარსაცავი ზოლების აქტიურ განაშენიანებას და სახნავ-სათესი სავარგულების გზების მოწესრიგებასაც, რათა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკისთვის უფრო მარტივი გახადოს საქმიანობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნიადაგის დაბინძურება (03/06/2018) ავტორი - ეკოლოგიის კვალდაკვალ
2. https://ekologiiskvaldakval.wordpress.com/2018/06/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/
3. ყურძნის წიპწის გადამამუშავებელი საწარმო (24/09/2018)
4. https://www.interpressnews.ge/ka/article/513440-levan-davitashvilma-gurjaanshi-cipcis-zetis-gadamamushavebeli-pirveli-sacarmo-gaxsna/
5. ქარსაფარი ზოლები გაშენება (23.05.2019) სტატიის ავტორი მაკა ხაზიური https://knews.ge/?p=39071&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR00fgnaPpmT8JM1MzfSQwQZegszompPFeDJrLIP6wjTW9lBPbnp_OB5UPU_aem_AXZDu9WqBd740yIaPGVE4iysdQIAbiH7qv9M61pGrY0a6SyF_yS_6MXwN1or8vV-CwkQbfT7EXRb-fOObbxyiW1m
6. ნაცარი, როგორც ბუნებრივი სასუქი https://agrokavkaz.ge/fermerta-skola/natsari-gamoiqheneth-organuli-sasuqi.html
7. ბალახისა და ტოტების საკუწი დანადგარი https://agrosphere.ge/ge/products/sasoflo-sameurneo-teknika/misabmeli-agregatebi/mulcheri/balakhis-da-totebis-sakutsi-efgc-165
8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური საიტი https://www.google.com/url?sa=D&q=https://www.gurjaani.gov.ge/&ust=1718207040000000&usg=AOvVaw17JEIyf5cJbt6mEr3hGoKp&hl=en&source=gmail
9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი
10. წვეთოვანი სარწყავი სისტემა https://turko.ge/project-details/drip-
11. საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/18106?publication=12


**REFERENCES:**


1. Soil pollution (03/06/2018). the author- in the Footsteps of Ecology
2. https://ekologiiskvaldakval.wordpress.com/2018/06/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/
3. Grape seed processing fectory (24/09/2018)
4. https://www.interpressnews.ge/ka/article/513440-levan-davitashvilma-gurjaanshi-cipcis-zetis-gadamamushavebeli-pirveli-sacarmo-gaxsna/
5. Construction of windbreak strips (23.05.2019). the author Maka Khaziuri https://knews.ge/?p=39071&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR00fgnaPpmT8JM1MzfSQwQZegszompPFeDJrLIP6wjTW9lBPbnp_OB5UPU_aem_AXZDu9WqBd740yIaPGVE4iysdQIAbiH7qv9M61pGrY0a6SyF_yS_6MXwN1or8vV-CwkQbfT7EXRb-fOObbxyiW1m
6. Ash as a natural fertilizer https://agrokavkaz.ge/fermerta-skola/natsari-gamoiqheneth-organuli-sasuqi.html
7. Grass and branch cutting machine- https://agrosphere.ge/ge/products/sasoflo-sameurneo-teknika/misabmeli-agregatebi/mulcheri/balakhis-da-totebis-sakutsi-efgc-165
8. Official website of Gurjaani municipality- https://www.google.com/url?sa=D&q=https://www.gurjaani.gov.ge/&ust=1718207040000000&usg=AOvVaw17JEIyf5cJbt6mEr3hGoKp&hl=en&source=gmail
9. Medium-term development document of Gurjaani municipality;
10. Drip irrigation system- https://turko.ge/project-details/drip-
11. Law of Georgia on pesticides and agrochemicals- https://matsne.gov.ge/ka/document/view/18106?publication=12

# THE CHALLENGES OF SOIL POLLUTION IN GURJAANI MUNICIPALITY

**Mariam Doiashvili**
3rd year undergraduate student of
the Faculty of Economics and Business , TSU,
E-mail: mariam.doiashvili549@eab.tsu.edu.ge

**RESUME**

The paper discusses the problem of soil pollution and measures against it in Gurjaani municipality. The author describes the municipality of Gurjaani in statistical data (population, agricultural and non-agricultural land area, main directions of economic activity and employment, information about factories and wineries operating in the municipality, etc.). The author focuses on measures against soil pollution by local authorities and farmers. The author notes that the problem of soil pollution is known to the population, and they try to use biofertilizers and to increase the fertility of the land, build windbreaks, irrigation systems, and rotate crops during the "rest" of the land. The author conducted qualitative research using the Google platform and social network on the problem of soil pollution. 142 respondents took part in the research. As a result of the research, the attitude of the population to take care of the environment and the soil was revealed.

**Key words:** soil pollution, viticulture, fruit growing, biofertilizers

# საქართველოს აგრარული სექტორისთვის ევროკავშირთან ღრმა, ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობა, საფრთხეა თუ შესაძლებლობების გაფართოება?

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-46

**ლევან კერესელიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
თსუ-ს მოწვეული პროფესორი
E-Mail: levan.kereselidze@tsu.ge

**შალვა კერესელიძე**
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-Mail: kereselidzeshalva@gmail.com

**დავით კერესელიძე**
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
E-Mail: davitkereselidze@gmal.com

**რეზიუმე**

დასმული საკითხი განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამომავლო განვითარების პერსპექტივის კუთხით.აღნიშნულია, რომ საგარეო ვაჭრობის გარეშე მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა სათანადოდ ვერ განვითარდება. ასეა საქართველოც. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის მიერ საქართველოსთან დადებულმა ასოცირების შეთანხმებამ მას ევროკავშირის ქვეყნებში ვაჭრობის გაფართოების და აქედან გამომდინარე, ეკონომიკის განვითარების ფართო შესაძლებლობები მისცა.

საქართველოში სოფლის მეურნეობა, ანუ აგროსექტორი, პრიორიტეტულ დარგადაა მიჩნეული. ევროკავშირში ექსპორტის გაფართოებაზე ქვეყანამ აგროსექტორზე უნდა გააკეთოს ფოკუსირება. ამ პოლიტიკის გატარება დაწყებულია, მაგრამ მას წინ მრავალი ბარიერები ხვდება.

დასაბუთებულია, რომ დღეს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე არ არის კონკურენტუნარიანი. ამის მიზეზი არის მაღალი ხარჯები, დაბალი ხარისხი, საექსპორტო ნაკადების მცირე მოცულობა და სხვა. თავის მხრივ, ამას იწვევს საქართველოს აგროსექტორში მცირე ფერმერთა სიმრავლე, რომლებსაც ბაზარზე ადვილად ამარცხებენ იგივე პროფილის ევროპული მსხვილი აგროფირმები.

ევროკავშირთან ასოცირებით საქართველოს აგროსექტორში ჯერ-ჯერობით დადებითი ტრანსფორმაცია არ მომხდარა. ევროკავშირის ბაზრების წილი მის ექსპორტში მინიმალურია. მეტიც, ევროკავშირის მსხვილი ფირმები, რომელთაც აქვთ დაბალ ფასად პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობა, თანდათან საქართველოს შიდა სასურსათო ბაზარსაც იპყრობენ.

**საკვანძო სიტყვები:** შესაძლებლობა და საფრთხე; აგროსასურსათო პროდუქცია; ევროკავშირის ბაზარი; კოკურენტუნარიანობა.

**შესავალი**

აგრარული სექტორი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის ბერძნული წარმოშობის სახელწოდებაც - „Georgos" ქართულ ენაზე მიწათმოქმედს ნიშნავს. ასე რომ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ჩვენ ქართველებს მემკვი-

დროებით გვაქვს მიღებული, და, ამ გაგებით იგი გარკვეულად ტრადიციებთან ასოცირდება.

ყოფილ საბჭოურ საქართველოში აგრარული სექტორი მაღალგანვითარებულ დარგად ითვლებოდა. „საქსტატის" მონაცემებით მისი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში 1990 წელს 29,7%-ს შეადგენდა. დღეს იგი მხოლოდ 8%-ზე ცოტა მეტია [გველესიანი, გოგორიშვილი. 2022], თუმცა, აგრარული სექტორი დღესაც საქართველოში პრიორიტეტულ დარგად ითვლება.

საქართველოს აგროსექტორის მთავარ სუბიექტებს მცირე ფერმერები წარმოადგენენ. აგროფირმების საერთო როდენობაში 1 ჰექტარამდე მიწის მქონე ფერმერთა წილი 75%-ს აღემატება. მიწის ფონდის ასეთი ფრაგმენტაცია აბსოლუტურად გამორიცხავს მასშტაბის ეკონომიის მიღების შესაძლებლობას. ამას ემატება მოძველებული და თითქმის განადგურებული სასაწყობო მეურნეობები, სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, მაღალი ფასების გამო ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმსიაწვდომობა და მრავალი სხვა.

ასეთ სიტაციაში სრულიად გამართლებულია დავსვათ კითხვა - ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის 2014 წლის ასოცირების შეთანხმებით შემოთავაზებული ღრმა, ყოვლისმომცველი და თავისუფალი სავაჭრო სივრცე საფრთხეა თუ შესაძლებლობების გაფართოება საქართველოს აგროსექტორისთვის? ეს შეთავაზება მისცემს წარმოებას გაფართოების შანსს ქართველ მცირემიწიან აგროფირმებს, რომ მათ ჯეროვანი კონკურენცია გაუწიონ ევროკავშირის ბაზრებზე წარმოდგენილ კონკურენტებს, თუ იგი ევროკავშირის ფერმერებისთვის მეტი მოგების მიღების ჩანაფიქრია?

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ კითხვებზე პასუხების გაცემას და ამ სფეროში წარმოქმნილი გამოწვევების გადასაჭრელად რეკომენდაციების შემუშავებას.

### ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, ევროკავშირის შექმნით დაიწყო ევროპიზაციის პროცესი. ეს პროცესი შეეხო საქართველოსაც. 2003 წლის მარტში ევროკავშირმა წარმოადგინა დოკუმენტი - „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისთვის". ევროკავშირის ამ მეზობლების რიცხვში მოხვდა საქართველოც. უკვე 2006 წლის 14 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გამართულ ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივ საბჭოს შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას - „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: სამოქმედო გეგმა ევროკავშირი-საქართველო". ეს შეთანხმება გულისხმობდა მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში, რომელთა შორის პირველ ნომრად დასახელებული იყო **ევროკავშირის ბაზრებზე დაშვება** [http://www.eu]. ამან თავისი განვითარება ჰპოვა ზემოთდასახელებულ სამოქმედო გეგმით საქათველოსთვის შეთავაზებულ მესამე პრიორიტეტულ მიმართულებაში - **ეკონომიკური განვითარება, სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის დაძლევა**, რომლის უზრუნველსაყოფად დასახელებულია ასეთი ღონისძიება: **ევროკავშირმა და საქართველომ ერთობლივად შეისწავლონ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო შეთანხმების დადების ჩათვლით**.

2006 წლიდან 2014 წლამდე ორივე მხარემ იმუშავა ამ ღონისძიების შესრულებაზე, და, როგორც ცნობილია 2014 წელს ევროკავშირს და საქართველოს შორის გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, რომლის ერთ-ერთი მიმართულება იყო ღრმა, ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შექმნა. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს მრავალი სარგებლის მიღებას ჰპირდებოდა და დღესაც ჰპირდება . ესენია: ევროპაში ქართული პროდუქციისთვის საექსპორტო ბაზრების გაფართოება, ახალ საწარმოთა დაფუძნება, ახალი საექსპორტო პროდუქციის გამოშვება, სტაბილური ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბება და მრავალი სხვა. ამის უზრუნველყოფის გარანტი იყო (და არის) ასოცირების შეთანხმების SWOT-ანალიზი, საიდანაც ჩანს, რომ დასახელებულ შეთანხმებას 8 ძლიერი მხარე და 11 შესაძლებლობა აქვს, სუსტი მხარეების და საფრთხეების რიცხვი კი არის მხოლოდ 9.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიზნად დავისახეთ წარმოგვედგინა დღეის მდგომარეობით რა

სარგებელი ვერ მიიღო საქართველომ ევროკავშირთან ვაჭრობით და რა (ან ვინ) იყო ამის მიზეზი. მეცნიერ გრიგოლ მენქიუს აქვს ასეთი გამონათქვამი: „საერთაშორისო ვაჭრობა არ ჰგავს ომს, რომელშიც ზოგი ქვეყანა იმარჯვებს, ზოგი კი მარცხდება. ვაჭრობა ყველა ქვეყანას მეტი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას აძლევს" [მენქიუ. 2008, გვ. 176]. დაახლოებით მსგავს აზრს გამოთქვამს ფ. ლისტიც. მისი აზრით, „ერი მით უფრო მდიდარი და მძლავრია, რაც უფრო მეტ სამრეწველო ნაწარმს გაიტანს საზღარგარეთ და, რაც უფრო მეტ ნედლეულს შემოიტანს" [ფუტკარაძე. 2010]. ქართველი მეცნიერი ვლადიმერ პაპავა, რომელსაც ამ თემაზე ბევრი ნაფიქრ-ნააზრევი აქვს, წერს: „ნებისმიერი ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ზეგავლენას ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს" [პაპავა. 2020].

ამ შეხედულებების თანხმად არცერთ ქვეყანას არ შეუძლია ეკონომიკის მდგრადი განვითარება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, მ. შ. სავაჭრო ურთიერთობების გარეშე [გელიაშვილი. 2023]. ამ აზრს ვეთანხმებით ჩვენც. მსოფლიოს ქვეყნების საგარეო ურთიერთობების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგარეო სვაჭრო ურთიერთობებს ინტენსიურად ავითარებენ არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ, ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობის გაფართოვება მნიშვნელოვანია მისთვის.

ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს მიერ ევროკავშირთან 2014 წელს ასოცირების შეთანხმების დადებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაფართოების დიდი შანსი მიეცა. ევროკავშირის შიდა ბაზარი 27 ქვეყნით და 500 მლნ მომხმარებლით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მისი წილი საერთაშორისო ვაჭრობაში 20%-მდეა [ფუტკარაძე. 2010]. ყოველივე ამის მიუხედავად, თვით ევროკავშირის ინტერნეტ-გვერდი [Europa.eu.int] გვამცნობს, რომ დღეს საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირის ბაზარზე მეტად მოკრძალებულია. ზოგადად იგი იზრდება, მაგრამ არასაკმარისად. იგივე ეხება საქონლის საექსპორტო ნაკადების დივერსიფიცირებასაც.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დადებიდან დღემდე 9 წელი გავიდა. ეს პერიოდი ისეთი დიდია, რომ თუ ამ პერიოდში ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოს საექსპორტო ვაჭრობაში მისი ზრდის მიმართულებით სერიოზული ცვლილებები მოხდებოდა, მაშინ, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ ევროკავშირთან, არამედ, მთლიანად მსოფლიოს ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის საერთო ბალანსი უარყოფითი აღარ იქნებოდა, რადგან ეს არ მოხდა, შედეგად საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთელ მსოფლიოსთანაც და, ცხადია, ევროკავშირთანაც კვლავაც უარყოფითია.

ცხრილი 1 გვიჩვენებს, ეროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობას, როგორც ასოცირების შეთანხმების დადებამდე, ე. ი. 2014 წლამდე, ისე მის შემდეგ 2023 წლის ჩათვლით. ირკვევა, რომ 2023 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის უარყოფითი სალდო 2995700 ათასი აშშ დოლარია, რაც 44,4%-ით აღემატება დასახელებულ შეთანხმებამდე, კერძოდ, 2012 წელს არსებულ უარყოფით სალდოს (-2074065 ათასი აშშ დოლარი).

საანალიზო პერიოდში (2012-2023 წლები) ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 58,4%-ით გაიზარდა და მან 2023 წელს 4 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მასში იმპორტს ეკავა 84% (2012 წელს - 87%), ხოლო ექსპორტს - 16% (2012 წელს - 13%) (იხ. ცხრილი 2). ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების ერთ-ერთ მთავარ მიზანს ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ზრდა წარმოადგენდა. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე ჩატარებულ ერთ-ერთი კვლევის თანახმად ასოცირების შეთანხმებით „საქართველოს ექსპორტი მოკლევადიან პერიოდში 9%-ით, ხოლო გრძელვადიან პერიოდში 12%-ით გაიზრდებოდა, იმპორტი კი, შესაბამისად, 4,4%-ით და 7,5%-ით [Ecorys/CASE, 2012, p. 37]. მაშასადამე, იმპორტთან შედარებით ექსპორტის უპირატესი ზრდის მოლოდინი არსებობდა, რაც სინამდვილეში აღსრულდა კიდეც, თანაც აღმატებულ ხარისხში - 2023 წელს 2012 წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 99,5%-ით, იმპორტი კი - 52,4%-ი. მაშასადამე, ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის დინამიკა დადებითია, თუმცა, შეინიშნება მისი სტრუქტურის არასახარბიელობა (იხ. ცხრილი 2), და, აგრეთვე, საქართველოს მთლიან ექსპორტში ევროკავშირის მიზერული ხვედრითი წილი.

ცხრილი 1. ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი (ათასი აშშ დოლარი)

| პერიოდი | წლები | იმპორტი | ექსპორტი | ბრუნვა (2+3) | ბალანსი (3-2) |
|---|---|---|---|---|---|
| ასოცირების შეთანხმების დადებამდე | 1995 | 114091 | 7238 | 121329 | -106853 |
| | 2000 | 161536 | 78874 | 240410 | -82662 |
| | 2005 | 740323 | 216756 | 957079 | -523567 |
| | 2012 | 2427137 | 353068 | 2780205 | -2074065 |
| ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ | 2017 | 2109159 | 709730 | 2818889 | -1399429 |
| | 2018 | 2407943 | 787556 | 3195499 | 1620387 |
| | 2019 | 2346270 | 882627 | 3228897 | -1463643 |
| | 2020 | 1859076 | 796844 | 2655920 | -1062232 |
| | 2021 | 2335733 | 796137 | 3131870 | -1539596 |
| | 2022 | 3060412 | 862525 | 3922937 | -2197887 |
| | 2023 | 3700000 | 704300 | 4404300 | -2995700 |
| | დინამიკა 2023 წელი %-ად 2012 წელთან | 152,4 | 199,5 | 158,4 | 144,4 |

წყარო: „საქსტატის ინფორმაცია“

ცხრილი 2. ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სტრუქტურა

| | მთლიანი ბრუნვა | | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | იმპორტი | | ექსპორტი | |
| | ათასი აშშ დოლარი | % | ათასი აშშ დოლარი | % | ათასი აშშ დოლარი | % |
| 2012 | 2780205 | 100 | 2427137 | 87 | 353068 | 13 |
| 2023 | 4404300 | 100 | 3700000 | 84 | 704300 | 16 |
| ბრუნვის სტრუქტურის ცვლილება | - | - | - | -3,0 | - | +3,0 |

წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

მასში იმპორტს უკავია 84%, ხოლო ექსპორტს - 16%. ასე რომ, ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდეც და მის შემდეგაც, ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში იმპორტს უკავია 5-ჯერ მეტი ხვედრითი წილი ექსპორტთან შედარებით (2012 წელს ეკავა 6,5-ჯერ მეტი). აღნიშნულ ბრუნვის სტრუქტურაში ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდის კუთხით გარკვეული გაუმჯობესება არის, მაგრამ, ჯერ-ჯერობით იგი მიზერულია და სავაჭრო ბალანსის უარყოფით ნიშნულს დადებითით ვერ ცვლის. ეს მაშინ მოხდება, თუ ევროკავშირის ბაზრებზე გამსვლელი საქართველოს საექსპორტო საქონლის ნაკადები მოცულობითაც გაიზრდება, მრავალფერვნები-

თაც და ევროკავშირიდან იმპორტირებული რიგი საქონლის, განსაკუთრებით აგროსასურსათო საქონლის ჩანაცვლებაც მოხდება ადგილობრივი წარმოების საქონლით.

იმპორტჩანაცვლების საკითხის განხილვისას უნებლიედ გვახსენდება საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშეს ნათქვამი: „საქართველოს პრიორიტეტი უნდა იყოს იმპორტჩანაცვლება... ეს არის ის, რაზეც თქვენ უნდა დაფიქრდეთ“. დასანანია, რომ ამ საკითხზე საქართველოს შესაბამისი ორგანოები ნაკლებად ან თითქმის არ ფიქრობენ. ამის შედეგია ის, რომ საქართველოს მოსახლეობა კვების პოდუქტებში 80%-ით იმპორტზეა დამოკიდებული. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ის პროცენტია, რომელიც FAO-ს რეკომენდაციით ქვეყნისთვის თვითუზრუნველყოფის ნორმად არის აღიარებული. მეცნიერებს, გვინდა არ გვინდა, გვიჩნდება ეჭვი, რომ იმპორტჩანაცვლების პრობლემის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით აგროსასურსათო პროდუქციის ხაზით, რაღაცა „წყალქვეშა ქვები“ არ არის დამარხული“, რომელთა ამოქექვას საქართველოს მთავრობა სპეციალურად გაურბის. აბა, სხვა რა მიზეზი მოვუძებნოთ იმ ვითარებას, როდესაც პრიორიტეტად მიჩნეულ სოფლის მეურნეობის ქვეყანაში ფრინველის ხორცით თვითუზრუნველყოფა - 25%-ია, ღორის ხორცით - 45%, ბოსტნეულით - 64% და ა. შ.

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი პარტნიორია. საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის სტრუქტურაში გამოირჩევა ისეთი სასაქონლო ჯგუფები, როგორიცაა თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინო, კაკალი, სპილენძის მადნები, ფერშენადნობები, ეთილის სპირტი, სასუქები, მინერალური და მტკნარი წყალი და სხვა. საქართველოს მთლიან ექსპორტში მათ საშუალოდ უკავიათ: კაკალს და თხილს - 65-80%, ყურძნის ნატურალურ ღვინოებს - 16-19%, სპირტს - 6%, მინერალურ სასუქებს - 23-65%, სპილენძის კონცენტრატებს - 100%, შავი ლითონის ნარჩენებს - 5-10%, ფეროშენადნობებს - 3-4% და ა. შ. [ფუტკარაძე, 2010, გვ. 124]. მთლიანობაში ევროკავშირს საქართველოს ძირითად პროდუქციის ექსპორტში - 23%, ხოლო დანარჩენ პროდუქციის ექსპორტში - 19-20% უკავია.

რაც შეეხება იმპორტს, ევროკავშირიდან საქართველოში შემოდის მსუბუქი ავტომანქანები, ნავთობპროდუქტები, სამკურნალო პრეპარატები, ფრინველის ხორცი, შაქარი, შოკოლადის ნაწარმი, გამოთვლითი მანქანები, გადამცემი აპარატურა და სხვა. საქართველოს მიერ განხორციელებულ მთელ იმპორტში ევროკავშირს უკავია ნავთობპროდუქტებში საშუალოდ - 31-30%, მსუბუქ ავტომანქანებში - 32-48%, სამკურნალო პრეპარატებში - 57-58%, გადამცემ აპარატურაში - 32-42%, გამომთვლელ მანქანებში - 59-61% და ა. შ. მთლიანობაში ძირითად პროდუქციის იმპორტში მისი წილი საშუალოდ - 27-30%-ია, დანარჩენ არაძირითად პროდუქციაში კი - 27-29% [ფუტკარაძე. 2010. გვ. 126].

საქართველოდან ევროკავშირში დღეს განხორციელებულ ექსპორტს, ცხადია, გაზრდა-განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მისი ათვისება, როგორც წერს მეცნიერი მ. კაკულია დამოკიდებულია ამ ორ მხარეს შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში არსებული შესალებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე [კაკულია. 2007. გვ. 104]. ეს მაქსიმალიზმი უნდა გამოიხატოს საქართველოს მხრიდან ევროპული სტანდარტების დონეზე წარმოებული საექსპორტო საქონლის მოცულობის ზრდასა, ხარისხის გაუმჯობესებასა და სახეობრივ დივერსიფიცირებაში (ამას საქართველოდან მოითხოვს ევროკავშირი), ხოლო ევროკავშირის მხრიდან - სხვადასხვა აკრძალვების და სავაჭრო ბარიერები მინიმიზაციაში, როლებიც მის მიერ გამოიყენება არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში [პაპავა. 2020. გვ. 199].

პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქართველოდან ექსპორტზე მომუშავე კომპანიებს უძნელდებათ საექსპორტო პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც, მოცულობის გაზრდაც და მისი დივერსიფიკაციაც. ევროკავშირის მოთხოვნები ქართულ პროდუქციის სტანდარტის მიმართ სხვა ქვეყნებთან (დსთ, ჩინეთი და სხვები) შედარებით მკაცრია. ამიტომაც, ევროკავშირს საქართველოს მთლიან ექპორტში საკმაოდ მოკრძალებული ხვედრითი წონა უკავია (იხ. ცხრილი 3). ამასთან, არც მისი დინამიკაა ჩვენთვის სახარბიელო.

**ცხრილი 3. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა მსოფლიოს ქვეყნების ჯგუფების მიხედვით**

| | 2012 | 2018 | 2020 | 2022 |
|---|---|---|---|---|
| სულ ექსპორტი: | | | | |
| ● ათასი აშშ დოლარი | 2327455 | 3379657 | 3340698 | 5583425 |
| ● % პროცენტი | 100,0 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | |
| **1. ევროკავშირი**: | | | | |
| ● ათასი აშშ დოლარი | 353068 | 787556 | 796844 | 862525 |
| ● პროცენტი | 15,1 | 21 | 20,9 | 15,4 |
| **2. დსთ-ის ქვეყნები**: | | | | |
| ● ათასი აშშ დოლარი | 1245777 | 1689136 | 1505873 | 2685624 |
| ● პროცენტი | 54,6 | 50,0 | 45 | 48,1 |
| **3. დანარჩენი ქვეყნები**: | | | | |
| ● ათასი აშშ დოლარი | 728610 | 977781 | 2492328 | 2035271 |
| ● პროცენტი | 31,3 | 29 | 34,1 | 36,5 |

**წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის" ინფორმაციაზე დაყრდნობით**

თუ 2012 წელს, ე. ი. ასოცირების შეთანხმების გაფართოებამდე, რომელმაც საქართველოს კომპანიებს მისცა ევროკავშირის ბაზრებზე თავისუფალი სავაჭრო სივრცე, საქართველოს მთელ ექსპორტში ევროკავშირის ხვედრითი წილი მხოლოდ 15,1% იყო, 2018-2020 წლებში იგი მართალია 21%-მდე ამაღლდა, მაგრამ, 2022 წელს კვლავაც თითქმის 2012 წლის დონემდე შემცირდა (15,4%). 2023 წლს კი მან კიდევ უფრო ნაკლები - 11,6% შეადგინა [ეთერია. 2024]. შემცირებისკენ ცვლილება დსთ-ს ქვეყნების ხვედრით წილშიც მოხდა (2012 წელს 54,6%, 2022 წელს - 48,1%), მაგრამ, ქვეყნების ამ ჯგუფს საქართველოს ექპორტში 2012 წელსაც ეკავათ ნახევარზე მეტი და 2022 წელსაც დაიკავეს თითქმის ნახევარი (48,1%). ასე რომ, საქართველოს ევროინტეგრაციის შეუქცევადობა, მართალია, დღეს საზოგადოების არჩევანით გადაწყვეტილია, მაგრამ ვექტორის ამ შემობრუნებამ რუსეთიდან ევროპისკენ ჯერ-ჯერობით დადებითი კვალი ვერ დაატყო საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას, ანუ ვერ მოხდა ჩვენი ექსპორტის ჩვენთვის სასარგებლო „ევროპეიზაცია". ჯერ-ჯერობით დიდწილად მაინც ვვაჭრობთ დსთ-ს ქვეყნებთან, ძირითადად, რუსეთთან. 2022 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის ბრუნვაში რუსეთმა 23,9% დაიკავა [საქართველოს სტატისტიკური... 2023. გვ. 256]. მის 65,2%-ს ანუ 419 მლნ აშშ დოლარის ღირებულებას ქართული აგროსასურსათო პროდუქცია შეადგენდა. და ეს მაშინ, როდესაც იმავე წელს იგივე სახის აგროსასურსათო პროდუქცია ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოდან მხოლოდ 173 მლნ დოლარის ღირებულების გავიდა [საქართველოს აგროსასურსათო... 2023. გვ. 4]. საქართველოს რომ ევროკავშირის ბაზარზე დსთ-ის ქვეყნების ბაზრებთან შედარებით გაცილებით უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს, ამაზე ბევრჯერ იქნა აღნიშნული წინა წლებშიც ქართველი მეცნიერების მიერ [ღლანიძე. 2017, გვ. 123; საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი... 2017, გვ. 16-25]. მათ მიერ თავის დროზე ისიც ითქვა, რომ მართალია ევროკავშირმა ბევრი შეღავათები მისცა საქართველოს, მაგრამ ასეთ შეღავათებს იგი ყველა იმპორტიორს სთავაზობს და ამდენად, რამე უპირატესობის მიღწევა მხოლოდ სავაჭრო რეჟიმის ხარჯზე შეუძლებელი იქნება" [ღლანიძე, 2017. გვ. 129]. ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ექსპორტის ხაზით ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოს სერიოზული ბარიერები აქვს, რომელთა დაძლევა მან 2014 წლიდან დღმდე ვერ მოახერხა. ამ ბარიერებიდან სახელდება როგორც პირდაპირი ბარიერები - პროდუქციის ხა-

რისხი, ნებართვები, ქვოტები, ლიცენზიები, ისე არასატარიფო ბარიერები - სანიტარული, ფიტოსანიტარული და სხვა [ხარაიშვილი. 2023. გვ. 103]. ცხადია, ეს მოთხოვნები ევროკავშირს ყველა ქვეყნისთვის აქვს დადგენილი და საქართველოც გამონაკლისი არ არის. ეს ყოველივე ხდება ისეთ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ 2005 წელს, ანუ „ღრმა, ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" შეთანხმების გაფორმებამდე ევროკავშირმა მიიღო და აამუშავა პრეფერენციათა (შეღავათები) განახლებული გენერალიზებული სისტემა-GSP, რომელიც საქართველოზეც გავრცელდა. ეს არის საექსპორტო საქონლის 10300 დასახელებაზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთი და სხვა სახის შეღავათები [ფუტკარაძე. 2010, გვ. 131]. როგორც ჩანს, საქართველო თავის საექსპორტო ნაკადებში ვერ ავსებს საქონლის ამ ჩამონათვალს. ეს ხელს უშლის როგორც ექსპორტის მოცულობის ზრდას, ისე ბაზრის დივერსიფიკაციას. სათქმელია ისიც, რომ ევროკავშირი საქართველოს და მის მსგავს განვითარებად ქვეყნებს უპირატესად სამრეწველო საქონელზე აძლევს მნიშვნელოვან შეღავათებს, ასეთ დროს, განვითარებად ქვეყნებს, მ. შ. საქართველოს, საექსპორტოდ აგროსასურსათო პროდუქციის მეტი პოტენციალი გააჩნიათ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თავისი დაბალი ტექნოლოგიურობის მიზეზით ნდლეულად აღიქმება, ნედლეულზე კი დაბალი ფასების გამო, პრეფერენციები უმნიშვნელოა {ღაღანიძე, 2017, გვ. 129].

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის გაზრდის მნიშვნელოვანი ბარიერებია არასატარიფო მოთხოვნები, კერძოდ, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები. ევროკავშირისაქართველოს ასოცირების შეთანხმებაში (DCFTA) 9 თავი უკავშირდება არასატარიფო ზომების მოწესრიგებას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პორტალზე მონიშნულია საქართველოს ევროკავშირის მხრიდან 15 შემზღუდველი სავაჭრო ზომის გამოყენება [გელიაშვილი. 2024, გვ. 128]. კვლევებით დადგენილია ისიც, რომ ევროკავშირს 2009-2018 წლებში საქართველოს მიმართ გამოუყენებია ვაჭრობის დამაზიანებელი 38 ღონისძიება [პაპაშვილი, 2018, გვ. 44]. ისიც დადგენილია, რომ ევროკავშირის ეტიკეტირების, ხარისხის, მარკირების და სხვა ნორმები დიდად დამაბრკოლებელია ექსპორტზე მომუშავე საქართველოს მცირე ზომის აგროფერმერებისთვის [გელიაშვილი, 2024, გვ. 124]. ძნელია ქართველი მცირე მწაროებლებისთვის პროდუქციის ხარისხის ამაღლება. მეწარმეების 97% ამას ადასტურებს. აი, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს საექსპორტო საქონლის ნაკადები დსთ-ის ქვენებთან ტრადიციულად არსებული ვაჭრობის (მიმოქცევის) არხებიდან პრაქტიკულად ვერ „გადმოიტვირთა" ევროკავშირის ქვეყნებისკენ შექმნილ მიმოქცევის არხებში, ე. ი. ჯერ-ჯერობით ვერ მოხდა „დიდი გადმოტვირთვა". ამის მიზეზი არის დსთ-ის ქვეყნებთან წლების წინ დამკვიდრებული ვაჭრობის პრაქტიკა, მათ ბაზრებზე ნაკლები ბარიერები, მათთან ურთიერთობის ჩვევაც (თუნდაც ენობრივი ბარიერის არქონა) და რაც მთავარია, ევროპასთან ქართველი ექსპორტიორების სავაჭრო ურთიერთობების, როგორც თეორიული ცოდნის დეფიციტი, ისე პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა.

საქართველოს ისტორიულადაც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო და დღესაც ჯერ-ჯერობით ასეთივეა. საქართველოდან ევროკავშირშიც და სხვ ქვეყნებშიც ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია [აგროსასურსათო პროდუქცია) გადის. საქათველოს აგროფირმები ძირითადად წვრილი მეურნეობებია. მათი მეპატრონეები ის გლეხებია (ან უკვე მათი შვილები), რომელთაც 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საკუთრებაში მიწები გადაეცათ. მათმა უმრავლესობამ ეს მიწები მაშინვე გაყიდა,. შეინარჩუნეს მხოლოდ მცირე ნაკვეთები, რადგან ბაზარი, მით უფრო უცხოეთის ბაზარი, მათ თეორიულადაც კი არ იცოდნენ. საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ინფორმაციით 2023 წლის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობაში (სატყეო და თევზის მეურნეობის ჩათვლით) ირიცხება 2652 აქტიური აგროსაწარმო (ბიზნეს-სექტორი... 2023, გვ. 26). ესენი ძირითადად მცირემიწიანი ფერმერები არიან, რომლებიც ვერც კოოპერატივებად და ალიანსებად გაერთიანებას ახერხებენ, და ამის გარეშე, ცალკე, ურთიერთიზოლირებულად ევროკავშირის მოთხოვნას - ერთგვაროვანი საქონლის მსხვილი პარტიებით მიწოდებაზე - ვერ აკმაყოფილებენ. აგროფირმების დასახელებულ რიცხვში ცხადია, არიან შედარებით მსხვილი და საშუალო სიდიდის ფირმებიც, მაგრამ, ჯერ ერთი მათი რიცხვი მცირეა

და მერე მეორე, ისინი საქართველოს პირობებში ითვლებიან საშუალო ან მსხვილ საწარმოდ და არა ევროპის პარამეტრებით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ერთგვაროვანი საექსპორტო საქონლის დიდი პარტიობით შეკვრა და ევროპისთვის მიწოდება, მათაც არ შეუძლიათ.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ დაჩქარდეს ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ მცირემიწიან და ზედმეტად ფრაგმენტირებულ მიწების კოოპერატივებში გაერთიანება. ამაზე ბევრს წერენ მეცნიერები პ. კოღუაშვილი, ნ. რუხაია-მოსემღვდლიშვილი, ა. მელითაური, ი. არჩვაძე, რ. ფუტკარაძე და სხვები, და, ჩვენც მათ ვუერთდებით.

როგორც წესი, ჰეკშერ-ოლინის თეორიების მიხედვით ქვეყანა ახორციელებს იმ საქონლის ექსპორტს, რომელშიც სხვა ქვეყნებთან შედარებით კონკურენტული უპირატესობა აქვს და, რომელიც მიიღწევა მისთვის ჭარბი ფაქტორების გამოყენებით [კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი, 2017]. რადგან, ექსპორტში საქართველოს, ძირითადად, აგროსასურსათო ორიენტაცია აქვს აღებული, ჩვენ დავინტერესდით და ვიანგარიშეთ ევროკავშირში ამ პროდუქციის ექსპორტზე კონკურენტული (ფარდობითი) უპირატესობა, გაანგარიშება მოვახდინეთ შემდეგი ფორმულით [საქართველოს საგარეო სავაჭრო... 2017, გვ. 11]:

$$\mathbf{BCA_k = (X_k \vdots E_k): (X_w \vdots E_w)}$$

ფორმულაში:

$X_k$ - არის საქართველოდან აგროსასურსათო სასაქონლო-ჯგუფის ექსპორტი ევროკავშირში.

$E_k$ - არის საქართველოდან მთლიანი ექსპორტი ევროკავშირში.

$X_w$ - არის აგროსასურსათო ჯგუფის საქონლის მსოფლიო ექსპორტი საქართველოდან.

$E_w$ - არის მთლიანი მსოფლიო ექსპორტი საქართველოდან.

„საქსტატის" ინფორმაციით ეს მაჩვენებლები 2022 წელს საქართველოში შეადგენდა:

$X_k$ – 173 000 ათასი აშშ დოლარი.

$E_k$ – 862 525 ათასი აშშ დოლარი.

$X_w$ – 1262 000,0 ათასი აშშ დოლარი.

$E_w$ – 5583425 ათასი აშშ დოლარი.

ამ ფორმულის არსი იმაშია, რომ თუ ($X_k \vdots E_k$) მეტი აღმოჩნდება ($X_w \vdots E_w$)-ზე, მაშინ, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციას ევროკავშირის ბაზარზე გააჩნია კონკურენტული უპირატესობა. „საქსტატის" 2022 წლის ინფორმაციის ფორმულაში ჩასმით მივიღეთ, რომ საქართველოს აგროსექტორის პროდუქციას არა აქვს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა

$$\left[BCA_k = \left(\frac{173000.0}{862525.0}\right) : \left(\frac{1262000.0}{5583425.0}\right) = 0.20 : 0.22 = 0.91\right].$$

კონკურენტუნარანობის დასასაბუთებლად $BCA_k$ - მაჩვენებელი 1,90-ის ტოლი ან მასზე მეტი (>1,0) უნდა იყოს. ჩვენს მიერ მიღებული შედეგი მასზე ნაკლებია.

მაშასადამე, დღეს საქართველოს აგროპროდუქცია ევროპის ბაზარზე არაკონკურენტუნარიანია, რადგანაც საქართველოს მცირე სიდიდის აგროკომპანიები არ არიან მზად მასიურად გაუწიონ კონკურენცია ევროკავშირის ბაზრის მსხვილ მოთამაშეებს. შეიძლება საქართველოს რამოდენიმე ადგილობრივი პირობებისთვის შედარებით მსხვილი აგროფირმა ევროკავშირის ბაზრებზე ვაჭრობით რაღაცა შედეგს მაინც იღებს, მაგრამ, „ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს გაზაფხულს". ლიბერალური ვაჭრობის პირობებში ევროპის მსხვილ აგროფირმებს ყოველთვის შეუძლიათ ბაზარზე გაჩაღებულ კონკურენციაში საქართველოს როგორც მცირე აგროფირმების, ისე საშუალო და მსხვილი ფერმების დამარცხებაც. მეტიც, თუ საქართველოს მთავრობამ დროულად არ გაატარა შექმნილი არასახარბიელო ვითარების შემცვლელი ადექვატური პოლიტიკა, საფრთხე ექმნება საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის შიდა ბაზარსაც. როგორც უკვე აღვ-

ნიშნეთ კიდეც, ევროპის ზემოთდასახელებული მსხვილი აგროფირმების უმრავლესობა იყენებს რა თავის კონკურენტულ უპირატესობებს (მაგალითად, მასშტაბის ეკონომიით დანახარჯების შემცირებას) ქართველ იმპორტიორებს დაბალ ფასად აწოდებს პროდუქციას და ამ გზით საქართველოს შიგა ბაზარსაც იპყრობს. ეს პროცესი უკვე დიდი ხანია დაწყებულია და საქართველოს აგრობაზარი გაჯერებულია იაფფასიანი იმპორტირებული აგროპროდუქციით, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მწარმოებლებს და თუ ასე გაგრძელდა, მომავალში კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს მათ.

## დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა, რომ ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში საქართველოს შესაძლებლობების სრულმასშტაბიანი გაფართოვება და დადებითი ტრანსფორმაცია ჯერ-ჯერობით არ მომხდარა. საქართველოს კომპანიებს საერთაშორისო კონკურენციაში სრულყოფილი ჩართვისთვის წინასწარ აუცილებლად სახელმწიფო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სჭირდებათ. ეს განსაკუთრებით ეხება აგროსექტორის ფირმებს, რომელთა 75% ხელით შრომაზე დაფუძნებული წვრილი მეურნეობებია. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, არაერთგვაროვანია, ექსპორტისთვის მცირე მოცულობისაა და ა. შ. ასეთ პირობებშია დღეს საქართველოს აგროსექტორი, და, ამიტომაც, მისი პროდუქცია ევროკავშირში არაკონკურენტუნარიანია. ეს პროცესი იწყება შიდა ბაზარზეც. ასე რომ, ქართველ აგროფირმებს საფრთხე ექმნება შიდა ბაზარზეც. საჭიროდ ვთვლით, საქათველოს მთავრობამ არ დაიშუროს არც ორგანიზაციული, მეთოდური თუ ფინანსური ძალისხმევა საქართველოს აგროსექტორის გაძლიერებისთვის, მისი მცირე და საშუალო ზომის აგროფირმების კოოპერატივებში და ალიანსებში გაერთიანებისთვის. ამის გარეშე ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებული 500 მილიონიანი სამომხმარებლო თავისუფალი ბაზარი მრავალი ხილული და არახილული საფრთხეების შემცველი იქნება, შესაძლებლობების გაფართოება კი, რომელსაც თითქოს გვპირდება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება, ქაღალდზე დაწერილ აუსრულებელ ოცნებად დარჩება. ამ ოცნების ახდენა შეიძლება მხოლოდ საქართველოს აგროსექტორის ევროპული ტრანსფორმაციით, ცხადია, ქართული ღირებულებების და ფასეულობების დაცვის პირობებში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. და სხვები, ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი 2. თსუ, 2022.
2. http://222.eu-nato.gov.ge/eu/nelghborhood-policy/
3. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008.
4. ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2010. გვ. 100, 134.
5. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკა. თბ., 2020.
6. გელიაშვილი ნ. საქართველოს ევროინტეგრაციული სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფა. დისერტაცია. თბ., 2024. გვ. 55.
7. Ecorys/CASE (2012). Trade Sustainability Impact Assessment in Support of Negotiations of a DCFTA Between the EU and Georgia and the Republic of Moldova. Final Report Rotterdam.
8. კაკულია მ. ორმხრივი ვაჭრობის განმტკიცება. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თბ., 2007. გვ. 104.
9. ღაღანიძე გ. ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობები ევროკავშირის ბაზარზე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #3. 2017. გვ. 119-130.
10. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. თსუ. 2017.
11. ეთერია ე. საქართველ-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები 2014-2023 წლებში. ჟ.

„ეკონომისტი". #1. 2024.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2023.
13. საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2023.
14. ხარაიშვილი ე. ატიპიური კრიზისის გავლენა ხილის ბაზარზე: სტრუქტურული ცვლილებები და გამოწვევები. ჟ. „ბიზესი და ეკონომიკა". #3. 2023. გვ. 90-105.
15. ბიზნეს-სექტორი საქართველოში. თბ., 2023.
16. პაპაჩაშვილი ნ. არასატარიფო ზომები საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაში სავაჭრო ნეოპროტექციონიზმის კონტექსტით. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი". #2. 2018. გვ. 42.
17. კრუგმანი ა., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2017.

**REFERENCES:**

1. Gvelesiani R., Gogorishvili I. and others, economic policy. Book 2. TSU, 2022
2. http://222.eu-nato.gov.ge/eu/nelghborhood-policy/
3. Menkiu G. Principles of economics. Tb., 2008.
4. Putkaradze R. Georgia-EU trade and economic relations: problems and perspectives. Tb., 2010. p. 100, 134
5. Papava vl.- Unconventional economy. Feb., 2020.
6. Geliashvili N. Perfection of the European integration trade and economic policy of Georgia. thesis. Tb., 2024. p. 55.
7. Ecorys/CASE (2012). Trade Sustainability Impact Assessment in Support of Negotiations of a DCFTA Between the EU and Georgia and the Republic of Moldova. Final Report Rotterdam.
8. Kakulia M. Strengthening of bilateral trade. EU neighborhood policy and Georgia. Independent expert analysis, Friedrich Ebert Foundation. Tb., 2007. p. 104.
9. Ghaganidze G. Export potential of Georgian products and competitive advantages in the EU market. J. "Economy and Business". #3. 2017. p. 119-130.
10. Main directions of improvement of foreign trade balance of Georgia. TSU. 2017.
11. Etheria e. Georgian-EU economic relations in 2014-2023. J. "economist". #1. 2024.
12. Statistical Yearbook of Georgia. Tb., 2023.
13. Export-import of agro-food products of Georgia, Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia. 2023.
14. Kharaishvili E. Impact of the atypical crisis on the fruit market: structural changes and challenges. J. "Bizez and Economy". #3. 2023. p. 90-105.
15. Business sector in Georgia. Tb., 2023.
16. Papachashvili N. Non-tariff measures in Georgia-EU trade in the context of trade neo-protectionism. J. "Economy and Business". #2. 2018. p. 42.
17. Krugman A., Obstfeld M., Melitz M. International Economics: Theory and Practice. Tb., 2017

# DEEP, COMPREHENSIVE AND FREE TRADE WITH THE EUROEPAN UNION FOR THE AGRICULTURAL SECTOR OF GEORGIA, IS IT A THREAT OR AN OPPORTUNITY EXPANSION?

**Levani Kereselidze**
Doctor of Business Administration,
TSU invited professor,
E-mail: levan.kereselidze@tsu.ge

**Shalva Kereselidze**
GTU Associate professor
E-mail: kereselidzeshalva@gmail.com

**Davit Kereselidze**
Doctor of Business Administration
E-mail: Davitkereselidze@gmail.com

**RESUME**

In the article - **"Deep, comprehensive and free trade with the European Union for the agricultural sector of Georgia, is it a threat or an opportunity expansion?"** - the question raised is discussed from the perspective of the future development of Georgian agriculture. The article mentions that no country in the world can develop properly without foreign trade. So is Georgia. Therefore, the association agreement signed by the European Union with Georgia gave it wide opportunities to expand trade in the European Union countries and, therefore, to develop the economy.

The article mentions that in Georgia agriculture, that is, the agro sector, is considered a priority field. The country should focus on the agricultural sector to expand exports to the European Union. Implementation of this policy has begun, but it faces many obstacles.

In the article, it is substantiated by proper calculation that today the agro-food products of Georgia are not competitive in the European Union market. The reason for this is high costs, low quality, small volume of export flows and others. In turn, this is caused by the abundance of small farmers in the agro sector of Georgia, who are easily defeated in the market by large European agro-firms of the same profile.

The article ends with the statement that no positive transformation has taken place in the agro-sector of Georgia associating with the European Union. The share of EU markets in its exports is minimal. Moreover, large European Union companies, which have the opportunity to sell products at a low price, are gradually capturing the domestic food market of Georgia.

**Key words:** Opportunity and threat; Agro-food products; EU market; Concurrency**.**

# აგროდაზღვევის პროგრამის შემაფერხებელი ასპექტები და სამომავლო პერსპექტივები

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-57

**ნანა ბენიძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: Nana.benidze1@atsu.edu.ge

**ჯამბულ ბიწაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: Jambul.bitsadze@atsu.edu.ge

**რეზიუმე**

გადმოცემულია აგროდაზღვევის როლი საქართველოს ეკონომიკაში და განვითარების გზები. საქართველოს კლიმატური და გეოგრაფიული მდგომარეობა ამ მიმართულების განვითარებისა და ეკონომიკის გაძლიერების საშუალებას იძლევა. ამდენად ვფიქრობთ, რომ თემა აქტუალურია.

ნაშრომში საუბარია იმ ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდა აგროდაზღვევის რისკების შესარბილებლად. მოცემულია კვლევის შედეგები, რომლის ანალიზი წარმოდგენას იძლევა არსებული რისკების ხარისხზე და აღმოფხვრის გზებზე.

ამასთან, აღნიშნულია ის პრობლემები, რომელიც ხელს უშლის აგროდაზღვევის უკეთ განვითარებას ქვეყნის მაშტაბით, კერძოდ:

1. სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა
2. კერძო აგროდაზღვევის არ არსებობა.
3. პროდუქტების ფასების შეუსაბამობა ბაზრის ფასებთან.
4. არ არსებობა აგრორისკების სრულფასოვანი დაზღვევისა.

მოცემულია, ჩატარებული გამოკითხვის კვლევის შედეგები ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები, კერძოდ:

1. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს აგროდაზღვევის პროგრამას, რათა ის ფერმერებზე მორგებული გახადოს.
2. სასურველია ფერმერებმა სახელმწიფო პროგრამის დამოუკიდებლად შეძლონ კერძო აგროდაზღვევის შეძენა;
3. აუცილებელია გადაიხედოს აგროდაზღვევის პროდუქტების ფასები, რადგან არ შეესაბამება ბაზრის ფასებს.
4. საჭიროა აგრო რისკების სრულფასოვანი დაზღვევა.

ყოველივე ამის გათვალისწინება ხელს შეუწყობს აგრო რისკებში არსებულ პრობლემების გადაჭრას ქვეყნის მაშტაბით.

სტატიაში მოცემულია ავტორთა მოსაზრებები და რჩევები, რომელიც დანახულია მეცნიერთა თვალთახედვით და მისი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება სადაზღვევო ბაზარს საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

**საკვანძო სიტყვები:** აგრო რისკები, ფასები აგროდაზღვევაში, სახელმწიფო და კერძო აგროდაზღვევა.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება, სოფლის მეურნეობის განვითარებაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება სხვადასხვა რისკებთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა საბაზრო, ინსტიტუციური და წარმოების რისკები. სოფლის მეურნეობის წარმოებაში ამინდი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რადგან მისი გაკონტროლება შეუძლებელია, ის ამ სფეროსათვის დამახასიათებელ უმთავრეს რისკს წარმოადგენს. ფერმერებს რისკების შემცირებისა თუ შერბილების მრავალი არაფორმალური და ფორმალური საშუალება გააჩნიათ. არაფორმალური საშუალებები მოიცავს დანაზოგებს, დივერსიფიკაციას, არაფერმერულ საქმიანობას და ა.შ. რისკების შემცირების ფორმალური საშუალებებიდან ყველაზე გავრცელებულ ფორმას კი დაზღვევა წარმოადგენს, კერძოდ აგროდაზღვევა [1].[1]

ბოლო მონაცემებით, აგრარული სექტორს, განსაკუთრებული ყურადღება პანდემიის პირობებში და რუსეთ-უკრაინის ომის დროს დაეთმო. მსოფლიო ალაპარაკდა სურსათის დეფიციტზე. ამის ფონზე, საქართველო აქტიურად ახორციელებდა და განაგრძობს განხორციელებას მნიშვნელოვანი პროექტებისა, როგორიცაა-აგროდაზღვევა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დადებითად აისახება აგროდაზღვევის პროგრამა. აგროდაზღვევა საგრძნობლად ამცირებს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს. პროგრამა სოფლის მოსახლეობას ეხმარება ზარალის ანაზღაურებაში, რაც სტიქიურმა მოვლენებმა მიაყენეს. ეს კი ფერმერებისათვის შემოსავლებს სტაბილურს ხდის. დარგის სტაბილური განვითარებისთვის ფინანსური რესურსი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისათვის ხელმისაწვდომი ხდება, რაც აისახება დარგის ეფექტიანობაზე. ბუნებრივ გარემოზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარება. ახლა, როდესაც კატაკლიზმების ეპოქაში ვცხოვრობთ, როგორც არასდროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, რომელსაც ხელს უწყობს აგროდაზღვევის პროგრამა.

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხაელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო".[2] პროგრამამ ბოლო პერიოდში ცვლილებები განიცადა. სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის პირობებით დასაზღვევი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მაქსიმალური ფართობი 5 ჰექტრიდან 10 ჰექტრამდეა, ხოლო მარცვლეული კულტურების შემთხვევაში - 30 ჰექტრიდან 50 ჰექტრამდე იზრდება [2]. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა არის კვლავ 70%, ხოლო ვაზზე - 50%. სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. სოფლის მეურნეობის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა დაზღვევის ხელმისაწვდომობაა"[3] [3]

აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიის სახელმწიფო თანადაფინანსება 2014-2015 წ.წ. სეზონზე 92-95 %-ს შეადგენდა (დამოკიდებული იყო დასაზღვევ კულტურებზე), 2015-2016 წ.წ. 40-60 %-ს შეადგენდა (დამოკიდებული იყო დასაზღვევ კულტურებზე), 2016-2017 წ.წ. სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე 50-80 %-ს შეადგენდა (დამოკიდებული იყო დასაზღვევ კულტურებზე და ასევე იმაზე, იყო თუ არა დასაზღვევი მიწა რეგისტრირებული), 2018 წ.-დან დღემდე კი თანადაფინანსება ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ მიწაზე და მისი სიდიდეა 50 % (ვაზისთვის) და 70 % (დანარჩენი კულტურებისთვის).2014-2020 წლებში აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ფარგლებში ჯამურად გადახდილია 69,813,452 ლარი სადაზღვევო პრემია, აქედან ფერმერთა მიერ გადახდილი პრემიის წილმა შეადგინა 21,535,989 ლარი (31 %),

1 https://iset-pi.ge/ka/blog/116-how-can-you-be-sure-on-the-agricultural-insurance-in-georgia]
2 https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/16
3 https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/bb82cb1c-d772-4d56-8ee4-01a57905cff4

ხოლო სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილმა - 48,112,074 ლარი (69 %).: 2021 წელს დაზღვეული იქნება დაახლოებით 19,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, 2022 წელს - დაახლოებით 21,000 ჰა მიწის ფართობი, 2023 წელს - დაახლოებით 21,000 ჰა მიწის ფართობი (ცდომილების ალბათობაა 15 %, ძირითადი რისკია ბენეფიციარების დაბალი აქტივობა)[1][4]

აგროდაზღვევის პროგრამით აგრორისკების დაზღვევა ხდება გარკვეული პერიოდში. მაგალითად: მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში-თუ სადაზღვეო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც: ხილი –დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ–ს დიამეტრში, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ–ს დიამეტრში; კენკროვანი კულტურები –მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე; ვაზი -გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია); კაკლოვანი კულტურები - დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ–ს დიამეტრში; სუბტროპიკული კულტურები-დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ–ს დიამეტრში; ციტრუსი -დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ–ს დიამეტრში.[2][5]

აგროდაზღვევა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ აქტუალური ხდება. ევროპის ქვეყნებში დაზღვევის სამი მოდელი ფუნქციონირებს: სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი (საბერძნეთი); სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული (ესპანეთი, პორტუგალია); კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი (გერმანია, დიდი ბრიტანეთი) [შატბერაშვილი ე., 2011].[3][6]

განვითარებულ ქვეყნებში, მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორების გამო, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო რისკების მრავალპროფილიანი დაზღვევა. საპირისპირო სურათია განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფერმერებს არ აქვთ საშუალება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირებისა და მათი ეკონომიკური სტაბილურობა არ არის გარანტირებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, მათ მიერ აღებული კრედიტის გადახდამდე.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო რისკები, რომლებმაც შეიძლება ფერმერულ მეურნეობებს ზიანი მიაყენოს, დიდად არის განპირობებული ისეთი ადგილობრივი ფაქტორებით, როგორიცაა ლანდშაფტი, ნიადაგის ტიპი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკა. განვითარებად ქვეყნებში ამას ემატება მთელი რიგი სხვა ფაქტორები, მათ შორის ეფექტური სადრენაჟე, წყალდიდობის კონტროლის ან ირიგაციის სისტემების არსებობა. შესაბამისად, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევას, რომელთა დაზღვევასაც განახორციელებენ.

ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო მნიშვნელოვნად არის ჩართული აგროდაზღვევის განვითარებაში, შეიქმნა სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც უმეტესად სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებს ექვემდებარებოდა. მათ ჰქონდათ უფლება, განესაზღვრათ ან შეეფასებინათ კერძო სექტორის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პროდუქტის შესატყვისობა სახელმწიფოს ინტერესებთან და ამის მიხედვით გაეწიათ დახმარება.

ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს აგროდაზღვევის სუბსიდირებაში. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები აგროსადაზღვევო პრემიების პორტფელის მოცულობით მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა. აშშ აგროდაზღვევაში 11 650 მილიონ დოლარს გასცემს; მეორე ადგილზეა – იაპონია – 3 900 მილიონი დოლარი, შემდეგ ბრაზილია – 640 მილიონი დოლარი, მექსიკა – 500 მილიონი დოლარი, არგენტინა - 280 მილიონი დოლარი და თურქეთი – 245 მილიონი დოლარი.[4][7]

**1 https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395**
**2 https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/fd7853bb-289e-416d-b578-da35870288eb**
**3 ე., ალასანია ბ., 2011. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა და კრედიტები. ბიომეურნე.**
**4 http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=569&title=%E1%83%90%**

ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ისეთ მოვლენებსაც შევეხოთ, რომლებიც არ შედიან აგროდაზღვევის პროგრამაში, მაგრამ მოსავალს განსაკუთრებულ ზიანს აყენებს, ესეთებია გვალვა და წაყინვები. გვალვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება, თუმცა მისი სიმძაფრით კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, ზემო იმერეთის რეგიონები გამოირჩევა. წაყინვების სიხშირე და ინტენსივობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ისეთი ხეხილოვანი კულტურების მოსავლიანობაზე, როგორებიცაა მაგალითად ნუში, გარგარი, ბროწეული ა.შ. საქართველოში გაზაფხულის გვიანი ყინვები ზოგჯერ აპრილის მიწურულს და მაისის დასაწყისშიც კი ხდება, როდესაც მცენარეთა უმეტესობა უკვე ყვავილობს ან ნასკვის ზრდის ფაზაშია.

იმისთვის, რომ აგროდაზღვევის პროგრამა იყოს მდგრადი მომავალში, მნიშვნელოვანია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება დღეს. სახელმწიფომ, ოფიციალურმა პირებმა, სადაზღვევო კომპანიებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც ახორციელებენ დაგეგმვას უნდა განსაზღვრონ განვითარებადი ტენდენციები აგროდაზღვევაში და მიიღონ ახალი ზომები, რომელიც გამოიწვევს თანმიმდევრულ ზრდას და ხარისხიანი მომსახურეობის გაწევას, რაც მოუტანს სარგებელს, როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე ადგლობრივ მოსახლეობას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის ეფექტურად განხორციელებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს აგროდაზღვევის SWOT ანალიზი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აგროდაზღვევის სექტორში არსებული პრობლემები, საფრთხეები და შესაძლებლობები, რაც ნათლად არის ასახული აგროდაზღვევის განვითარების 2021-2024 წლის გეგმაში, სადაც აღნიშნულია, რომ აგროდაზღვევაში სექტორში ძირითად პრობლემას წარმოადგენს:

1. აგროდაზღვევის პირველი პროგრამით ფერმერების და ფართობების მცირე დაფარვა (შესაბამისად 8 % და 5 % (2020 წლის მდგომარეობით))

2. აგროდაზღვევის პირველი პროგრამით დაფარული სადაზღვევო რისკების შეზღუდული სპექტრი;

3. აგროდაზღვევის პირველი პროგრამის ალტერნატიული ფასის და განხორციელების მექანიზმის მქონე სადაზღვევო პაკეტის არარსებობა.

ასევე საუბარია აგროდაზღვევის სექტორში არსებული საზოგადოებრივი საჭიროებების შესახებ, კერძოდ:

- ფერმერებს ესაჭიროებათ ზარალის ანაზღაურების გარანტია, საქმიანობის უწყვეტობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.
- სადაზღვევო კომპანიებს ესაჭიროებათ ფინანსურად მდგრადი და განვითარებადი ბაზარი, მეტი ბენეფიციარი და პრემიების ზუსტი გათვლით მიღებული ფინანსური მოგება.
- სახელმწიფოს ესაჭიროება ძლიერი ფერმერების ფენა, წარმოების მდგრადობა და უწყვეტობა, სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონე, მოქალაქეთა სოციალური დაცულობა და აგრორისკების მართვისთვის საჭირო თანხების მაღალეფექტიანი, ოპტიმალური და მიზნობრივი ხარჯვა.

SWOT-ანალიზის შედეგად უნდა მივიღოთ პასუხები 2 ძირითად კითხვაზე:

ა) რა უნდა გაკეთდეს მოკლე- და საშუალოვადიან პერსპექტივაში ფერმერთა მეტი ნაწილის სადაზღვევო უზრუნველყოფისთვის და

ბ) რა უნდა გაკეთდეს მოკლე- და საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში აგროდაზღვევის მდგრადი და შეუქცევადი განვითარებისთვის.[1]

აგროდაზღვევის პროგრამაზე საიმედო და ყოვლისმომცველი კვლევა გამოიწვევს კარგი გადაწყვეტილების მიღებასა და აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას. სწორედ ამ მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომლის შედეგების ანალიზმა შემდეგი სურათი აჩვენა:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 110 რესპოდენტმა, რომელთაგან 71,4% მამრობითი, ხოლო 28.6% მდედრობითი იყო. ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით რესპოდენტები ასე განაწილდა:

1 აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/52484

65–ზე ზევით–14,3%, 56-65 წლის –35,7%, 46-55 ასაკის –42,9%, ხოლო 25-35 წლის –7.1%. საქმიანობის სფეროს მიხედვით კი: სამეწარმეო ბიზნესი-14,3%, მომსახურეობის ბიზნესი-50%, სოფლის მეურნეობა- 35,7%. კითხვაზე, როგორია მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ფერმერებისათვის რესპოდენტთა ხმები შემდეგნაირად განაწილდა: 7,1% ამბობს, რომ ძალიან კარგი, საშუალო-78,6%, ხოლო უჭირს პასუხის გაცემა-14,3%. სწორედ ეს საშუალო რაოდენობა შესაძლებლობას გვაძლევს სახელმწიფოს მხრიდან უფრო გაძლიერდეს მხარდაჭერა აგროდაზღვევის საკითხებში.

ასევე მნიშვნელოვანია რესპოდენტთა მოსაზრებები, თუ რამდენად მისაღებია აგროდაზღვევაში კერძო დაზღვევა, სადაც ხმები ასე გადანაწილდა: სრულიად მისაღებია-57,1%, ნაკლებად მისაღებია-35,7%, არაა მისაღები-7,1%. რადგანაც პოტენციური მიზნობრივი სეგმენტის წილობრივი რიცხვი შედარებით მაღალია, ამიტომ კერძო დაზღვევის საკითხის გათვალისწინება ჩვენი აზრით სრულიად მისაღებია.

ამასთან საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად შეესაბამება დაზღვევის პროდუქტების ფასი ბაზრის მოთხოვნებს. კვლევამ გვიჩვენა შემდეგი: არ შეესაბამება-7,1%, ნაწილობრივ შეესაბამება-85,7%, უჭირს პასუხის გაცემა-7,1%. ამ კუთხით კიდევ ბევრია სამუშაო, რათა სადაზღვევო საექტორის მიერ შეთავაზებული ფასები შესაბამისობაში მოვიდეს საბაზრო მოთხოვნებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რისკების დაზღვევას აგრობიზნესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად ნათელ წარმოდგენას იძლევა კვლევის შედეგები, რომელიც ასე გადანაწილდა: ნაწილობრივ დაზღვეულია-92,9%, არაა დაზღვეული-7,1%.

აგრეთვე ყურადღება გამახვილდა ცალკე კერძო აგროდაზღვევის აუცილებლობაზე. მომხმარებელთა აზრით საჭიროა ფერმერებმა შეძლონ სახელმწიფო პროგრამის დამოუკიდებლად შეიძინონ კერძო აგროდაზღვევა, რომელიც მორგებული იქნება მის საჭიროებებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე მნიშვნელოვანია რესპოდენტთა აზრი აგროდაზღვევის პროდუქტების ფასებზე. ამასთან კავშირში კითხვაზე თუ რამდენად შეესაბამება დაზღვევის პროდუქტების ფასები ბაზრის მოთხოვნებს რესპოდენტთა მოსაზრებები ასეთია: არ შეესაბამება-7,1%,ნაწილობრივ შეესაბამება-85,7%,მიჭირს პასუხის გაცემა-7,1%.

როგორც ვხედავთ მომხმარებელთა აზრი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის გამართულ მუშაობის ხელისშემშლელ პირობებზე ყველაზე მეტად გამახვილებულია არასწორ მენეჯმენტზე სახელმწიფოს მხრიდან, უნდა შემუშავდეს მომხმარებელზე გათვლილი დაზღვევა. სწორედ ამ კუთხით უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ასევე კვლევაში მნიშვნელოვანია რესპოდენტთა ხედვები აგროდაზღვევის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:

- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესწავლილი იქნას ყველა პრობლემური მხარე რაც ხელს უშლის აგროდაზღვევის მომსახურების დონის ამაღლებას და პრობლემების დროულად გადაჭრას;
- სასურველია ფერმერებმა შეძლონ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კერძო აგროდაზღვევის დამოუკიდებლად შეძენა, რათა თავად განსაზღვრონ რომელი რისკის დააზღვევაა საჭირო რეგიონების მიხედვით.
- აუცილებელია გადაიხედოს პროდუქტების ფასები, ის არ შეესაბამება ბაზრის ფასებს, რადგან ბაზრის ფასები გაცილებით მაღალია.
- სასურველია, მოხდეს აგრორისკების სრულფასოვანი დაზღვევა რეგიონების მიხედვით. კერძოდ: ცალკეულ რეგიონებში არსებული პრობლემური რისკების მიხედვით.
- კარგი იქნებოდა დაზღვევის პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო ისეთი რისკების დაზღვევა, როგორიცაა გვალვა და წაყინვები.

**დასკვნები**

უნდაა აღინიშნოს, რომ ჩვენ სრულიად ვიზიარებთ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების მოსაზრებებს და ვიძლევით გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება სექტორში დასაქმებულ სპეციალისტებს დროულად გადაჭრან ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და უფრო გაიზარდოს სექტორის წილი როგორც რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, ისე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში და მომხმარებელთა აგროდაზღვევის მომსახურების ხარისხის დაკამყოფილების საკითხში. ეს რეკომენდაციებია:

1. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს აგროდაზღვევის პროგრამას, რათა გახადოს ის ფერმერებზე მორგებული.
2. დაზღვევის გაყიდვების დამოკიდებულება ფასზე
3. ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. შატბერაშვილი ე., ალასანია ბ., 2011. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა და კრედიტები. ბიომეურნე.
2. https://iset-pi.ge/ka/blog/116-how-can-you-be-sure-on-the-agricultural-insurance-in-georgia
3. https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/16
4. https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/bb82cb1c-d772-4d56-8ee4-01a57905cff4
5. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395
6. https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/fd7853bb-289e-416d-b578-da35870288eb
7. http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=569&title=%E1%83%90%
8. აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/52484


**REFERENCES:**


1. Shatberashvili E., Alasania B., 2011. Agricultural insurance and loans. organic farmer**.**
2. https://iset-pi.ge/ka/blog/116-how-can-you-be-sure-on-the-agricultural-insurance-in-georgia
3. https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/16
4. https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/bb82cb1c-d772-4d56-8ee4-01a57905cff4
5. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395
6. https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/fd7853bb-289e-416d-b578-da35870288eb
7. http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=569&title=%E1%83%90%
8. Agricultural insurance development strategy 2020-2024. https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/52484

# OBSTRUCTIVE ASPECTS AND FUTURE PERSPECTIVES OF THE AGRO INSURANCE PROGRAM

**Nana Benidze**
Academic Doctor of Economics, Associata Professor,
Akaki Tsereteli State University
E-mail: Nana.benidze1@atsu.edu.ge

**Jambul Bitsadze**,
Academic Doctor of Economics, Associate Professor,
Akaki Tsereteli StateUniversity
E-mail: Jambul.bitsadze@atsu.edu.ge

**RESUME**

The article “Restricting Aspects of the Agricultural Insurance Program and Prospects” describes the role of agricultural insurance in the Georgian economy and paths for development. The climatic and geographical position of Georgia allows us to develop this area and strengthen the economy. Thus, we believe that the topic is relevant.

The article talks about the changes that were implemented to reduce the risks of agricultural insurance. The results of the study are presented, the analysis of which gives an idea of the quality of existing risks and ways to eliminate them.

In addition, problems that hinder the better development of agricultural insurance in the country have been noted, namely:

1. Less government support
2. Lack of private agricultural insurance.
3. Discrepancy between product prices and market prices.
4. Lack of comprehensive insurance for agricultural risks.

The article presents an analysis of the results of the survey and corresponding recommendations, namely:

1. The government needs to pay more attention to the agricultural insurance program to make it farmer friendly.
2. It is desirable for farmers to have the opportunity to purchase private agricultural insurance regardless of the state program;
3. It is necessary to review prices for agricultural insurance products, since they do not correspond to market prices.
4. Full insurance of agricultural risks is necessary.

Taking all this into account will help solve the problems of agro-risks throughout the country.

The article presents the opinions and advice of the authors, seen from the point of view of scientists, and their implementation in practice will help the insurance market to conduct its activities effectively.

**Key words:** agricultural risks, prices in agricultural insurance, state and private agricultural insurance.

# საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ზოგიერთი პრობლემის შესახებ

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-64

**ევგენი ბარათაშვილი**
ემდ, სტუ პროფესორი
E-mail: barata49@mail.ru

**სერგო რუხაძე**
საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი

**რეზიუმე**

განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ ქვეყანას ელექტროენერგიის წარმოების რა პოტენციალი აქვს, და, როგორ იყენებს მას.

აღნიშნულია, რომ მთელი ენერგეტიკული რესურსებიდან საქართველოს ყველაზე მეტად აქვს ელექტროენერგეტიკული რესურსები. ეს არის ჰიდროენერგია (წყლის რესურსი), ქარის და მზის რესურსი. 1990-2023 წლების პერიოდში ელექტროენერგიის როგორც მთლიანი, ისე სულადობრივი წარმოების და მოხმარების რეტროსპექტული ანალიზით გაკეთებულია დასკვნა, რომ სულადობრივი მოხმარების 47,5%-იანი ზრდა გამოიწვია ამავე პერიოდში მოსახლეობის კატასტროფულმა შემცირებამ საქართველოში.აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ ელექტროენერგიის სულადობრივი მოხმარება საქართველოში გერმანიის შესაბამისი მაჩვენებლის ნახევარია, აშშ-ს - მესამედი, ხოლო ნორვეგიის - მეექვსედი. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსი უარყოფითია. ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდის რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ელექტროენერგეტიკული სისტემის წინაშე მდგომი პრობლემებიდან განხილულია ელექტროენერგიის გარე წყაროებზე დამოკიდებულებით საფრთხის გამოწვევების შესაძლებლობა, მსხვილ ჰესების მშენებლობისთვის უპირატესობის მიცემა (რომელთა მშენებლობა ანადგურებს ველურ ბუნებას) და ელექტროენერგიის რეგიონული წარმოება-მოხმარების საკითხის შესწავლის მიმართ ნაკლები ყურადღება. მოცემულია თითოეული ამ პრობლემის გადაწყვეტის კონცეპტუალური ხედვები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტროენერგეტიკა; ჰიდროენერგია; ქარის და მზის ენერგია; დიდი და მცირე ჰესები; ელექტროენერგეტიკული ბალანსი.

## შესავალი

ენერგეტიკის სექტორი ნებისმიერი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საბაზო დარგია. ეკონომიკის ენერგეტიკული უზრუნველყოფა ქვეყნის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, რადგან მასზეა დამოკიდეული მისი ყველა დარგის და ქვედარგის, ყველა ბიზნესერთეულის და შინამეურნეობის ფუნქციონირება.

ენერგეტიკა რთული საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსია. მასში გაერთიანებულია სათბობის მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა, მოცემულ სტატიაში მხოლოდ ამ უკანასკნელი სექტორის პრობლემებზე გვექნება საუბარი. ბოლო წლებში ელექტროენერგეტიკის მნიშვნელობა ქვეყნების ცხოვრებაში კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკის „გაციფრებამ", ანუ დიჯიტალიზაციამ. მოხდა მისი მზარდი გამოყენება (ფიჭური კავშირი, ინტერნეტი, ელექტროკომერცია და ა. შ.). ამის შესახებ აღნიშნავენ უცხოელი მეცნიერებიც. აი, მაგალითად: „...ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრულმა რევოლოუციამ გაზარდა ენერგიის მოხმარების ზრდა..." [Laayat; O. etc all, 2020]. შედეგად, დღეს მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს

ქვეყნის განვითარების საბოლოო შედეგზე [ნარმანია, სეთურიძე... 2022, გვ. 153].

ასეთ პირობებში საქართველო ენერგეტიკულ მოთხოვნილებას სრულად ვერ იკმაყოფილებს და მისი ნაწილი გარედან შემოაქვს. ასე რომ, დღეს საქართველოს მთელი სიმწვავით უდგას ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში 319 მდინარეა, რომელთაგან თითოეულზე შეიძლება აიგოს მსხვილი, საშუალო ან მცირე ჰესები, ქვეყანას ენერგიის დეფიციტი არ უნდა ჰქონდეს [ჩომახიძე, 2003, გვ. 43]. ამ რესურსზე დაყრდნობით და ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრით, რაც ელექტროენერგეტიკის სფეროში საქართველოში არსებობს, ქვეყანას შეუძლია არა თუ დააკმაყოფილოს ელექტროენერგიაზე საკუთარი მოთხოვნილება, არამედ, აქვს შანსი კავკასიის რეგიონში გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი [ერქომაიშვილი, ხურცია, 2023, გვ. 25].

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც წინ ეღობება მის ჯეროვან განვითარებას.

### ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სააქართველოში, დღეს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა არის გადასაწყვეტი. მისი საფუძველი ის ენერგეტიკული რესურსებია, განსაკუთრებით კი ჰიდრორესურსები, ნახშირი და ნავთობი, რომელიც აქვს საქართველოს. ამ რესურსების ტექნიკური მარაგები საქართველოში ასეთია [ჩომახიძე, 2003, გვ. 42]:

- ჰიდროენერგია (მლრდ კვტ. სთ.) – 135,8.
- ნახშირი (მლნ ტონა) – 235,5.
- ნავთობი (მლნ ტონა) – 438,3.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ტექნიკური მარაგების მოცულობა საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ ის ფაქტი, რომ მას მინიმალურად აქვს ათვისებული ეს მარაგები, ქვეყანას აყენებს ენერგეტიკული საფრთხის წინაშე. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები ათვისებულია მხოლოდ 8,6%-ით, ნახშირის რესურსი - 0,002%-ით და ნავთობის რესურსი - 0,09%-ით [ჩომახიძე, 20003, გვ. 42].

ამ სამი სახის რესურსიდან ნახშირის და ნავთობის მარაგი მთელ მსოფლიოში თანდათან ილევა. რაც შეეხება ელექტროენერგიის რესურსს, მისი მარაგი კვლავწარმოებადია და გამოლევის საშიშროება არა აქვს. ეს არის წყლის, ქარის და მზის ენერგია. საქართველოში თითოეული მათგანი უხვადაა, განსაკუთრებით წყლის ენერგია. ქვეყანაში დათვლილია 26 000 დიდი და პატარა მდინარე, მათგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, 319 ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონეა. ასე რომ, ენერგიის ეს რესურსი მარაგის სახით, საქართველოს ამ ეტაპზე ყველაზე მეტად გააჩნია.

ენერგიით ასეთი ბუნებრივი თვითუზრუნველყოფის მიუხედავად საქართველოს ენერგო ბალანსი ტრადიციულად დეფიციტურია. ასე იყო საბჭოთა წლებში და, სამწუხაროდ, დღესაც ასე არის. საქართველო თავის მოთხოვნებს ელექტრორესურსებზე მხოლოდ ნაწილობრივ იკმაყოფილებს, დანარჩენი კი შემოაქვს საზღვარგარეთიდან. 1913 წლიდან 2013 წლამდე ანუ 100 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 493-ჯერ არის გაზრდილი {ჩომახიძე, 2014, გვ. 19]. ამის მიუხედავად, მისი სულადობრივი მოხმარება საგრძნობლად ჩამორჩება საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, 2021 წელს საქართველოში ელექტროენერგიის სულადობრივი მოხმარება შეადგენდა 3459 კვტ. საათს. ასეთ დროს, გერმანიაში იგი იყო 6138, აშშ-ში - 11267, ნორვეგიაში - 24186, ფინეთში - 15178, კანადაში - 1456 კვტ. სთ და ა. შ. [Electricity Market... 2023],. შევნიშნავთ, რომ 2023 წელს იგი ამაღლდა 4927 კვტ.სთ.-მდე, მაგრამ იგი მაინც საგრძნობლად დაშორებულია ევროპის და აშშ-ს შესაბამისი მაჩვენებლებისგან.

ელექტროენერგიის წარმოების შემცირება საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირიდან მისი გამოსვლის შემდეგ, ანუ 1991 წლიდან. 1990 წელს საქართველოში წარმოებული იყო 14246 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია, ანუ ერთ სულ მოსახლეზე ანგარიშით 2611 კვტ/სთ (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1. ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში მთლიანად და ერთ სულ მოსახლეზე ანგარიშით 1990-2023 წლებში**

| წლები | სულ წარმოება მლნ კვტ/სთ | სულ წარმოება (მლნ ლარი) | ერთ სულ მოსახლეზე წარმოება (კვტ.სთ.) |
|---|---|---|---|
| 1990 | 14246 | ... | 2611 |
| 1995 | 7082 | ... | 1492 |
| 2000 | 7446 | 366,8 | 1691,7 |
| 2005 | 6880,8 | 457,1 | 1643,1 |
| 2010 | 9919,2 | 571,1 | 2235,8 |
| 2013 | 9860,6 | 370,8 | 2195,9 |
| 2018 | 12148,5 | 1600,6 | 3257,3 |
| 2019 | 11856,8 | 1658,3 | 3184,3 |
| 2020 | 11160,0 | 1643,9 | 3002,5 |
| 2021 | 12644,9 | 2454 | 3391,3 |
| 2022 | 14246,5 | 2983,5 | 3862,3 |
| 2023 | 14395,9 | ... | 3852,8 |
| დინამიკა:<br>1990-2023 წ.წ.<br>2018-2023 წ.წ. | 101,0<br>118,6 | ...<br>... | 14,5<br>118,5 |

**წყარო: „საქსტატის“ ინფორმაცია**

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ამ დონეს საქართველომ მიაღწია და გადააჭარბა კიდეც მას უკვე 1995 წელს (ამ წელს სულადობრივმა წარმოებამ შეადგინა 1492 კვტ. სთ.), მაგრამ ეს მოხდა არა მისი წარმოების გადიდებით, არამედ, მოსახლეობის მასიური მიგრაციით საქართველოდან. ამ პერიოდში მოსახლეობა 630,2 ათასით შემცირდა (მოსახლეობის რიცხვი: 1990 წელს - 5424,4 ათასი; 1995 წელს - 4794,2 ათასი). ასე რომ, ელექტროენერგიის წარმოებაში შეიქმნა მოჩვენებითი წინსვლა, რაც ფაქტიურად გრძელდება დღემდე, რადგანაც მართალია 1990-2023 წლებში ელექტროენერგიის წარმოებამ ერთი პროცენტით მოიმატა (101%), მაგრამ იგივე პერიოდში მისი სულადობრივი წარმოების 47,5%-იანი მატება (147,5%) გამოიწვია ამ პერიოდში მოსახლეობის 31,2%-ით შემცირებამ. ცხრილი იმასაც გვიჩვენებს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულმა სექტორმა 2022 წელს 298,3 მლნ ლარის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა [ბიზნეს-სექტორი..., 2023, გვ. 40]. აქედან 89,6%, ანუ 2672,8 მლნ ლარის პროდუქცია მსხვილ საწარმოებში იყო გამოშვებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ელექტროენერგეტიკის სექტორი საქართველოში ძირითადად მსხვილი ჰიდროელექტროსადგურებით და თბოელექტროსადგურებით არის წარმოდგენილი. მათ შორის არის სამი თბოელქტროსადგური, რომელთა შორის ყველაზე დიდია „თბილსრესი“, ხოლო ჰიდროელექტროსადგურს შორის - „ენგურჰესი“. „ენგურჰესის“ დადგმული სიმძლავრეა 1640 ათასი კვტ. იგი წლიურად საქართველოში მთლანად წარმატებული ელქტროენერგიის 44-45%-ს გამოიმუშავებს [ჩომახიძე, 2014, გვ. 17]. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის დღემდე გადაუჭრელი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს თითქმის ყველა დასახელებულ პუნქტშია შესაძლებელი ადგილობრივი ელექტროსადგურების (მცირე ჰესები, მზის და ქარის სადგურები), მშენებლობა, ხელისუფლება მაინც მსხვილ ჰესების მშენებლობაზეა ორიენტირებული და ამ მიმართულებით მისაღებად 8 მდინარეს (მტკვარი, რიონი, ენგური,

ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი) ასახელებს. მსხვილი ჰესების მშენებლობა ხშირად ანადგურებს ათასობით ჰექტარ ტერიტორიას (ფლორას, ფაუნას), რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარებას და დაპირისპირებას მთავრობისადმი (გავიხსენოთ „ნამახვანჰესი“).

„დედამიწაზე გარემოს ერთ-ერთი უმთავრესი დამაბინძურებელი ენერგეტიკაა, - წერს მეცნიერი ბადრი რამიშვილი [რამიშვილი, 2015, გვ. 80]. მოცემულ შემთხვევაში მეცნიერი ასახელებს ატომურ ელექტროსადგურებს, როგორც რადიაციულ საფრთხეს და არა ჰიდროელექტროსადგურებს, მაგრამ მართალია ჰესები რადიაციას არ გამოყოფენ, მაგრამ დიდი ჰესების მშენებლობა რამოდენიმე ათეულობით ჰექტარ ტერიტორიაზე ანადგურებს ველურ ბუნებას. მცირე ჰესების მშენებლობას ეს პრობლემები არა აქვთ. ამ ჰესების ენერგიის მომხმარებლები თვით ადგილობრივი მოსახლეობაა და ისინი საკუთარი ინიციატივით და ხშირად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ნებაყოფლობით ერთვებიან ადგილობრივი დანიშნულების მცირე ჰესების მშენებლობაში. ასე აშენდა საქართველოში 43 მიკრო-ჰესი, კერძოდ, „რიცეულჰესი“, „ხერთვისჰესი“, „მაჭახელაჰესი“, „ღორეშჰესი“, „ჩალაჰესი“, „ფშაველაჰესი“, „ალგეთჰესი“, „შილდაჰესი“, „ბჟუჟა“, „რაჭაჰესი“, „სულორჰესი“ და სხვები.

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ევროკავშირში, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფვის, ბუნების დაცვა სახელმწიფო კონტროლზეა აყვანილი. როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, ევროკავშირმა 1972 წლიდან დაიწყო ბუნების დაცვითი სამოქმედო პროგრამების ამუშავება. დღესდღეობთ 7 ასეთი პროგრამაა ამოქმედებული, მერვე კი ამჟამად მზადდება. ყველა ამ პროგრამის მიზანი იყო ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფა, ბუნებრივი კაპიტალის გამრავლება, ნულოვანი დაბინძურებისკენ სწრაფვა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ტყეების დაცვა და სხვა {აბესაძე, ბიბილაშვილი, 2021, გვ. 28-30]. ევროკავშირი არ ამხოლოდ ავალებს მასში შემავალ ქვეყნებს აამუშავონ დასახელებული ეკოლოგიური პროგრამები, არამედ აკონტროლებს კიდეც მათ შესრულებას.

საქართველოში მოქმედებს 44 მიკროჰესი. მათი საერთო სიმძლავრე 146,01 მვტ-ს შეადგენს, გამომუშავება კი - 321,7 მლნ კვტ/სთ-ს. ღირებულებაში გაადაყვანით ეს 93,2 მლნ ლარია (2022 წელს), ხოლო ხვედრითი წონა მთელ ელექტროენერგიის გამოშვებაში მხოლოდ 3,1% [ბიზნეს-სექტორი... 2023, გვ. 41-42]. ეს რა თქმა უნდა იმ შესაძლებლობების მინიმუმია, რომელიც საქართველოს ამ სფეროში აქვს.

ამ სექტორის მეორე პობლემა არის ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოთა (ჰესები და თესები) რეგიონული განლაგება და ელექტროენერგიის რეგიონული მოხმარება. საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა რეგიონს, საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, ამ სექტორის განვითარების სხვადასხვა სიდიდის რესურსი გააჩნია. ზოგან წყლის რესურსია მეტად, ზოგან ქარის და მისი ენერგია და ა. შ. ამას ემატება რეგიონის დანიშნულება ქვეყნისთვის და მისი განვითარების მიზანი. როგორც წესი, ჩამორჩენილი რეგიონის განვითარება ადგილობრივი ენერგორესურსების გამოყენებით იწყება, რადგან ნებისმიერი პროდუქციას გამოსაშვებად თუ მომსახურების გასაწევად ენერგია არის საჭირო, შორიდან მოწოდებული ენერგია კი, ძვირი ჯდება. ასე რომ, საქართველოს სჭირდება ელექტროენერგეტიკის რეგიონული განვითარების კარგად შემუშავებული სტრატეგია. იგი უნდა შემუშავდეს საქართველოს 11 რეგიონზე ცალ-ცალკე თითოეული რეგიონის ენერგეტიკული რესურსების და თვით მათი განვითარების ინტერესების მხედველობაში მიღებით. დღეს საქართველოს რეგიონებს აქვთ ზოგადი განვითარების სტრატეგიები, მაგრამ ცალკე არა აქვთ დარგობრივი განვითარების სტრატეგიები, მ. შ. ენერგეტიკის, რომელშიც ელექტროენერგეტიკის განვითარების ადგილობრივი მდგომარეობის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე მოცემული იქნება, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ სექტორში მომავალში (მაგალითად, 2030 წლამდე). ასეთი სტრატეგიების შემუშავება უნდა მოხდეს ჰიდროლოგების, გეოლოგების, ინჟინრების, გეოდეზისტების, ეკონომისტების და სხვათა ჩართულობით რეგიონის მოსახლეობასთან და ადგილობრივ მუნიციპალურ ხელისუფლებასთან აქტიური კონსულტაციებით. საქა-

რთველოს რეგიონების ჭრილში ელექტროენერგეტიკის არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე შედგენილი მისი განვითარების პროგრამების (სტრატეგიების) რეალიზება საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ რეგიონებში სამეწარმეო აქტივობა, აღვადგინოთ ძველი საწარმოები, გავხსნათ ახალი საწარმოები სრულად ავამოქმედოთ რეგიონის სამრეწველო, სასოფლო და სხვა სახის პოტენციალი და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს რეგიონებს შემუშავებული და ამოქმედებული აქვთ მხოლოდ ერთიანი (ზოგადი) განვითარების სტრატეგიები, ისინი 2014-2021 წლებზე იყო გათვლილი და მათი ვადა ისე გავიდა, რომ ახალი სტრატეგიები არ შემუშავებულა. ეს სტრატეგიები რომც შემუშავდეს მათში ცალკეულ დარგები და სექტორები, რომელთა შორისაა ელექტროენერგეტიკაც, ერთი-ორი სიტყვით იქნება მოხსენიებული, რაც, ჩვენი აზრით, არასაკმარისია. ქვეყნის მმართველ წრეებში მუდმივად მუსირებს თემა იმის შესახებ, რომ რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებას უფლებები უნდა გაუფართოვდეთ. ამას მხარს უჭერს საზოგადოებაც. ამ უფლებების გასაფართოვებლად, პირველ რიგში, მათ უნდა იცოდნენ რა რესურსის მეპატრონენი არიან. ეს ეხება ენერგეტიკასაც და სხვა დარგებსაც - სამთო-მოპოვებით მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ჯანდაცვას და სხვებს. ბუნებრივია ამ ტერიტორიული ერთეულების განვითარების მიზნები, მიმართულებები და პარამეტრები კორდინაციაში იქნება მთლიანად ქვეყნის თითოეული ამ დარგის განვითარების საერთო პოლიტიკასთან, სტრატეგიულ მიზნებთან და პარამეტრებთან. დარგობრივი განვითარების ეს საერთო სახელმწიფოებრივი სტრატეგიები რომ რეალური და შესრულებადი იყოს, ისინი უნდა შესდგებოდეს სწორედ შესაბამისი დარგის რეგიონული განვითარების სტრატეგიების საფუძველზე. ასეთ დროს, რეგიონულ ჭრილში საქართველოს ენერგეტიკის საკითხი მეცნიერულ დონეზე თეორიულადაც კი არ არის შესწავლილი [ჩომახიძე, 2003, გვ. 132]. იგივე ეხება ელექტროენერგეტიკას.

საქართველოს რეგიონებს ამ სფეროში სრულიად ურთიერთგანსხვავებული პირობები აქვთ. უთანაბროა მათში ჰიდრავლიკური ენერგიის შემცველი მდინარეების განლაგება, მდინარეთა თეორიული ჰიდრავლიკური ენერგიის 72,1% მოდის დასავლეთ საქართველოზე, 27,9% - აღმოსავლეთ საქართველოზე. ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფაქტორია 32,6 ათასი კვ. მ. (46,8%), აღმოსავლეთ საქართველო კი - 37,1 ათასი კვ. მ. (53,2%).

უთანაბროა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში განთავსებულ მდინარეების ჰიდროენერგიის შიდაწლიური განაწილებაც - დასავლთ საქართველოს მდინარეები შემოდგომა-ზამთარში მომხმარებლებს აძლევენ საკუთარი ენერგიის 34,5%-ს, გაზაფხულ-ზაფხულში კი - 65,5%-ს. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 29,8% და 70,2%-ია [ჩომახიძე, 2014, გვ. 90].

მდინარეთა ასეთი განლაგებიდან გამომდინარეობს საქართველოში ფაქტიურად წარმოებული ელექტროენერგიის ურთიერთგანსხვავებლი რეგიონული სტრუქტურაც. წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით 58% იწარმოება დასავლეთ საქართველოში, 42% კი - აღმოსავლეთ საქართველოში. ენერგიის წარმოების ეს მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ ელექტროსადგურის რაოდენობასთან და მათ სიმძლავრეებთან. დასავლეთ საქართველოში განლაგებულია 22 ელექტროსადგური ანუ საერთო რაოდენობის (58) 37,9%, აღმოსავლეთ საქართველოში კი -62,1%.

ინფორმაციას ელექტროსადგურების რეგიონულ განლაგებაზე გვიჩვენებს ცხრილი 2, საიდანაც ჩანს, რომ ყველაზე მეტი ენერგიის გამომუშავება ხდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (2730,6). მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი (1784,2), მესამეზე კი - იმერეთი (1117,4 მლნ კვტ./სთ).

მაშასადამე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვამცნობს, თუ რა დონეზეა განვითარებული ზოგადად ენერგეტიკა, კერძოდ, კი ელექტროენერგეტიკა საქართველოს რეგიონებში, მაგრამ იმ მიზეზით, რომ რეგიონებს არა აქვთ შემუშავებული ელექტროენერგეტიკის განვითარების რეგიონული სტრატეგიები, არ ვიცით ამ სფეროში განვითარების პოტენციალი. ის

**ცხრილი 2. საქართველოს ელექტროსადგურების რეგიონული განლაგება**

| რეგიონი | ელექტროსადგურების რაოდენობა | დადგმული სიმძლავრე (მგ.ვტ.) | ელექტროენერგიის წარმოება (მლნ კვტ.) | ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურა (%%-ში) |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 67,2 | 203,2 | 2,8% |
| აფხაზეთი | 1 | 220 | 484,8 | 6,7 |
| აჭარა | 6 | 22,96 | 43,5 | 0,7 |
| გურია | 1 | 12,24 | 258,3 | 3,4 |
| იმერეთი | 8 | 420,7 | 1117,4 | 15,5 |
| კახეთი | 8 | 42 | 5,68 | 0,1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 5 | 142,9 | 468,6 | 6,5 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 3 | 118,9 | 211,4 | 3,0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 4 | 1306,4 | 2730,6 | 37,9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 5 | 24,4 | 498,91 | 6,9 |
| ქვემო ქართლი | 11 | 930,8 | 1784,2 | 24,7 |
| შიდა ქართლი | 3 | 3,91 | 35 | 0,6 |
| სულ | 58 | 3312,4 | 7202,13 | 100,0 |

**წყარო: ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკა, 2014, გვ. 91**

რაც ამ საკითხზე რეგიონების ზოგადი განვითარების სტრატეგიებშია ჩაწერილი, არ არის საკმარისი. ამ სტრატეგიების შინაარსი ტიპიური სტრუქტურითაა შედგენილი. მათში არც თავად და არც ქვეთავად ენერგეტიკა არ არის გამოყოფილი. იგი მოიხსენიება გარემოს დაცვის ქვეთავში და რეგიონის განვითარების პრიორიტეტების ხედვაში (თავი 7).

საქართველოს ზოგიერთი რეგიონების მაგალითებით ვასაბუთებთ მათში მოცემული და ჩვენს მიერ არასაკმარისად მიჩნეული ინფორმაციის სიმწირეს:

**კახეთის რეგიონი.** კახეთის რეგიონის განვითარების 69 გვერდიან სტრატეგიაში ელექტროენერგეტიკას (მ. შ. მზის და ქარის გამოყენების მდგომარეობას) უკავია 1 გვერდი [გვ. 33], ხოლო მისი განვითარების ხედვას გვერდის მესამედი [გვ. 66 - მიზანი, 29 - განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების დანერგვა] [კახეთის რეგიონის... 2018].

**გურიის რეგიონი.** გურიის რეგიონის განვითარების 57 გვერდიან სტრატეგიაში ელექტროენერგეტიკის განვითარების არსებული მდგომარეობა განხილულია ბუნებრივი რესურსების თავში. მას უკავია ერთი გვერდის 2/3 ნაწილი. რაც შეეხება მისი განვითარების სამომავლო ხედვას, იგი წარმოდგენლია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების თავში (თავი 8) და უკავია გვერდის მესამედი [გურიის რეგიონის... 2018].

**იმერეთის რეგიონი.** იმერეთის რეგიონის 38 გვერდიან განვითარების სტრატეგიაში მესამე თავის მეორე ქვეთავის „დ“ განყოფილებაში - „ბუნებრივი რესურსების მართვა და გარემოს დაცვა“

- ერთი გვერდის მესამედი უკავია ენერგორესურსებზე მსჯელობას [გვ. 25], ხოლო მისი სამომავლო ხედვა მოცემულია 36-ე გვერდზე, რომლის მიხედვით რეგიონს 15 ახალი მცირე ჰესის და 3 ქარის ელექტროსადგურის აშენება ჰქონდა დაგეგმილი [იმერეთის რეგიონის... 2013].

**რაჭა-ლეჩხუმი** და **ქვემო სვანეთი.** რაჭა-ლეჩხუმის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიაში ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალზე საუბარია ბუნებრივი რესურსების ქვეთავში. მას ნახევარი გვერდი უკავია. ამ სფეროს განვითარების სამომავლო ხედვების ნაწილში ხაზგასმულია ჰესების მშენებლობისას მაღალი რისკების არსებობა. სხვა რეგიონების მსგავსად ამ რეგიონის ხელმძღვანელობა ქარის და მზის ენერგიის გამოსაყენებლად სრულ მზადყოფნას აცხადებს [რაჭა-ლეჩხუმის... 2013].

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რეგიონებშიც. თანაც, ის მასალაც კი, რაც ამ სტრატეგიაში ელექტროენერგეტიკაზე არის წარმოდგენილი, მეტისმეტად ზოგადი ფრაზებია და არც არსებული მდგომარეობის ანალიზია გაკეთებული, არც განვითარების პოტენციალია რესურსების ჭრილში მოცემული და არც მომავლის ხედვაა დასაბუთებული. ჩვენს მიერ გაცნობილი და აქ წარმოდგენილი ყველა რეგონის სტრატეგიაში ხელისუფლება პირობას იძლევა, რომ ხელს შეუწყობს და დანერგავს მზის და ქარის ენერგიას. არ ჩანს ამ დაპირებების დამასაბუთებელი არგუმენტები, არც შესრულების ვადები, პასუხისმგებელი ორგანიზაციები, დაფინანსება და სხვა დამასაბუთებელი კომპონენტები.

ჩვენთის არაა ცნობილი ელექტროენერგეტიკის სექტორში ამ სტრატეგიებით დაგეგმილი მიზნები შეასრულეს თუ არა ამ რეგიონებმა, მაგრამ, ეს კვლევის სხვა თემაა. მოცემულ შემთხვევაში, რეგიონების განვითარების სტრატეგიებში მათი ელექტროენერგეტიკული განვითარების პოტენციალის შესახებ წარმოდგენილი ასეთი მწირი მასალით ჩვენ იმას ვასაბუთებთ, რომ მისი სრულყოფილი აღქმისთვის ეს მასალა არ არის საკმარისი და თითოეულ რეგიონს გერმანიის მსგავსად, ცალკე უნდა ჰქონდეს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია.

ამ მრივ, სამწუხაროდ, არც საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკაზე შექმნილი სამთავრობო დოკუმენტებია [საქართველოს ელექტროენერგეტიკული... 2002; საქართველოს ენერგეტიკული... 2023] დამაკმაყოფილებელი. მათში განხილული საკითხების სიმრავლის (არსებული მდგომარეობა, ძირითადი პრობლემები, უსაფრთხოების პოლიტიკა, ენერგეტიკის ინსტიტუციონალიზაცია და სხვა) მიუხედავად, უყურადღებოდ არის დარჩენილი ქვეყნის შიგა რეგიონული ელექტროენერგეტიკული პოლიტიკა. მის შესახებ ვკითხულობთ: „შიდა რეგიონული პოლიტიკა გულისხმობს ენერგოორიენტირებული პროგრამების დამუშავებაში ხელისუფლების რეგიონული რგოლების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას. ეს შექმნის რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ და ეკოლოგიურ თავისებურებათა ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას. საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას რეგიონული ენერგოორიენტირებული პროექტების კორდინაციის პირობა, რომელშიც პრიორიტეტი ეროვნული მასშტაბის პროექტებს უნდა მიენიჭოს“ [საქართველოს ენერგეტიკული... 2002, გვ. 13]. ეს არის და ეს. ამ დოკუმენტში არა თუ ელექტროენერგეტიკის, არამედ, ზოგადად ენერგეტიკის შიდა რეგიონულ მოწყობაზეც მეტი აღარაფერი იკითხება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ამ დოკუმენტის სარეალიზაციოდ დასახულ ამოცანებს შორის მე-14 ამოცანად **„რეგიონული ენერგეტიკული ინტეგრაციის პოლიტიკის სარეალიზაციო პროგრამის დამუშავებას“**. ასეთ დროს, თვით ამ დოკუმენტის მეორე თავში, სადაც საუბარია საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ძირითადად პობლემებზე, არის ასეთი ჩანაწერი - **„არ არის ნათლად განსაზღვრული ქვეყნის ენერგოსისტემის როლი რეგიონულ სისტემაში“** [საქართველოს ენერგეტიკული... 2002, გვ. 7]. როცა ქვეყნის მთავრობის მიერ ასეთი პრობლემის აღიარება ხდება, მას ევალება მისი გადაჭრის პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია. როგორც ვნახეთ, ამ სფეროს განვითარებაზე არსებულ საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებში ასეთი არაფერი არ არის გაკეთებული.

ეხლა შევხედოთ საქართველს სახელმწიფოს ახალ ენერგეტიკულ სტრატეგიას. ელექტროენერგეტიკის კუთხით საქართველოს რეგიონებზე არც არაფერი არ არის მოცემული ამ ახალ ენერგეტიკულ პოლიტიკაში. იგი შემუშავებულია 2023 წელს და იძლევა 2030 წლამდე პერიოდისთვის საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ხედვებს, პრიორიტეტებს და ღონისძიე-

ბებს. ერთადერთი მსჯელობა, რომელიც რაიმე ზომით შეიძლება უკავშირდებოდეს რეგიონებში ელექტროენერგორესურსების მოხმარებას, მოცემულია ამ დოკუმენტის მეოთხე თავის მერვე ქვეთავში - „ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლის დაცვა". „ენერგეტიკული სიღარიბის კუთხით, - ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, - განსაკუთრებით საყურადღებო მდგომარეობაა დროებით ოკუპირებულ აფხაზეთსა და სვანეთში, სადაც ჩვენი აზრით, ტექნიკურად გაუმართავი ინფრასტრუქტურის, გადახდის პრობლემებისა და ენერგიის წყაროების შეზღუდული დივერსიფიკაციის გამო, მოსახლეობას არა აქვს წვდომა უწყვეტ ელექტრომომარაგებაზე" [საქართველოს სახელმწიფოს... 2023, გვ. 96]. ჩვენი აზრით, ამ მხრივ არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, მთიულეთის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის და რაჭის მაღალმთიან სოფლებში. დასანანია, რომ დასახელებულ დოკუმენტში ამ მხარეების ენერგეტიკული სიღარიბის შემსუბუქების კუთხით კონკრეტული ღონისძიებები მკაფიოდ არ არის დასახული.

ამის გარდა, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების ფოკუსირება მსხვილი, ეროვნული მასშტაბის ჰესების მშენებლობაზე ენერგეტიკის განვითარების როგორც ძველ (2002 წ.) და ახალ (2018 წ.) სტრატეგიებშიც არის დაფიქსირებული. ამის შესახებ ითქვა შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს კონფედერაციების კავშირის მიერაც: „მთავრობის ფოკუსირება ხდება უფრო დიდი ჰიდროჰესებზე" [მწვანე ბიზნესის... 2009, გვ. 25]. მართალია მაშინ შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს-კონფედერაციების კავშირმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (ამ ფორმით ეს სამინისტრო აღარ არსებობს. იგი დეპარტამენტის სახით არის შესული ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში) 78 მცირე ჰესის მშენებლობისთვის სავარაუდო ადგილმდებარეობების სია შეადგინოს, მაგრამ დღეს საქართველოში ამდენი მცირე ჰესი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლება მაინც დიდ ჰესებზეა ფოკუსირებული. აღნიშნული კონფედერაციების კავშირი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას უპირატესობა მისცეს განახლებად ენერგორესურსებს (მზის ენერგიას, ქარის ენერგიას, ბიომასას) და მცირე ჰესებს, განსაკუთრებით დაშორებულ თემებში და დაბებში და წაახალისოს კერძო ინვესტიციები ამ სფეროებში [მწვანე ბიზნესის... 2009, გვ. 24-25]. ეს რეკომენდაციები მიმართულია საქართველოში „მწვანე ეკონომიკის" განვითარების მხარდასაჭერად, ანუ არა - ველური ბუნების განადგურებას, არა - დაბინძურებას და გავერანებას, იმის მიუხედავად თუ რისგან მოხდება ეს - მსხვილი ჰესების მშენებლობით თუ ატომური ელექტროსადგურების მშენებლობით.

ამ საკითხში ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოვიხმობთ უცხოელ მეცნიერის ოჰირულ ქათასმას და მისი კოლეგების შეხედულებას ამ საკითხზე. 2022 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მათ აღნიშნეს, რომ „საყურადღებოა, განახლებადი ენერგიის წყაროების, როგორც ქარისა და მზის ენერგიის სადგურების, ასევე, ენერგიის შემნახველი მოწყობილობების ტექნოლოგიის განვითარება და მათი აუცილებელი ინტეგრირება ენერგეტიკულ ქსელში [Qays M. and aLL, 2022, p. 1874-1884]. ეს აზრი 2022 წელს არის გამოთქმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პრობლემა ახალია და საქართველოშიც შესაბამისმა ორგანოებმა უნდა იფიქრონ მასზე.

საქართველოში ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა საქართველოს **ენერგეტიკული უსაფრთხოება**. ამ აზრს გამოთქვამენ სხვა ქართველი მეცნიერებიც. მეცნიერები გ. ერქომაიშვილი და დ. ხურცია წერენ, „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი არის და მომავალშიც უნდა იყოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ამასთან, იგი თანხვედრაში უნდა იყოს სადღეისო მოთხოვნებთან და იმ პოლიტიკურ კურსთან, რომელსაც საქართველო ადგას ევროინტეგრაციის გზაზე" [ერქომაიშვილი, ხურცია, 2023, გვ. 29]. საქმე ისაა, რომ ჰიდროენერგორესურსებით ასეთ მდიდარ ქვეყანას არ უნდა სჭირდებოდეს ენერგიის იმპორტი. ასეთ დროს, საქართველოში ენერგომოხმარების დაახლოებით ¾ - იპორტზე მოდის [მწვანე ბიზნესის... 2009, გვ. 24]. ამასთან საკმაოდ შთამბეჭდავია მისი განახლებადი ენერგიის (ქარის, მზის ენერგია) პოტენციალი. „ხუინროკ ინტერნეიშელის" მიერ მოწოდებულ მასალის მიხედვით იგი შეფასებულია 10-15 ბილიონ კილოვატ-საათად, ანუ 0,8-1,2 მილიონ მეტრულ ტონად (ეს არის

ქვეყანაში ჯამური ენერგომომარაგების 25-26%) [განახლებადი... 2008]. განახლებადი პოტენციალის სრული ათვისება არა მხოლოდ შეუმცირებს საქართველოს იმპორტზე დამოკიდებულებას და ამ გზით შეარბილებს ენერგეტიკულ საფრთხეს, არამედ იგი მოხმარების სიმარტივის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სარგებელს (განსაკუთრებით სოციალურ სარგებელს) მოუტანს დაშორებულ და ძნელად მისადგომ მთიან ადგილებში მცხოვრებთ, რადგან მათთან დიდი თუ საშუალო ჰესებიდან ტრადიციული გზით (ელსადენებით გადაცემა) ენერგიის გადაცემა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ასეთი დაშორებული ადგილები და თანაც მაღალმთიან ზონაში განლაგებული სოფლები (თემები) საქართველოს მრავლად აქვს. აი, სწორედ იქ არის განახლებადი ენერგიის გამოყენების დიდი საჭიროება, ცხადია, შესაძლებლობის ფარგლებში. დღეისათვის ცნობილია თუ როგორ ინტენსიურად მცირდება ფასები მზის და ქარის ტურბინებზე, მათი ფასების შემცირება ენერგიის ამ წყაროს უფრო მიმზიდველს ხდის. ამასთან, მათ დაპროექტებას და ამოქმედებას ჰესების მშენებლობასთან შედარებით ნაკლები დროც სჭირდება და, რაც თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია, მათი მოწყობით არ ზიანდება გარემო.

ჩვენი რეკომენდაცია იმაშია, რომ საქართველოს რეგიონების ადგილობრივმა თვითმმართველმა ორგანოებმა თავისი ინიციატივით, ბუნებრივია ამ სფეროს სპეციალისტების დახმარებით, დეტალურად შეისწავლონ თავისი რეგიონის ყველა სახის ენერგოპოტენციალი დასახელებული ქალაქების, დაბების და სოფლების (თემებით) ჭრილში და მათგან პოტენციალურად მისაღებ სხვადასხვა სარგებლის შეჯამებით შეადგინონ თითოეული დასახლებული პუნქტის ყველაზე მისაღები ენერგოუზრუნველყოფის პროექტი. ეს ის სამუშაო იქნება, რომელიც აგრეთვე აისახება ჩვენს მიერ ამ სტატიის წინა ნაწილში დასახელებულ ენერგეტიკის (მ. შ. ელექტროენერგეტიკის) რეგიონულ განვითარების სტრატეგიებშიც. მეტიც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ სფეროში კონკრეტულ შემთხვევებში რეგიონების ხელმძღვანელობამ საქართველოს პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაც კი მოახდინოს და ბიუჯეტიდან მოითხოვოს განახლებადი ენერგიის წარმოებაზე და მცირე ჰესების ამოქმედებაზე სახსრების გადმონაწილება მსხილი ჰესების დაფინანსებიდან. გერმანიაში ამ მიზნით არსებობს მრავალი სუბსიდია ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე [მწვანე ბიზნესის... 2009, გვ. 60]. არ იქნება ცუდი საქართველოში ამ პრაქტიკის გაზიარება.

ენერგეტიკული უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი მდგენელი. მასში იგულისხმება ქვეყნის, მისი თითოეული მოქალაქის და თითოეული ორგანიზაციის უწყვეტი, გარანტირებული და ფინანსურად ხელმისაწვდომი უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსით. ენერგეტიკული უსაფრთხოება ფასდება სხვადასხხვა მაჩვენებლებით. მათ რიცხვშია [ჩომახიძე, 2014, გვ. 102]:

1. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ტემპები და მასშტაბები.
2. ენერგიის სულადობრივი წარმოება, მოხმარება და მათი შესაბამისობა.
3. ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისების დონე.
4. ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსის წილი მოხმარების საერთო მოცულობაში.
5. ელექტროენერგეტიკული ბალანსების მდგომარეობა.
6. პროდუქციის ენერგო და ელექტროტევადობა.
7. შრომის ენერგო და ელექტროაღჭურვილება.
8. ენერგიის დანაკარგები.
9. ენერგიის გამოყენების ეფექტიანობა.
10. საგარეო ეკონომიკური კავშირები და სხვა.

ამ ჩამონათვალიდან ენერგოუსაფრთხოების გამზომ ყველაზე რეალურ მაჩვენებლებად ჩვენ მეორე, მეოთხე და მეხუთე მაჩვენებლები მიგვაჩნია. ყველა დანარჩენი მაჩვენებლები მათთან კავშირში არიან და საბოლოო ჯამში მათ სიდიდეს განაპირობებენ. განვიხილოთ ისინი:

**ენერგიის სულადობრივი წარმოება და მოხმარება** საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ენეერგიის სულადობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად შეიცვალა (იხ. ცხრილი 3). კერძოდ, ენერგიის წარმოების სულადობრივი მოცულობა 1990 წლიდან 2013 წლამდე 2611

კვტ/სთ-დან 2113 კვტ/სთ-მდე დაეცა, შემდეგ წლებში კი იგი გაიზარდა. რაც შეეხება ელექტროენერგიის მოხმარებას იგი 1990-2012 წლებში მთელი 34,6%-ით შემცირდა, შემდეგ წლებში კი ადგილი ჰქონდა ზრდასაც და შემცირებასაც, მაგრამ ეს ზრდა არ იყო ადგილობრივი ენერგიის წარმოებით განპირობებული. იგი მიღწეულია მეზობელ ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტით. საერთოდ ელექტროენერგიის სულადობრივი მოხმარებით საქართველო საბჭოურ წლებშიც ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იდგა. საქართველოში მაშინ 1 სულ მოსახლეზე ანგარიშით იწარმოებოდა 2-3-ჯერ ნაკლები ელექტროენერგია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. მოცემულ სფეროში დღესაც არ გვაქვს წარმატებები, მიუხედავდ იმისა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი სიმძლავრეები აქვს.

**ცხრილი 3. ელექტროენერგიის სულადობრივი წარმოება და მოხმარება საქართველოში 1990-2022 წლებში (კვტ/სთ)**

| წლები | წარმოება | მოხმარება | წარმოების დეფიციტი (-), ან სიჭარბე (+) |
|---|---|---|---|
| 1990 | 2611 | 3198 | -587 |
| 2000 | 1691 | 1769 | -78 |
| 2005 | 1643 | 1815 | -172 |
| 2010 | 2235 | 1903 | +332 |
| 2012 | 2113 | 2092 | +21 |
| 2018 | 3257,3 | 3850 | -592,7 |
| 2020 | 3002,5 | 4129 | -1126,5 |
| 2022 | 3862,3 | 5001 | -1138,7 |
| 2023 | 3852,8 | 4927 | -1074,2 |

**წყარო: ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკა, თბ., 2014, გვ. 104;**
**საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მასალები.**

**ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსის წილი მის მოხმარების საერთო მოცულობაში.**

ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ 1990-2023 წლებში საქართველოს მიერ ელექტროენერგიის მოხმარების მთლიან მოცულობაში ადგილობრივი წარმოების წილი 77-98%-ის ფარგლებში იცვლებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ 2010 წელი (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4. ადგილობრივი ელექტროენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან მოხმარებაში**

| | ზომის ერთეული | 1990 | 2000 | 2005 | 2010 | 2018 | 2020 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი მოხმარება | მლნ კვტ/სთ | 17450 | 7841 | 7812,2 | 8442 | 14359 | 14479 | 18447 | 18408 |
| ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოება | მლნ კვტ/სთ | 14246 | 7682 | 6881 | 9919,2 | 12148 | 11160 | 14246 | 14395 |
| მისი ხვ. წილი საერთო მოხმარებაში | %% | 81,6 | 98 | 88 | 117,4 | 84,6 | 77 | 77,2 | 78 |

**წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით**

**საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსი.**

ცხრილი 5 გვიჩვენებს საქართველოს ელექრტოენერგიის ბალანსის მდგომარეობას (იხ. ცხრილი 5). ცხრილიდან ჩანს, რომ მთელი 1990-2023 წლების განმავლობაში საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებასა და მის მოხმარებას შორის ყოველ წელს არის დიდი დისბალანსი. რაც შეეხება ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტს დადებითი სალდო საქართველოს ჰქონდა მხოლოდ 2010 და 2023 წლებში.

**ცხრილი 5. საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი (მლნ კვტ/სთ)**

| | 1990 | 2000 | 2005 | 2010 | 2018 | 2020 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელექტროენერგიის წარმოება (მლნ კვტ. სთ) | 14245,7 | 7446,5 | 6880,8 | 9919,2 | 12148,5 | 11160 | 14246,6 | 143395,9 |
| ელექტროენერგიის მთლიანი მოხმარება (მლნ კვტ. სთ) | 17450 | 7841 | 7842 | 8442 | 14359 | 14479 | 18447 | 18108 |
| ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარებას შორის სალდო (-, +) (1-2) | -3204,3 | -394,5 | -961,2 | -1477,2 | -2210,5 | -3319 | -4200,5 | -3712,1 |
| ელექტროენერგიის იმპორტი | 4373 | 599 | 1398 | 222 | 1522,0 | 1711,8 | 4693,5 | 4234,4 |
| ელექტროენერგიის ექსპორტი | 1169 | 205 | 122 | 1524 | 602 | 255,6 | 4131,4 | 4912,9 |
| ელექტროენერგიის იმპორტ-ქსპორტის სალდო (-, +) (5-4) | -3204 | -394 | -1276 | +1402 | -920 | -1456,2 | -562,1 | +678,5 |

**წყარო: გაანგარიშებულია „საქსტატის“ ინფორმაციის საფუძველზე**

**წყარო: შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის“ და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინსიტროს მასალების საფუძველზე**

## დასკვნა

ამრიგად, ზემოთმოცემულ ცხრილებში წარმოდგენილი და ჩვენს მიერ გაანალიზებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. ამის გარეშე იგი მუდმივად დამოკიდებული იქნება გარე წყაროებზე, კერძოდ, რუსეთსა და აზერბაიჯანზე, რაც გარკვეული რისკის შემცელია.

საკუთარი ელექტროენერგიის საკმარისი რაოდენობის საწარმოებლად საქართველოს აქვს როგორც ჰიდრო, ისე ქარის და მზის ენერგორესურსები. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით (2023-2033 წ.წ.) დაგეგმილია ყველა ამ რესურსის მაქსიმალური გამოყენება, კერძოდ, 169 ჰესის ამუშავება ჯამური გამომუშავებით 15812,5 მლნ კვტ. სთ, 3 - თბოსადგურის (400 მგვტ დაგეგმილი სიმძლავრით), 23 ქარის ელექტროსადგურის (829 მგვტ დადგმული სიმძლავრით) და 31 მზის ელექროსადგურის (174 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ამუშავება [საქართველოს გადამცემი ქსელის... 2022]. ამ გეგმის შესრულებით 2033 წელს საქართველოში ელექტროენერიის საკუთარი წარმოებით მოხმარებული იქნება:

პესიმისტური სცენარით - 16,8 მლრდ კვტ. სთ.

ზომიერი სცენარით - 20,8 მლრდ კვტ. სთ.

ოპტიმალური სცენარით - 25,7 მლრდ კვტ. სთ.

2023-2033 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის მთლიანი საშუალო წლიური მოხმარება სავარაუდოდ შეადგენს 18 მლრდ კვ. სთ-ს, მაგრამ მასში მხოლოდ 14,3 მლრდ კვტ. სთ. არის საკუთარი წარმოების. ასე რომ, თუ ზემოაღნიშნული გეგმა პესიმისტური სცენარით მაინც შესრულდება, ისიც დიდი მიღწევა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

**ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:**


1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გარემოს დაცვის პრობლემები ევროკავშირში. ჟ. „ეკონომისტი“. N 1. 2021.
2. ბიზნეს-სექტორი საქართველოში. თბ., 2023.
3. განახლებული ენერგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბ., 2008.
4. გურიის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგია. 2014.
5. ერქომაიშვილი გ., ხურცია დ. საქართველოში ენერგეტიკული ჰაბის ფორმირების წანამძღვრები და განვითარების პერსპექტივები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #2. 2023. გვ. 25-41.
6. იმერეთის რეგიონის 2012-2017 წლების განვითარების სტრატეგია. 2014.
7. კახეთის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგია. თბ., 2014.
8. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს-ორგანიზაციებისთვის. შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს-კონფედერაციების კავშირი. 2009
9. ნარმანია დ., სეთურიძე რ. და სხვები. ელექტროენერგეტიკაში დისპეჩერული მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის (SCADA) განვითარების აქტუალური საკითხები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N3. 2023.
10. რამიშვილი ბ. ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N 2. 2014.
11. რაჭარ-ლეჩხუმის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგია. 2014.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2023.
13. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა. თბ., 2002.
14. საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა. თბ., 2023.
15. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 023.
16. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა - 2023-2033, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. თბ., 2022.
17. ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკა. 2014.
18. ჩომახიძე რ. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. 2003. გვ. 43.
19. Electonity Market Report 2023 by Internarional Energy Agency. http://www.iea.org//reports/electricity-market-report-2023.
20. Laayati O. and etc (2020). Smart Energy Management: Energy Consumpltion Metering, Monitoring and prodiction for Mining Industry. IEEE 2nd International Conference on Electronics, Control, Optimization and Computer Science (ICECOCS), 20364014.
21. Qays M. and etc (2022). Monitoring of Renewable Energy Systems by Iot-Aided SCADA System. Energy Science & Enginering, Volume 10, Issue 6, Pages 1874-1885.


**REFERENCES:**


1. Abesadze R., Bibilashvili N. Problems of environmental protection in the European Union. J. “Economist”. No. 1. 2021.
2. Business sector in Georgia. Tb., 2023.
3. Prospects of renewable energy development in Georgia. Tb., 2008.
4. Development strategy of Guria region for 2014-2021. 2014.
5. Erkomaishvili G., Khurtsia D. Achievements and prospects of development of energy hub in Georgia.

J. “Economy and Business”, #2. 2023. p. 25-41.

6. Development strategy of Imereti region for 2012-2017. 2014.
7. Development strategy of Kakheti region for 2014-2021. Tb., 2014.
8. Green business support strategy for private business organizations of Georgia. Union of Business Confederations of the Black and Caspian Seas. 2009
9. Narmania D., Seturidze R. and others. Actual issues of the development of the automated system of dispatch management and control (SCADA) in electric energy. J. “Economics and Business”. N3. 2023.
10. Ramishvili b. Development directions of the energy trend and its influence on the strategic situation of Georgia. J. “Economy and Business”. No. 2. 2014.
11. 2014-2021 development strategy of the Rachar-Lechkhumi region. 2014.
12. Statistical Yearbook of Georgia. Tb., 2023.
13. Energy policy of Georgia. Tb., 2002.
14. Energy policy of the state of Georgia. Tb., 2023.
15. Energy balance of Georgia. Statistical publication. Tb., 023.
16. Ten-year plan for the development of the transmission network of Georgia - 2023-2033, “State Electricity System of Georgia”. Feb., 2022.
17. Chomakhidze D. Energy of Georgia. 2014.
18. Chomakhidze R. Energy security of Georgia. 2003. p. 43.
19. Electricity Market Report 2023 by International Energy Agency. http://www.iea.org//reports/electricity-market-report-2023.
20. Laayati O. and etc (2020). Smart Energy Management: Energy Consumption Metering, Monitoring and Prediction for Mining Industry. IEEE 2nd International Conference on Electronics, Control, Optimization and Computer Science (ICECOCS), 20364014.
21. Qays M. and etc (2022). Monitoring of Renewable Energy Systems by IoT-Aided SCADA System. Energy Science & Engineering, Volume 10, Issue 6, Pages 1874-1885.

# ABOUT SOME PROBLEMS OF THE ELECTRIC ENERGY SECTOR OF GEORGIA

**Evgeni Baratashvili**
Doctor of Economics, GTU Professor

**Sergo Rukhadze**
David Agmashenebeli University of Georgia,
Doctoral Student

**RESUME**

In the article - "About some problems of the electric energy sector of Georgia" - the issue of the country's electricity production potential and how it is used is discussed.

The article mentions that out of all the energy resources, Georgia has the most electrical energy resources. These are hydropower (water resources), wind and solar resources. A retrospective analysis of both total and individual production and consumption of electricity in the period 1990-2023 concluded that a 47.5% increase in individual consumption was caused by the catastrophic population decrease in Georgia during the same period.

The article also mentions that the average consumption of electricity in Georgia is half of the corresponding indicator of Germany, the USA - Mesa-Med, and Norway - one-sixth. The electricity balance of Georgia is negative. A significant part of electricity is imported from Russia and Azerbaijan.

Among the problems faced by the electrical energy system, the article discusses the possibility of causing danger by depending on external sources of electricity, giving preference to the construction of large hydroelectric power plants (the construction of which destroys wild nature) and less attention to the study of the issue of regional production and consumption of electricity. The article provides conceptual solutions to each of these problems.

**Key words**: electric energy; hydropower; wind and solar energy; large and small hydropower plants; Electrical energy balance.

# საკონსერვო პროდუქციის ბაზრის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-78

**ნანა კირვალიძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
„ავიცენას"-ს საერთაშორისო საზოგადოებრივი
კოლეჯის პედაგოგი,
E-mail: julietakazariani1956@gmail.com

**თამარ გელიაშვილი**
პროფესორი, „ავიცენას"-ს საერთაშორისო
საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო
პროცესის დეპარტამენტის დირექტორი

**რეზიუმე**

განხილულია საქართველოში საკონსერვო პროდუქციის ბაზრის მახასიათებლები: წარმოების დინამიკა; ასორტიმენტის სტრუქტურა და ფასწარმოქმნა; ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები. აღნიშნულია, რომ ლიდერი კომპანიები საკონსერვო პროდუქციის დასამზადებლად იყენებენ მხოლოდ ნატურალურ ნედლეულს, ამიტომ ამ პროდუქციის თვითღირებულებაში 40%-ი არის დანახარჯები ნედლეულზე, პროდუქციის წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე. ექსპორტის მოცულობას მზარდი ხასიათი აქვს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 0,4-0,5% შეადგენს. პროდუქციის ექსპორტი საბითუმო ბაზების საშუალებით ხორციელდება. ხდება მიზნობრივი მომხმარებლის მოთხოვნის შესწავლა, მარკეტინგის კომპლექსის ყველა ასპექტის დაქვემდებარება მომხმარებლის ინტერესებთან. სამამულო პროდუქციამ საქართველოში ჩაანაცვლა მოზღვავებული იმპორტიც.

გაანალიზებულია ყველა ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები საკონსერვო პროდუქციის უვნებლობის თვალსაზრისით. მომხმარებელთა 63% უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ ქართულ ხილ-ბოსტნეულის კონსერვებს. მომხმარებელთა 20%-ის აზრით პროდუქციის ნიშანდების (ეტიკეტის) მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს, ამიტომ პროდუქციას შეაფასებენ მოხმარების შემდეგ, 30%-ის აზრით არაკომპეტენტურია ხარისხის შეფასებაში, მათთვის მნიშვნელოვანია ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი, 50%-ი ენდობა ეტიკეტზე მოცემულ მონაცემებს.

ავტორები ასევე საუბრობენ საკონსერვო პროდუქციის ბაზრის განვითარების ღონისძიებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** საკონსერვო პროდუქციის ბაზარი, წარმოება, თვითღირებულება, ფასწარმოქმნა, ექსპორტ-იმპორტის დინამიკა, მომხმარებელთა კვლევა, სტრატეგიული მიმართულებები.

**შესავალი**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარება გულისხმობს კონკურენტუნარიანი საწარმოების და პროდუქციის არსებობას და მიწოდებას როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ამის არარსებობის გამო მრავალი არარენტაბელური და არაკონკურენტუნარიანი დარგი განადგურდა. მეხილეობით, მებოსტნეობით და სუფთა სასმელი წყლით მდიდარ ქვეყანაში აღორ-

ძინდა ტრადიციული დარგი საკონსერვო წარმოება. ქვეყანაში შეიქმნა ქართული ბრენდები, რომლებიც აწარმოებენ 100%-ით ნატურალურ, უნიკალურ პროდუქციას, მოქნილ ფასწარმოქმნას, პროდუქციის გაფართოების სწორ, მიზანმიმართულ მარკეტინგულ სტრატეგიებს, პარტნიორობას ექსპორტიორ საბითუმო ფირმებთან. მთავარი აქცენტი სასაქონლო პროდუქციის სწორ ფორმირებასა და მართვაზე, საქონლის მიწოდების მეთოდებზე, ოპტიმალურ ლოგისტიკურ ჯაჭვზე, სარეკლამო ღონისძიებებზე, მომხმარებლებთან გაყიდვის შემდგომ ორმხრივ კავშირებზეა და სხვა.

კონსერვის ისტორია 3000 წელს ითვლის. პორველი კონსერვები ეგვიპტეში აღმოაჩინეს ფარაონთა სამარხის გათხრისას. ეს იყო თიხის ჯამებში მოთავსებული შემწვარი იხვები, რომლებიც კუპრით იყო ჰერმეტიზებული. თანამედროვე სახით კონსერვები მხოლოდ XIX საუკინის დასაწყისში მიიღეს. საკონსერვო პროდუქციის წარმოებამ გაიარა მრავალსაუკუნოვანი გზა პრიმიტიული წარმოებიდან განვითარებულ მაღალტექნოლოგიურ დარგამდე. საქართველოს მრავალფეროვანმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა, ბუნებრივი რესურსების სიუხვემ, მეხილეობის, მებოსტნეობის და მებაღეობის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა, სუფთა სასმელმა წყალმა განაპირობა საკონსერვო წარმოების არსებობა. 1989 წლის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებდა 64 საკონსერვო ქარხანა და წლის განმავლობაში გადამუშავებას ექვემდებარებოდა 600-650 ათასი ტონა ხილ-ბოსტნეულის ნედლეული. მიღებული მზა პროდუქციის (860 მილიონი პირობითი ქილა) 65% იგზავნებოდა საექსპორტოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ევროპის ქვეყნებში.

საბაზრო ეკონომიკის დანერგვის კვალობაზე, როდესაც ქვეყანაში შეიცვალა მეურნეობის აგებულება, საკონსერვო წარმოება განადგურების პირას მივიდა. 2002 წელს საკონსერვო წარმოების ხვედრითი წილი მრეწველობაში მხოლოდ 1,7%-ს შეადგენდა. ქვეყანაში ფუნქციონირებდა ათიოდე საწარმო, რომელთა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე მხოლოდ 3-8% იყო. საკონსერვო პროდუქციაზე მოთხოვნა ნაწილობრივ კმაყოფილდებოდა თურქული, ირანული, ბერძნული, ნიდერლანდული, რუსული, უკრაინული და სხვა იმპორტიორი ქვეყნების პროდუქციით, რომლებიც ხშირად უხარისხო და ფალსიფიცირებული იყო, ასევე შინამეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებით მიღებული ნაწარმის მეოხებით.

მაგრამ საკონსერვო საწარმოებმა შეძლეს არსებობა და განვითარება. მათ შესძლეს დაყრდობოდნენ ძველ ან განახლებულ წარმოებას, რომელიც უკვე ათვისებული იყო მუშების და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მიერ. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა საერთაშორისო საკონსერვო ფირმები. ქართული პროდუქცია ძლიერ კონკურენციას უწევს იმპორტულ კონსერვებს, ითვისებს საერთაშორისო ბაზარს. საკონსერვო მრეწველობა მოიცავს როგორც ხილ-ბოსტნეულის, ხორცისა და თევზისაგან დამზადებულ კონსერვებს, საწებლებსა და მარინადებს, ასევე ისეთ პროდუქტებს, რომლებიც უშუალოდ კონსერვებს არ წარმოადგენენ, მაგრამ შენახვის გახანგრძლივების მიზნით გარკვეული დამუშავება განიცადეს: გამშრალი ან გაყინული ხილი და ბოსტნეული, ბოსტნეულის და ხილის წვენები და სხვა (რაც სტატიაში ჩვენ არ განვიხილეთ).

2019-2023 წლებში საქართველოში დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილ პროდუქციას ზრდის ტენდენცია აქვს (პანდემიის მიუხედავად) და მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%-ს შეადგენს, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების ხვედრითი წილი დამამუშავებელი მრწველობის მხოლოდ 0,6%-ია (2023 წლის მონაცემებით) და ზრდის ტენდენცია აქვს (ცხრილი 1). არასტაბილურია ხილის, ბოსტნეულის და ბაღჩეულის წარმოება, რომელიც საკონსერვო პროდუქციის ძირითადი ნედლეულია, რაც გახშირებული სტიქიური მოვლენებით არის გამოწვეული. ბოსტნეულის კულტურებიდან შემცირების ტენდენცია აქვს ბადრიჯნის, მწვანე ლობიოს, პამიდვრის წარმოებას. მცირე რაოდენობით იწარმოება მარწყვი, ჟოლო, მოცვი, გარგარი. გაცილებით უფრო საიმედოა ვაშლის, ქლიავის, ბალის, ატმის და ვაშლატამის, მანდარინის წარმოება.

**ცხრილი 1**

**საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და მ.შ. დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2019-2023 წლებში მლნ. ლარი**

| | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023* |
|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში | 43482,0 | 43453,4 | 52826,1 | 63396,6 | 69571,7 |
| %-ად წინა წელთან შედარებით | 100,0 | 99,9 | 121,6 | 120,0 | 109,7 |
| მ.შ. დამამუშავებელი მრეწველობა | 4388,6 | 4694,2 | 6021,4 | 7084,4 | 6624,5 |
| დამამუშავებელი მრეწველობის ღირებულების წილი, მთლიან დამატებით ღირებულებაში | 10,1 | 10,8 | 11,4 | 11,2 | 9,5 |
| %-ად წინა წელთან შედარებით | 100,0 | 107,0 | 128,3 | 117,7 | 93,5 |

*** 2023 წლის მონაცემები არის წინასწარი**

**ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე**

საკონსერვო მრეწველობის სტაბილური მუშაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ხილ-ბოსტნეულის და სხვა ნედლეული პროდუქტების შესანახი სამაცივრე კომპლექსის არსებობა და მოწესრიგება. საკუთარი სამაცივრე სისტემები ლიდერ კომპანიებს აქვთ. დანარჩენი საკონსერვო ფირმები და ფერმერები სარგებლობენ ხილ-ბოსტნეულის საცავი მაცივრებით, სადაც თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობაა. არ არის შექმნილი ცალკეული სახის ხილის შესანახად (მაგალითად ატმის) საჭირო კლიმატის დამცავი ავტომატიზებული სისიტემები, რის შედეგადაც ხილის მოსავლის ნაწილი ფუჭდება, იკარგება ნედლეული.

**ცხრილი 2**

**საქართველოში ხილის, ბოსტნეულის და ბაღჩეულის წარმოება 2019-2023 წლებში (ათასი ტონა)**

| | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023* |
|---|---|---|---|---|---|
| ხილი სულ | 502,2 | 602,3 | 566,5 | 568,0 | 485,5 |
| მ.შ. თესლოვანი ხილი | 52,7 | 102,1 | 86,3 | 89,9 | 61,1 |
| კურკოვანი ხილი | 38,5 | 60,7 | 66,0 | 71,3 | 59,3 |
| კაკლოვანი ხილი | 30,9 | 40,8 | 53,9 | 43,7 | 45,9 |
| სუპტროპიკული ხილი | 20,3 | 22,3 | 23,1 | 17,8 | 18,3 |
| კენკროვანი ხილი | 2,0 | 2,7 | 4,0 | 4,9 | 5,7 |
| ყურძენი | 293,8 | 316,9 | 271,6 | 287,3 | 223,4 |
| ციტრუსი | 64,0 | 56,8 | 61,6 | 53,1 | 71,8 |
| ბოსტნეული სულ | 161,1 | 176,1 | 149,0 | 128,5 | 138,2 |
| ბაღჩეული სულ | 79,9 | 83,6 | 77,9 | 72,6 | _ |

*** 2023 წლის მონაცემები არის წინასწარი**

**ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე**

საკონსერვო პროდუქციის მწარმოებელი ლიდერი კომპანიებია: მარნეულის სასურსათო ქარხანა, გორის საკონსერვო ქარხანა „კულა“, კასპის საკონსერვო ქარხანა თი ემ თი, მცხეთის

„ჯორჯიან ნატურალურ პროდუქტი“, გურჯაანის „ქართული აგროპროდუქტი“, ქედის და ჩოხატაურის საკონსერვო ქარხნები.

საწარმოებში განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოხდა ძველის რეკონსტრუქცია. კერძო ინვესტორის და პროექტ „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით კომპანიებმა აღადგინეს დანგრეული წარმოება. თი ემ თი-მ 1 მილიონი ლარის ინვესტიციით განაახლა წარმოება, ხოლო „ოქროს ბრენდი-2013“-ის დაჯილდოებაზე კომპანია „კულა“ გამარჯვებულად დასახელდა და იმ კომპანიებს შორის მოხვდა, რომლებმაც უმოკლეს დროში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს. მარნეულის სასურსათო ქარხნის ნატურალურმა პროდუქციამ მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა იმპორტი.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს 20-მდე საკონსერვო საწარმო. ლიდერი კომპანიების პროდუქცია მრავალფეროვანია. ამზადებენ ნაირგვარი ხილის მურაბებს, ჯემებს, ხილფაფებს, კომპოტებს, ბოსტნეულის კონსერვებს, მარინადებს, ტომატ-პასტას, საწებლებს, საბავშვო კონსერვებს. პროდუქცია დამზადებულია ნატურალური ნედლეულისაგან, არ შეიცავს კონსერვანტებს, მავნე დანამატებს, ხელოვნურ საღებავებს და გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს. პროდუქცია დაფასოებულია მინის ტარასა და თუნუქის ქილებში. მინის ტარის მიმწოდებლებია რუსეთის, მოლდავას, უკრაინის და ქსანის მინის ქარხანა (იმპორტული მინის ტარა მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას). საკონსერვო საწაროებში ფუნქციონირებს თუნუქის ქილების მწარმოებელი ხაზები. 2017 წელს კი ბაზარზე პირველად გამოჩნდა „კულა“ს დამზადებული ხორციანი კერძის კონსერვები: ყაურმა, ჩაქაფული, ხორცის ჩაშუშული. ამზადებენ თევზის კონსერვსაც (სამწუხაროდ ეს მონაცემები ვერ მოვიპოვეთ კონფიდენცილურობის გამო). ზოგიერთი მცირე საწარმო, სადაც არ არსებობს სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები, ბაზარს მიაწვდის კონსერვანტებით გაჯერებულ პროდუქციას. ეს სრულად დაუშვებელი დამოკიდებულებაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი, ისინი უგულვებელყოფენ იმ უპირატესობას, რაც ქართულ კონსერვს გამოარჩევს სხვა ფირმების პროდუქციისაგან. საქართველოში დამზადებული საკონსერვო პროდუქციის ძლიერებას და ვარგისიანობას ნატურალური ნედლეულის არსებობა განაპირობებს. ლიდერ კომპანიებს შორის კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავის, უნიკალურობის, ხარისხის, ასორტიმენტის სიფართოვის, შეფუთვის, ნიშანდების, მიწოდების სისწრაფის, ბრენდის გავლენის, სარეკლამო ღონისძიებების, გასაღების სტიმულირების, ფასების დონის და სხვა მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრილი 3) ნაჩვენებია ხილ-ბოსტნეულის კონსერვების და საწებლების წარმოების დინამიკა საქართველოში.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ საკონსერვო მრეწველობა აღმავლობის პროცესშია. 2023 წელს 2019 წელთან შედარებით ბოსტნეულის კონსერვების წარმოება ნატურაში გაიზარდა 47,9%-ით, ხილის კონსერვების - 50%-ით, ხოლო ტომატ-პასტის, ტყემლის და საწებლის - 66,4%-ით. საქართველოში წარმოებული ხილის კონსერვები (კაკლის მურაბა) საერთაშორისო კონკურსის ჯილდოს მფლობელია. 1997 წელს მადრიდში ჩატარებულ გამოფენაზე გორკონის (გორის საკონსერვო ქარხანა „კულა“) პროდუქციამ კაკლის მურაბამ მიიღო ჯილდო „ევროპის თალი“. მაგრამ მიუხედავად განვითარების სწრაფი ტემპებისა, უკანა რიგშია მწვანე ლობიოს კონსერვი, მარწყვის მურაბა და ჯემი, ჟოლოს, საზამთროს ქერქის და ვარდის მურაბა.

საქართველოში მოსახლეობის ჯანდაცვის საკვებისმიერი ინტოქსიკაციის, ეპიდემიური აფეთქებების თავიდან აცილების და მოსახლეობის ხარისხიანი კონსერვირებული პროდუქტების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს კონსერვების სანიტარულ-ტექნიკური კონტროლის წესი სამრეწველო საწარმოებში, საბითუმო ბაზრებში, საცალო ვაჭრობაში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, რომლის საფუძველზე ლაბორატორიულად მოწმდება პროდუქციის ვარგისიანობა. მითითებული კონტროლის წესებისა და ნორმების დარღვევების შემთხვევაში დაწესებულია მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებები, ხდება წუნდებული პროდუქციის განადგურება. ასეთი კონტროლით მომხმარებელი რწმუნდება საწარმოებში დამზადებული კონსერვების უვ-

**ცხრილი 3**

**საქართველოში ხილის და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება 2019-2023 წლებში**

| | 2019 | | 2020 | | 2021 | | 2022 | | 2023 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტონა | ათასი ლარი | ტონა | ათასი ლარი | ტონა | ათასი ლარი | ტონა | ათასი ლარი | ტონა | ათასი ლარი |
| ხილის და ბ ოს-ტნეულის კონსერვი სულ: | 5634,3 | 18536,5 | 5392,6 | 17795,2 | 6131,4 | 22561,1 | 6288,5 | 25150,6 | 8549,9 | 38639,7 |
| ხილის და ბოსტ-ნეულის კონსერვი სულ %-ად წინა წელთან შედარე -ბით | 100,0 | 100,0 | 95,7 | 96,0 | 113,7 | 126,8 | 102,6 | 111,5 | 136,0 | 153,6 |
| მ.შ. ბოსტნეულის კონსერვი | 2902,1 | 8318,0 | 2728,9 | 8151,9 | 3028,8 | 10917,6 | 3213,8 | 12023,1 | 4291,1 | 19916,1 |
| ბოსტნეულის კონსერვი %-ად წინა წელთან შედარებით | 100,0 | 100,0 | 94,0 | 98,0 | 111,0 | 133,9 | 106,0 | 110,1 | 133,5 | 165,6 |
| ხილის კონსერვები (კომ-პოტი, მურაბა, ხილფაფა და ა.შ | 1755,6 | 6531,8 | 1139,1 | 3260,8 | 1753,2 | 5246,5 | 1649,3 | 6366,2 | 2634,1 | 9451,5 |
| ხილის კონსერვები (კომპოტი, მურაბა, ხილფაფა და ა.შ) %-ად წინა წელთან შედარებით | 100,0 | 100,0 | 64,9 | 49,9 | 153,9 | 160,9 | 94,1 | 121,3 | 159,7 | 148,5 |
| ტომატის და ტყემლის საწებელი | 976,6 | 3686,7 | 1524,6 | 6382,5 | 1349,4 | 6397,0 | 1425,4 | 6761,3 | 1624,7 | 9272,1 |
| ტომატის და ტყემლის საწებელი %-ად წინა წელთან შედარ-ებით | 100,0 | 100,0 | 156,1 | 173,1 | 88,5 | 100,2 | 105,6 | 105,7 | 114,0 | 137,1 |

*** 2023 წლის მონაცემები არის წინასწარი**

**ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე**

**ნახ.1. საკონსერვო პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა**




ნებლობაში, ხდება მოთხოვნის გადართვა შიდა მეურნეობებში დამზადებული პროდუქციიდან წარმოებაში დამზადებულ პროდუქციაზე.

საკონსერვო ფირმები ატარებენ პროდუქციის ფასწარმოქმნის მოქნილ პოლიტიკას. ფასწარმოქმნა ხდება საწარმოო ხარჯების და ბაზარზე კონკურენტების ფასების გათვალისწინებით. საკონსერვო პროდუქციის თვითღირებიულების სტრუქტურა მოცემულია 1 ნახაზზე.

როგორც ნახაზიდან ჩანს, თვითღირებულების 40%-ს შეადგენს დანახარჯები ნედლეულზე, პროდუქციის წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე. 1 კგ ნედლეულის გადამუშავების ხარჯი 0,8-1 ლარია. მაღალია დანახარჯები მინის ტარის და დამხმარე მასალების შესაძენად.

საქართველოში არსებული ქსნის მინის ქარხანა ვერ აკმაყოფილებს მინის ტარაზე გაზრდილ მოთხოვნებს, მაშინ როდესაც ასეთი საწარმოები შეიძლება შეიქმნას.

საქართველოში მოთხოვნა საკონსერვო პროდუქციაზე 160-170 მილიონი პირობითი ქილაა, რაც სრულად კმაყოფილდება (ზოგიერთი სასაქონლო პოზიციის გარდა) როგორც შიდა მეურნეობებში დამზადებული ხილის და ბოსტნეულის კონსერვით, საწებელებით, ასევე საკონსერვო ქარხნების პროდუქციით. კონსერვებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა ბოსტნეულის კონსერვზე, ტომატ-პასტა-პიურეზე, ხილის ჯემებსა და ხილფაფაზე არის და შესაბამისად შეადგენს მოთხოვნის 33%, 40% და 8%-ს. შექმნილია ექსპორტის მნიშვნელოვანი საფუძველიც. ექსპორტის მოცულობას მზარდი ხასიათი აქვს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 0,4-0,5%-ს შეადგენს. უცხოური კომპანიების საკონსერვო პროდუქცია არ გამოირჩევა ეკოლოგიური სისუფთავით, ადგილობრივი საწარმოები კი უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის სიჯანსაღით, უნიკალურობით, მაღალი ხარისხით და შედარებით დაბალი ფასებით აღწევენ. ხდება მიზნობრივი მომხარებლის მოთხოვნის შესწავლა, პროდუქციის ყველა ასპექტის დაქვემდებარება მომხმარებელთა ინტერესებთან, წინ წაწევის სწრაფი და ეფექტიანი არხების მოძიება, გრძელდება გაყიდვის შემდგომი ორმხრივი კომუნიკაცია მომხმარებელთან. გერმანიაში მოთხოვნაა ქართულ საწებლებზე, მურაბებზე, ტყემლის კონსერვზე. ევროპის დანარჩენ ქვეყნებში მოწონებით სარგებლობს საწებლები, ტყემალი. ისრაელში მურაბები და ტყემლის კონსერვი იმსახურებს მოწონებას, რუსეთში საწებლები და ჯემები. „კულა“ს 2000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია მსოფლიოს 25 ქვეყანაში ექსპორტირდება. საქონლის წინ წაწევა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე შუამავლის-საბითუმო ფირმის მეშვეობით ხორციელდება. საბითუმო ქსელი თვითონ უზრუნველყოფს საქონლის ტრანსპორტირებას, შენახვას, რეკლამას, საცალო სავაჭრო ქსელისათვის მიწოდებას, გაყიდვის სტიმულირებას.

ლიდერმა კომპანიამ თი ემ თი-მ რეკონსტრუქციის შემდეგ ზურგი აქცია საქართველოს ბა-

ზარს და ნატურალური პროდუქცია მიაწოდა ევროპის ქვეყნებს, აშშ-სა და ისრაელს. მხოლოდ პანდემიის პერიოდში გადაწყვიტა ადგილობრივ ბაზარზეც წარმოეჩინა საკუთარი შესაძლებლობები და ახლა საქართველოში 1000-მდე სავაჭრო ობიექტს ამარაგებს. ლიდერი ფირმების წარმოებული პროდუქციის 50-60%-ი ექსპორტირდება, 40-50%-ი კი მიეწოდება ადგილობრივ ბაზარს.

ცხრილ 4-ში მოცემულია საკონსერვო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა საქართველოში. საკონსერვო პროდუქციის იმპორტი მთლიანი იმპორტის 0,7-0,9%-ს შეადგენს. იმპორტი 116725,5 ათ აშშ დოლარით აღემატება ექსპორტს (2023 წლის მონაცემებით).

**ცხრილი 4**
**საქართველოში საკონსერვო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი 2019-2023 წლებში4**

| წელი | ექსპორტი | | იმპორტი | |
|---|---|---|---|---|
| | ათ. აშშ დოლარი | ტონა | ათ. აშშ დოლარი | ტონა |
| 2019 | 15956,6 | 4672,3 | 68921,5 | 42559,1 |
| 2020 | 16777,1 | 4844,8 | 66587,2 | 41155,1 |
| 2021 | 21458,5 | 6718,6 | 75453,1 | 44094,4 |
| 2022 | 24851,8 | 8041,5 | 119089,0 | 57148,9 |
| 2023 | 29078,0 | 8104,7 | 145803,5 | 63933,2 |

**ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე**

ექსპორტის 13,8%-ს შეადგენს მზა საწებლები; ჯემი, ხილფაფა, ხილ-კენკროვანი ჟელე - 5,8%-ია; კონსერვები და მზა კერძები 69,8%-ი (2023 წლის მონაცემებით). იმპორტის 8,2%-ს შეადგენს ხორცი და ხორცპროდუქტები, 7,2%-ს ტომატ-პასტა, 27,8%-ს საწებლები (2023 წლის მონაცემებით).

2023 წელს საკონსერვო პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 5).

**ცხრილი 5**
**საკონსერვო პროდუქციის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2023 წელს**

| ქვეყანა | ათ. აშშ დოლარი | ტონა |
|---|---|---|
| იტალია | 5696,7 | 1066,2 |
| რუსეთი | 7640,4 | 1786,6 |
| ყაზახეთი | 1849,3 | 1000,5 |
| გერმანია | 5464,3 | 889,6 |
| აზერბაიჯანი | 1093,0 | 457,4 |

**ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე**

ზედმეტი არ იქნება თუ მოვიყვანთ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვების საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ (იხ. ცხრილი 6).

**ცხრილი 6**

| | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023* |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებულ პირთა რაოდენობა (კაცი) | 2192 | 2012 | 2231 | 2515 | 2254 |
| შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი) | 528,2 | 534,5 | 571,5 | 676,1 | 854,5 |

*** 2023 წლის მონაცემები არის წინასწარი**

საკონსერვო პროდუქციის მოხმარებას სეზონური ხასიათი აქვს. ოქტომბერ-აპრილში ხდება კონსერვის ინტენსიური მოხმარება. სარგებლიანობასთან ერთად, კონსერვი არის დიდი რისკის შემცველი პროდუქტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მძიმე დაავადების პროვოცირება და მოწამვლა. ამიტომ, კონსერვის უვნებლობის დაცვისათვის, საჭიროა ნატურალური და სალი პროდუქტების გამოყენებასთან ერთად დაცული იყოს შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადები.

ჩვენს მიერ ჩატარებული მომხმარებელთა შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ შემოსავლების მიუხედავად, მომხმარებელთა 88-90% მოიხმარს საკონსერვო პროდუქციას. მომხმარებელთა 25%-ი არ ყიდულობს ქარხნული წესით დამზადებულ კონსერვებს, რადგან თვლიან, რომ პროდუქცია ფალსიფიცირებულია, დარღვეულია ტექნოლოგია, შეიცავს მავნე დანამატებს და აქვს მაღალი ფასი. ისინი შიდა მეურნეობებში ტრადიციული საოჯახო რეცეპტებით ამზადებენ კონსერვებს. 10%-ი საერთოდ არ მოიხმარს კონსერვს. მომხმარებელთა 45%-ი ზოგიერთ კონსერვს ამზადებს ოჯახში. ნაწილს ყიდულობს, რადგან თვლიან, რომ საწარმოში დამზადებული ბოსტნეულის კონსერვი, მარინადი, ტომატი უსაფრთხოა და სასარგებლოა, ვიდრე კუსტარულად, შიდა მეურნეობაში დამზადებული. რესპოდენტთა 20%-ი (ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები) მხოლოდ საცალო სავაჭრო ქსელში შიიძენენ კონსერვს, რადგან ოჯახში ვერ ამზადებენ უდროობის გამო. მომხმარებელთა 20%-მა შენიშვნა გამოთქვა მურაბების და ბოსტნეულის კონსერვების შედგენილობის, კონსისტენციის და გემოს გამო. მოითხოვეს თანამედროვე ტექნოლოგიის შერწყმა ტრადიციულ საოჯახო რეცეპტებთან. მათი აზრით საჭიროა თნამედროვე ტექნოლოგიებით ტრადიციული საოჯახო რეცეპტების უფრო მეტად მოდერნიზება. სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს კვლევის შედეგი: მომხმარებელთა 63%-ი უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ ქართულ კონსერვებს, 37%-ი კი - იმპორტულ ანალოგიურ ნაწარმს. მომხმარებელთა 20%-ის აზრით ეტიკეტზე არსებული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს, ამიტომ უჭირთ ეკოლოგიური სისუფთავის შეფასება. მომხმარებელთა 50%-ი ენდობა ეტიკეტზე არსებულ მონაცემებს. 30%-ი კი არაკომპეტენტურია ხარისხის შეფასებაში, მათთვის მნიშვნელოვანია ლაბორატორიული კვლევის შედეგად გაცემული ხარისხის სერტიფიკატი. მომხმარებელთა მხოლოდ 25%-ი მოიხმარს ქარხნული წესით დამზადებულ მურაბებს და ჯემებს. მაღალია იმ მომხმარებელთა (ოჯახების) ხვედრითი წილი, რომლებიც საცალო სავაჭრო ქსელში შეძენილ საწებლებს და ტომატ-პასტას მოიხმარენ - 80%-ი.

იმპორტული და სამამულო საკონსერვო პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები (არომატი, გემო, ფერი, კონსისტენცია, შედგენილობა და ეკოლოგიური სისუფთავე) მომხმარებლებმა ერთნაირი ქულებით შეაფასეს (4 ან 5 ქულა) შეფასების 5 ქულიანი სისტემით. მხოლოდ ქართული მურაბების და ჯემების სამომხმარებლო თვისებებს მისცეს უპირატესობა (V=0,1) მაღალი შეთანხმების დროს.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. შემდგომი განვითარებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

- საკონსერვო წარმოების სეზონურობის ხასიათის მიუხედავად მომხმარებელს პროდუქცია მიეწოდოს სტაბილურად, უმოკლეს დროში. ამ მიზნით შეიქმნას საცავები, სასაწყობო ფართო-

ბები. აღიჭურვოს ამწევ-სატრანსპორტო მოწყობილობებით, პროდუქციის შენახვის გარემო-პირობები შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს;

- გამოიკვლიონ მიზნობრივი საერთაშორისო ბაზრები (სკანდინავიის ქვეყნები, კანადა, ჩინეთი, შუა და წინა აზიის ქვეყნები, სნგ ქვეყნების ჩრდილოეთი რაიონები,) შემუშავდეს დივერსიფიკაციის სტრატეგია. ითანამშრომლონ რამდენიმე შუამავალ საბითუმო ფირმასთან. შეიქმნას ოპტიმალური ლოგისტიკური სქემა, მომხმარებელს პროდუქცია მიეწოდოს უმოკლეს დროში, უწყვეტად;
- მოხდეს საკონსერვო პროდუქციის პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, ნატურალური ნედლეულით სარგებლობა ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად;
- ქართულ საწარმოებს ზედმეტად ნუ გაიტაცებს საეთაშორისო ბაზარი, ადგილობრივ მომხმარებელსაც მიაწოდოს ისეთი პროდუქცია, რომელზეც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნაა;
- გაფართოვდეს პროდუქციის ასორტიმენტი, ორმხრივი კომუნიკაცია დამყარდეს მიზნობრივი ბაზრის მომხმარებელთან. გამოიკვლიან კონკრეტული მოთხოვნები, შენიშვნები, შეხედულებები;
- საკონსერვო პროდუქციის რეკლამა იყოს უფრო დეტალიზებული, სისტემატურად იყოს გამოყენებული გასაღების სტიმულირების საშუალებები, სადღესასწაულო და მიმდინარე ფასდაკლებები. საცალო სავაჭრო ქსელის ობიექტებში გაფართოვდეს საკონსერვო პროდუქციის ასორტიმენტი, წარმოდგენილი იყოს ყველა ლიდერი კომპანიის პროდუქცია;
- საქართველოში შეიქმნას მინის ტარის მწარმოებელი საწარმოები, რადგან ქვეყანაში არსებული ერთადერთი საწარმო ვერ აკმაყოფილებს ტარაზე გაზრდილ მოთხოვნას.

## დასკვნა

შედეგებმა ცხადყო, რომ უმოკლეს დროში ქვეყნეაში აღორძინდა საკონსერვო დარგი, შეიქმნა საერთაშორისო საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ და ბაზარს მიაწვდიან ნატურალურ, ჯანსაღ პროდუქციას. ეს მნიშვნელოვანი ბერკეტია საეთაშორისო ბაზრის ასათვისებლად. ადგილობრივმა წარმოებამ არა მარტო ჩაანაცვლა მოზღვავებული იმპორტი და ტრადიციულ შიდა მეურნეობებში წარმოებული პროუქცია, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც კონკურენტუნარიანია და აქვს სერიოზული მიღწევები.

თითოეულ მიზნობრივ ბაზარზე მარკეტინგის ინდივიდუალური კომპლექსია გამოყენებული. აწარმოებენ მოქნილი ფასწარმოქმნის, გასაღების, საქონლის წინ წაწევის, გაყიდვის შემდგომი ორმხრივი კომუნიკაციების და სხვა პოლიტიკას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მარკეტინგის საფუძვლები, ფ. კოტლერი, გ. ამსტრონგი, მე-14 გამოცემა, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 2016 წ. გვ. 292-325;
2. ავთანდილ ლაფაჩი, საკონსერვო მრეწველობის რეაბილიტაცია და მისი ეკონომიკური ამაღლების გზები, დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003 წ.;
3. რ. ხუციშვილი, ე. სადაღაშვილი, დაკონსერვების ზოგადი ტექნოლოგია (სალექციო კონსპექტი), სტუ, 2012 წ.;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება #304/5, 2003 წლის 27 ნოემბერი. კონსერვების სანიტარულ-ტექნიკური კონტროლის წესი სამრეწველო საწარმოებში, საბითუმო ბაზებში, საცალო ვაჭრობაში და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში.
5. https://www. momxmarebeli.ge;
6. www.geostat.ge

**REFERENCES:**

1. Fundamentals of Marketing. G. Amstrong. P. Kolter. G. Amstrong, 14th Edition. Translation from English, Tbilisi, 2015s. pg.292-325.
2. Avtandil Lapachi,cannery industry rehabilitation and rising its ways of economic, dissertation(postgraduate thesis), Tbilisi 2003s. (In Georgian language).
3. R. Khecishvili, E. Sadagashvili, general technology of preserving (lecturer resume )GTU,2012s (In Georgian language).
4. Georgia Ministry of Labor, Health and Social Affairs Order N 304/5, 2003s. 27-th of November, The rule of preserves Sanitary technical control manufacturing production in wholesale basis, retail trade and social catering facilities( In Georgian language).
5. https://www.momxmarebeli.ge
6. www.geostat.ge.

## MODERN MARKET TRENDS OF CANNERY PRODUCTION IN GEORGIA

**Nana kirvalidze**
Academic Doctor of Economics, International community
college teacher of „ Avicenna"

**Tamar Geliashvili**
International community college professor
of „Avicenna" and Director
of Department of Teaching processes

**RESUME**

This article discusses the market of Cannery production in Georgia: Dynamics of manufactory, the structure of assortment, the structure of production and cost price setting, the tendencies of export and import. Leader companies use natural material for getting ready cannery production, so in production cost price there are 40% percent expenses on raw material, on manufacturing of production and transporting. The amount of export is increasing. It occurs teaching of the targeted consumer demand and the submission all the aspects of market complex with the consumer interest. Patriotic production in Georgia changed affluent import. The demand of the cannery production in the country is 160-170 millions of conditional jars. This article also describes the results of the survey for the safety of cannery production. 63 % of consumers are superiority of the only Georgian cannery producing. According to the 20% percent of consumers' opinion the data on the label of the production are wrong and they will value the uniqueness of the production after using them. 30% percent of consumers are unqualified in valuing of quality. It's important for them to get the adequate degree certificate after the laboratory control. 50% of consumers trust the data of the label. The authors also talk about cannery market development.

**Key words:** The market of the cannery production, manufactory, cost of price, price setting, the dynamics of the export, import.

# დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერთა განვითარების ტენდენციები საქართველოში

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-88

**მარინე ხუციშვილი**
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
E-mail Mariam.khutsishvili@btu.edu.ge

**რეზიუმე**

დაზღვევა უაღრესად გავრცელებული და ეფექტური რისკის მართვის ფინანასური ინსტრუმენტია. იგი ასევე გულისხმობს რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემას, ოღონდ ამ შემთხვევაში რისკი გადაეცემა სადაზღვევო საზოგადოებას. დავიმახსოვროთ, რომ დაზღვევა არის რისკის მართვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფინანსური ინსტრუმენტი. ამავე დროს ალვნიშნოთ, რომ დაზღვევა არის ფაქიზი ინსტრუმენტი და მისი გამოყენება არ შეიძლება ყველანაირი რისკებისათვის და ყველანაირ სარისკო სიტუაციაში. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზღვევა გამოიყენება რისკის მართვის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად ანუ წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის პროგრამის ნაწილს. ხშირად თავად სადაზღვევო კომპანიები მოითხოვენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე კლიენტმა ფიზიკური ინსტრუმენტების გამოყენებით შეამციროს არსებული პირველადი რისკები. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ყოვლად დაუშვებელია იქ არსებული რისკების მართვა მხოლოდ დაზღვევის მეშვეობით.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო ბროკერი, დაზღვევის შუამავალი, სადაზღვევო პროდუქტი, გაყიდვის არხი, დამოუკიდებელი აგენტი.

**ძირითადი ტექსტი**

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბაზარი, სადაც ერთად იკრიბებიან მყიდველები, გამყიდველები და შუამავლები, რათა იყიდონ ან გაყიდონ რაიმე პროდუქტი. ამგვარი რამ ძნელია წარმოიდგინო დაზღვევის შემთხვევაში, ვინაიდან შეუძლებელია ყოველი დაზღვევისას სადაზღვევო ბაზარზე მიიტანო სახლი, ქარხანა ან გემი. დასაზღვევი ობიექტების წარმოდგენას ბაზარზე არანაირი აზრი არ აქვს, ვინაიდან რეალურად იზღვევა პიროვნების (დამზღვევის) ფინანსური ინტერესი ამ დასაზღვევი ობიექტების მიმართ.

შუამავლები და სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის სხვა არხები დაზღვევის შეძენა (ყიდვა) შესაძლებელია როგორც პირდაპირ, შუამავლის გარეშე, ასევე შუამავლის მომსახურების გამოყენებით.

პრაქტიკაში სადაზღვევო კომპანიები იყენებენ საკუთარი პროდუქტების გაყიდვის სხვადასხვა არხებს. ტიპიურად სადაზღვევო ხელშეკრულების დადება წარმოებს შუამავლების მეშვეობით, ანუ მზღვეველის თვალთახედვით გაყიდვის არაპირდაპირი არხით. მეორე მხრივ, დაზღვევის შეძენის მსურველს შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდეს სადაზღვევო კომპანიას და პირდაპირ დადოს მასთან ხელშეკრულება სადაზღვევო შუამავლის მომსახურების გარეშე. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის პირდაპირ არხზე. პირდაპირი გაყიდვების მეთოდი გულისხმობს სადაზღვევო პროდუქტების უშუალო, შუამავლების გარეშე რეალიზაციას სადაზღვევო კომპანიის სათაო ოფისიდან. კლიენტის კონტაქტი მზღვეველთან ხორციელდება მხოლოდ დაუსწრებლად, მიმოწერით, სატელეფონო საუბრების ან სხვადასხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

პიროვნებისა და იმ ორგანოს ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომელიც მზღვეველისაგან დამზღვევს სადაზღვევო მომსახურებას სთავაზობს არჩევენ სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის სამი სახის არხს:

1. სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის არხი შეიძლება იყოს საკუთრივ სადაზღვევო კომპანიის ნაწილი. ეს შეიძლება იყოს კომპანიის გაყიდვების განყოფილება ან საგარეო სამსახურის შტატიანი თანამშრომლების ქსელი, რომლებიც ეხმარება კლიენტს (დამზღვევს) განსაზღვრული სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების დადებაში;

2. სადაზღვევო მომსახურების გაყიდვას შესაძლებელია ახორციელებდეს ინდივიდუალური მეწარმე ან სადაზღვევო წარმომადგენელი მისთვის სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში;

3. გარდა ამისა სადაზღვევო მომსახურების გაყიდვით შესაძლებელია დაკავებულნი იყვნენ თავად მზღვეველისაგან დამოუკიდებელი შუამავლები, პირველ რიგში ეს დაზღვევის ბროკერები არიან. მათ გარდა საქმიანობის ამ ფორმას შესაძლებელია ახორციელებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები ან საწარმოები, მაგალითად, ბანკები, სამოგზაურო ბიუროები, მსხვილი უნივერმაღები, ამანათების საწარმოები და სხვები მზღვეველთან კოოპერაციის შესახებ დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში.

სადაზღვევო აგენტი ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მისი შრომის ანაზღაურება ხდება საკომისიოს საფუძველზე. ეკონომიკური თვალსაზრისით სადაზღვევო აგენტი მჭიდროდაა დაკავშირებული მზღვეველთან, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს. მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება აგენტის ხელშეკრულებით და შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით. აგენტი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს სადაზღვევო პროდუქტების პოპულარიზაციაზე და ახალი ხელშეკრულებების დადებაზე.

დაზღვევის წარმომადგენელს უფლება აქვს მიიღოს სათანადო ანაზღაურება მზღვეველის ინტერესების მიხედვით გაწეული საქმიანობისათვის. პირველ რიგში ეს არის საკომისიო ანაზღაურება და ასევე დაზღვევის აგენტისათვის გადასახდელი სხვა გადასახადები. აგენტის უფლება საკომისიო ანაზღაურების მიღებაზე წარმოიშვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის ხელშეკრულების დადება წარმოადგენს მისი საქმიანობის უშუალო შედეგს ე.ი. როდესაც ადგილი აქვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხელშეკრულების დადებასა და აგენტის საქმიანობას შორის. ასეთი კავშირის დამადასტურებელ საბუთად აღიარებულია კლიენტის მიერ ხელმოწერილი განცხადება დაზღვევის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელსაც აგენტი წარუდგენს მზღვეველს. დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ აგენტი იძენს ანაზღაურების მიღების უფლებას. საკომისიო ანაზღაურების მოცულობა გამოითვლება მზღვეველის სპეციალური ცხრილით დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის მოცულობის შესაბამისად.

დამოუკიდებელი აგენტი შესაძლებელია მოქმედებდეს როგორც მზღვეველის ასევე დამზღვევის სახელით, თუმცა ორივე შემთხვევაში საკომისიოს იღებს მზღვეველისგან. დამზღვევის სახელით მოქმედი აგენტი დამზღვევს უწევს რეკომენდაციას სადაზღვევო მომსახურების მიღების თაობაზე.

მზღვეველის და სააგენტოს ურთიერთობა ეფუძნება შეთანხმებას (სიტყვიერი ან წერილობითი), რომლის საფუძველზეც სააგენტოს აქვს უფლება იმოქმედოს მზღვეველის სახელით. მათი ურთიერთობა შეიძლება შეწყვეტილ იქნას ორმხრივი შეთანხმებით. ამ დროს ერთ-ერთი მხარის ფულადი ვალდებულება, რომელიც ურთიერთობის შეწყვეტამდე წარმოიშვა რჩება ძალაში. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სადაზღვევო პრაქტიკაში ხშირად არის ის, რომ როცა შეთანხმება სააგენტოსთან გაუქმდება, ამის შემდეგ აგენტები კვლავ აგრძელებენ საქმიანობას. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება სააგენტოსტან შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

აგენტებს განარჩევენ ასევე შემდეგი ორი ნიშნით: კრედიტით მომუშავე და ნაღდი ფულით მომუშავე აგენტები.

მზღვეველი პასუხისმგებელია საკუთარი შუამავლის ქმედებებზე. ეს იმით არის განპირობებული, რომ მისი წარმომადგენელი არის კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი. ამასთანავე, პოტენციური დამზღვევი, რომელმაც შეიტანა განაცხადი დაზღვევის ხელშეკრულების დადების თაობაზე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან განაცხადში არსებულ შეკითხვებზე პასუხების სისწორეზე იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს განაცხადი აგენტის მიერ არის შევსებული.

აგენტი უნდა ასრულებდეს მზღვეველის მითითებებს, მას არა აქვს უფლება მიაწოდოს კონკურენტ სადაზღვევო კომპანიებს ინფორმაცია დაზღვევის ტარიფებისა და დამზღვევების ვინაობის შესახებ. დაზღვევის შუამავლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მზღვეველის ინტერესების დაცვა, ეს მას უკრძალავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სადაზღვევო კომპანიას, რომელსაც ეს აგენტი წარმოადგენს.

შუამავლების კლასიფიკაცია ხდება საქმიანობის სახეების მიხედვით: ფინანსური მომსახურეობა და ზოგადი დაზღვევა. შუამავალი შესაძლებელია მოქმედებდეს ერთ ან ორივე ამ სფეროში ერთდროულად.

ყველა ბროკერი წარმოადგენს აგენტს. სადაზღვევო პრაქტიკაში ტერმინი "აგენტი" გამოიყენება მხოლოდ აგენტის განსაკუთრებულ ტიპთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით მოცემულია რამდენიმე განსხვავება:

● „სადაზღვევო ბროკერი" დაკავებულია სრულად ამ საქმიანობით, როგორც სადაზღვევო საქმის პროფესიონალი, ხოლო "დაზღვევის აგენტს" ხშირად აქვს სხვა სპეციალობა და ეს მისი ერთ-ერთი საქმიანობაა. აღსანიშნავია, რომ პირი, რომელიც მუშაობს კომპანიაში და ჰქვია "აგენტი" დაკავშირებულია მხოლოდ ამ კომპანიასთან და არ შეიძლება ემსახურებოდეს სხვა კომპანიასაც.

● ბროკერს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო განათლება, აგენტისთვის კი ეს არ არის აუცილებელი.

● საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ორივეს – სადაზღვევო ბროკერსაც და დამოუკიდებელ აგენტსაც, რომლებიც მუშაობენ ზოგად დაზღვევაში უნდა ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი.

● ბროკერი შესაძლებელია წარმოადგენდეს დამზღვევსაც და მზღვეველსაც, ხოლო აგენტი წარმოადგენს მხოლოდ მზღვეველს.

● ორივე ბროკერიც და აგენტიც იღებენ საკომისიოს მზღვეველისაგან, ამასთან ხშირად ბროკერის საკომისიო გაცილებით მეტია რასაც მისი პროფესიული დონე განაპირობებს ამიტომ ასეთ საკომისიოს ეწოდება "ბროკერის საკომისიო."

● ბევრ ქვეყანაში ბროკერების რეგისტრაცია ხორციელდება დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემდეგ, რის შემდეგაც მას აქვს უფლება სადაზღვევო ბროკერად მუშაობის.

სადაზღვევო ბროკერი კი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიის ან სხვა დოკუმენტის შესაბამისად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

სადაზღვევო ბროკერი, როგორც დამოუკიდებელი შუამავალი, დგას დამზღვევის მხარეს. მისი ამოცანაა დაზღვევისათვის განცხადებული რისკების შეფასება, ანალიზის საფუძველზე სადაზღვევო დაცვის სათანადო მოცულობის განსაზღვრა, მზღვეველის მოძიება, რომელთანაც შესაძლებელი იქნება რისკების განთავსება, დამზღვევისათვის ყველაზე ხელსაყრელი და საიმედო ფორმით. ბროკერი აბსოლუტურად თავისუფალია მზღვეველის შერჩევისას. ბროკერებისაგან განსხვავებით, რომლებიც ეკონომიკის სხვა სფეროებში საქმიანობენ, დაზღვევის ბროკერები ვალდებულები არიან იმოქმედონ საკუთარი კლიენტის ინტერესებში, კერძოდ, ხელი შეუწყონ მის მიერ დაზღვევის სათანადო ხელშეკრულებების დადებას. თავის საქმიანობისათვის დაზღვევის ბროკერი იღებს საკომისიო ანაზღაურებას, რომელსაც მას უხდის მზღვეველი. იგი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე მცდარი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

სავაჭრო ბროკერისაგან განსხვავებით სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დამოუკიდებლად იმოქმედოს საკუთარი კლიენტის ინტერესებში. მან საკუთარი ინიციატივით უნდა გააანალიზოს

რისკი – არ უნდა დაელოდოს დამზღვევის მხრიდან სათანადო მოთხოვნას, დაუყოვნებლივ აცნობოს მას საკუთარი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ, რომელიც მან რისკის დასაზღვევად განთავსებისათვის განახორციელა.

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი მცდარ ქმედებებზე რასაც ბროკერი განახორციელებს დამზღვევის მიმართ, ასევე ხელშეკრულების დადებისას და მისსავე საქმიანობაში შეცდომებისათვის, თუ ისინი იმითაა განპირობებული, რომ ბროკერი აღმოჩნდა დამზღვევის ნდობით აღჭურვილი პირის როლში.

პერსონალური დაზღვევებისას უფრო ხშირია შუამავლის გარეშე დაზღვევა. უმრავლეს შემთხვევებში კერძო (ინდივიდუალური) პირები თავად განსაზღვრავენ, თუ რა ტიპის დაზღვევა ესაჭიროებათ. ისინი მიმართავენ რამოდენიმე სადაზღვევო კომპანიას შესაბამისი დაზღვევის პირობების მოსაპოვებლად და ამის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელ კომპანიაში დაეზღვიონ (ირჩევენ სადაზღვევო კომპანიას). ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალურმა პირებმა მიმართონ შუამავალს. კომერციული დაზღვევებისას რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა. რაიმე მსხვილ კომერციულ ან სამრეწველო ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს საწარმო ან სავაჭრო კომპლექსები მიმოფანტული მთელ ქვეყანაში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი, მთელს მსოფლიოში. ამგვარი ორგანიზაცია მრავალი სხვადასხვა ტიპის რისკის წინაში დგას. მათ ესაჭიროებათ შუამავლის მიერ საკუთარი სადაზღვევო მოთხოვნილებების ექსპერტული შეფასება და მათი მისადაგება სადაზღვევო ბაზარზე არსებულ, შესაბამისი ტიპის დაზღვევის გამყიდველთან. ამდენად, კომერციული დაზღვევები უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება შუამავლის დახმარებით.

შუამავლის გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები მზღვეველებისა და დამზღვევებისათვის.

დამზღვევისათვის შუამავლის გამოყენების დადებითი მხარეებია:

- დამზღვევს შეუძლია მიიღოს შუამავლისაგან უფასოდ დამოუკიდებელი რჩევა მრავალი სადაზღვევო საკითხის შესახებ. ესენია: სადაზღვევო მოთხოვნილებები, დაფარვის საუკეთესო ტიპი და დაფარვის შეზღუდვები, საუკეთესო სადაზღვევო ბაზარი, სარჩელის პროცედურები, დაზღვევით დაკისრებული ვალდებულებები პოლისის პირობების შესაბამისად და მრავალი სხვა;
- დამზღვევს შეუძლია ისარგებლოს შუამავლის რისკ-მენეჯმენტული მომსახურებით;
- შუამავალს შეუძლია განათავსოს სასურველი დაზღვევა სასურველ ბაზარზე;
- შუამავალს შეუძლია გარკვეული ზარალების დარეგულირებაშიც მონაწილეობა;
- შუამავალი არის დაზღვეულის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი მზღვეველთან მიმართებაში.

მზღვეველისათვის შუამავლის გამოყენების უპირატესობებია:

- მოლაპარაკებები შუამავლებთან ადვილიცაა და სწრაფიც, ვინაიდან დეტალურ განსჯას (განხილვას) მოითხოვს მხოლოდ სპეციალური მოთხოვნები ან რაიმე ფაქიზი (წვრილმანი) დეტალები. ამგვარად, იზოგება დროც და ფულიც რუტინული საკითხების განხილვაზე;
- შუამავალს შეუძლია ჩაატაროს რისკ-სერვეი;
- შუამავალს შეუძლია ჩამოაყალიბოს დაზღვევის პირობები;
- ზოგიერთი ტიპის ზარალის დარეგულირება შესაძლებელია განხორციელდეს შუამავლის მონაწილეობით.

## დასკვნა

თუ მზღვეველს აკმაყოფილებს აგენტის გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები, შესაძლოა უმჯობესი იყოს მზღვეველისა და აგენტისათვისაც, რომ ისინი შეთანხმდნენ უფლებამოსილების დელეგირების გარკვეულ დონეზე. ეს შეეხება ახალი დაზღვევების განხორციელებას, პრემიის დადგენას (გარკვეული ლიმიტების ფარგლებში) და ზარალების დარეგულირებას (გარკვეული ლიმიტების ფარგლებში).

ზოგიერთი შუამავალი თავის თავს უწოდებს კონსულტანტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბროკერებისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ პირი არ არის დარეგისტრირებული როგორც ბროკერი და ეწევა საშუამავლო საქმიანობას, მას შეუძლია უწოდოს თავის თავს კონსულტანტი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ 2024 წლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 24 საბროკერო კომპანია, რომელიც ეწევა დაზღვევის საშუამავლო საკონსულტაციო საქმიანობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კალანდაძე ლ., ცერცვაძე ა., დავითაშვილი ლ. სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1999 წ.

2. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес. Словарь-справочник. М.: Анкил, 2005.

3. Коваль, А. Человеческий капитал в страховании важнее финансового / А. Коваль // Управление персоналом. 2004.

4. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.

5. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес: Словарь-справочник. М.: АНКИЛ, 2005.

6. გიორგი გიგოლაშვილი – სადაზღვევო საქმე, 2013.

**REFERENCES:**

1. Kalandadze L., Tsertsvadze A., Davitashvili L. Explanatory dictionary of insurance terms, Tbilisi, 1999.2. Yuldashev R.T. Insurance business. Dictionary-reference book. M.: Ankil, 2005.

3. Koval, A. Human capital in insurance is more important than financial capital / A. Koval // Personnel Management. 2004.

4. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001.

5. Yuldashev R.T. Insurance business: Dictionary-reference book. M.: ANKIL, 2005.

6. Giorgi Gigolashvili – insurance case, 2013.

# DEVELOPMENT TRENDS OF INSURANCE AND REINSURANCE BROKERS IN GEORGIA

**Marine Khutsishvili**
PHD of Business Administration
E-mail: Mariam.khutsishvili@btu.edu.ge

**RESUME**

Insurance is a very common and effective tool for managing financial risks. It also assumes the transfer of the risk in full or in part, but in this case the risk is transferred to the insurance company. Let's remember that insurance is one of the financial instruments of risk management, and not the only one. At the same time, it should be noted that insurance is a non-permanent instrument, and it cannot be used for all risks and in all risky situations. There are quite frequent cases when insurance is used together with other risk management tools, that is, it is part of the risk management program. Чачастую рашовые компании themselves require the client to reduce the existing primary risks with the help of physical instruments before signing the insurance contract. For example, in agriculture, it is completely unacceptable to manage risks there only by means of insurance. the first

**Key words:** insurance broker, insurance mediator, insurance product, sales channel, independent agent.

# საქმიანი ტურიზმი საქართველოში – რეალობა და პერსპექტივები

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-93

**ნანა ნადარეიშვილი**
სტუ ასოცირებული პროფესორი,
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
E-mail: n.nadareish3005@gmail.ge

**რეზიუმე**

საქართველოში საქმიანი ტურიზმი აქტიურად ვითარდება უკანასკნელი წლების მანძილზე. 2022 წელს ვიზიტორთა საერთო რაოდენობიდან საქმიანი ვიზიტით შემოსული იყო 6,6%, ხოლო 2023 წელს 6,8%. 2023 წელს ქვეყანამ ტურიზმიდან 4,1 მლრდ ამერიკული დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც პანდემიამდელ, 2019 წლის მაჩვენებელზე 26.2 პროცენტით მეტია. მსოფლიოს ქვეყნების საქმიანი შეხვედრების 2022 წლის რეიტინგით საქართველო 18 შეხვედრით 64 ადგილზეა, ხოლო თბილისი 16 საქმიანი შეხვედრით მსოფლიო ქალაქების რეიტინგში 129-ე პოზიციაზეა. საქართველოში შეიმჩნევა 1000 კაცზე გათვლილი დარბაზების ნაკლებობა დიდი ფორუმების ჩასატარებლად. თბილისში მშენებარე პანორამა სოლოლაკი, 3 000 - ზე მეტი დელეგატის ტევადობით, სავარაუდოდ, ქალაქის MICE ბაზარზე ყველაზე დიდ საკონფერენციო სივრცეს დაამატებს. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, საერთაშორისო ბრენდის 15 სასტუმრო თბილისის MICE-ის ბაზარს 12 537 კვ.მ ფართით გაზრდის, საერთო ტევადობა კი, 8485 სტუმარს მოიაზრებს. 2024 წლის 4 ივლისს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო პრესტიჟული ფორუმი M&I თბილისი 2024. 4 დღის განმავლობაში, მასში ევროპის წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფორუმს 200-მდე მონაწილე ჰყავდა, აქედან 68 უცხოური კომპანიის წარმომადგენელი სპეციალურად საქართველოს ეწვია, რომ გასცნობოდა საქართველოს შესაძლებლობებს, მის ინფრასტრუქტურას და პოტენციალს.

**საკვანძო სიტყვები**: საქმიანი ტურიზმი, MICE ტურიზმი, ბიზნეს ტურიზმი.

**შესავალი**

საქმიანი ტურიზმი (MICE ტურიზმი, ბიზნეს ტურიზმი) მიეკუთვნება სპეციალიზებული ტურიზმის ნიშას, რომელიც მოიცავს ჯგუფური, წამახალისებელი ტურების დაგეგმვას, კონფერენციების, სემინარების, პრეზენტაციების, ტურისტული გამოფენების და სხვა ღონისძიებების ჩატარებას. მსოფლიო ტურიზმში მასზე მოდის დაახლოებით 25% და ტურიზმის სხვა სახეებს შორის ყველაზე მაღალშემოსავლიანი და სწრაფად მზარდია [1]. საქართველოში საქმიან ტურიზმს ბოლო 5-6 წელია, რაც ყურადღება ექცევა და ჯერ-ჯერობით სუსტადაა განვითარებული. ამის მიზეზად ძირითადად დიდი საკონფერენციო დარბაზების ნაკლებობა და პოლიტიკური არასტაბილურობა სახელდება. მაგრამ, საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ადმინისტრაციის ძალისხმევით 2023-2024 წლებში მის გასავითარებლად შეიქმნა სათანადო ინფრასტრუქტურა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმები ჩატარდა, რამაც უცხოური კომპანიების დიდი ყურადღება მიიქცია.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოში საქმიანი ტურიზმის მიმართულება უკანასკნელი წლების მანძილზე აქტიურად ვითარდება.

მიუხედავად იმისა, რომ Covid-19-ის დროს ტურიზმის ინდუსტრია გახდა ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული სექტორი, ის ახლა ძლიერ ზრდას აჩვენებს. WTTC-ის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის ჯულია სიმპსონის აზრით „2024 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის წილი გლობალურ მშპ-ში მოსალოდნელია, რომ 9,2%-ს და 9,5 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ტურისტული ინდუსტრიის წვლილი მთლიან გლობალურ შემოსავალში გაიზრდება და დაახლოებით $15,5 ტრილიონს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს შეეხება MICE ტურიზმსაც" [2].

გამონაკლისი არც საქართველოა. „2023 წელს ქვეყანამ ტურიზმიდან 4,1 მლრდ ამერიკული დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც პანდემიამდელ, 2019 წლის მაჩვენებელზე 26.2 პროცენტით მეტია. აღნიშნული ტენდენცია 2024 წელსაც შენარჩუნდა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემით, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან 44,4 პროცენტით მეტი საერთაშორისო ვიზიტორი ჩამოვიდა" [3].

ბაზრის მრავალფეროვნების გაზრდამ (მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესის წილის მომატებამ) და ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) უფრო მაღალი დონე, რაც კიდევ უფრო ზრდის საქმიან ტურიზმზე მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური დაძაბულობა, პანდემია და მაღალი საოპერაციო ხარჯები უარყოფით გავლენას ახდენენ საქმიანი ტურიზმის ბაზარზე, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მდგრადი ზრდა და ტექნოლოგიური წინსვლა აღემატება მათ გავლენას ტურიზმის ინდუსტრიაზე.

განვიხილოთ საქმიანი ტურიზმის განვითარების მდგომარეობა გლობალურად და საქართველოში. International Meetings Statistics Report-ის თანახმად, ევროპა რეგიონული შეხვედრების რაოდენობის მიხედვით აგრძელებს ლიდერობას, სადაც 2022 წელს გაიმართა ყველა შეხვედრის 53% [4]. იხ. ნახ.1.

ICCA-ს (International Congress and Convention Association) მსოფლიოს შეხვედრების 2022 წლის რეიტინგში ქვეყნების მიხედვით (94 ქვეყანა) პირველი ათეული ასე გამოიყურება [5]:




**ნახ.1. საერთაშორისო შეხვედრების პროცენტული რაოდენობა კონტინენტებზე.**

1 - აშშ, 2 - ესპანეთი, 3 - იტალია, 4 - გერმანია, 5 - საფრანგეთი, 6 - დიდი ბრიტანეთი, 7 - პორტუგალია, 8 - ნიდერლანდები, 9 - ბელგია, 10 - კანადა. საქართველო ამ რეიტინგში 18 შეხვედრით 64 ადგილზეა. დამსწრეთა საშუალო რაოდენობა იყო 400-500 დელეგატი. საქართველოს საქმიანი ტურიზმის თანამედროვე დარბაზების საერთო ტევადობა 17658 დელეგატია. 2019 წელს თბილისის საგამოფენო/საკონფერენციო ცენტრებში ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ 121 036 დელეგატი შეადგინა. რაც შეეხება ქალაქებს, საქმიანი შეხვედრების მიხედვით ასეთი რანჟირებაა: 1 - ვენა, 2 - ლისაბონი, 3 - პარიზი, 4 - ბარსელონა, 5 - პრაღა, 6 - მადრიდი 7 - ბერ-

ლინი, 8 - ათენი, 9 - ბრიუსელი, 10 - ლონდონი. როგორც ჩანს, ევროპული ქალაქები მსოფლიო რეიტინგში პირველ ათეულს არავის უთმობენ. თბილისი 16 საქმიანი შეხვედრით მსოფლიო რეიტინგში 129 - ადგილზეა. თუ ავიღებთ ევროპის 40 ქვეყნის რეიტინგს, 528 საქმიანი შეხვედრით პირველ ადგილზე ესპანეთია, ხოლო საქართველო, 18 შეხვედრით 33-ე ადგილზეა. რაც შეეხება ევროპის ქალაქებს, თბილისი 16 საქმიანი შეხვედრის ჩატარებით მე-80-ე ადგილზეა ევროპის 187 ქალაქს შორის.

მაგრამ, საქმიანი შეხვედრების მსოფლიო რეიტინგში ასეთი მოკრძალებული ადგილის მიუხედავად ჯერ კიდევ 2019 წელს საქმიანი ტურიზმის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალი Mice Review საქართველოს MICE ტურიზმის რეგიონულ ლიდერად ასახელებდა. თუმცა, მის პირდაპირ კონკურენტად რეგიონალურ MICE ბაზარზე აზერბაიჯანი მოიაზრება. 2015 წელს დაარსებულ ბაქოს საკონფერენციო ცენტრს აქვს 17 საკონფერენციო დარბაზი 2500-მდე დელეგატის საერთო ტევადობით. გარდა ამისა, საკონფერენციო დარბაზებსა და აუდიტორიას აქვს სხვა საშუალებები შეხვედრებისა და ვორქშოფებისთვის.

აღნიშნული ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა კავაი ლოჰმ მოამზადა საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალის შესახებ სტატია სახელწოდებით „შეხვედრა კავკასიონის მთების ქვეშ“. აღნიშნულ სტატიაში ხაზგასმულია, რომ „საქართველო კავკასიის ქვეყანაა, რომელიც საქმიანი ტურიზმის მიმართულებით რეგიონულ ლიდერად ყალიბდება“[6]. თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. 2023 წლის სტატისტიკით საქმიანი მიზნით საქართველოში ჩამოვიდა 418 900 არარეზიდენტი ვიზიტორი, რაც მთელი ვიზიტორების 6,8% შეადგენს [7].

საქმიანი ტურიზმის განვითარებას საქართველოს მთავრობა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არ აკლებენ ძალისხმევას, რადგან ის ისეთ ტურისტულად აქტიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა ფინანსური შემოდინების მთავარ წყაროდ შეიძლება იქცეს. ეს განპირობებულია რამდენიმე მიზეზით: 1) MICE ტურიზმისთვის დამახასიათებელია მაღალი გადახდისუნარიანი ტურისტების შემოდინება; 2) არსებობს ტურიზმის ადმინისტრაციისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა; 3) ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით აწყობს არაერთ ტრენინგს, ფორუმს და სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან გამოფენებს, რათა მომზადებულნი იყვნენ იმ ნაკადის მისაღებად, რომელსაც სახელმწიფო მარკეტინგულად მოიზიდავს; 4) ტურისტული ნაკადების გაზრდისა და საერთაშორისო ღონისძიებების გამართვის მიზნით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ხშირად მასპინძლობს ჟურნალისტებს. პრეს-ტურის ფარგლებში საქმიანი ტურიზმისა და ბიზნეს გამოცემების წარმომადგენლები ეცნობიან საქართველოში MICE ტურიზმის პოტენციალს, ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და ტურისტულ პროდუქტებს, რითაც შემდგომში, თავიანთ ქვეყნებში პოპულარობას უწევენ საქართველოს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანი ტურიზმი 2023 წლიდან გააქტიურდა და სასტუმროები 2024 წლისთვისაც დაიჯავშნა. მაგრამ იმ ფონზე, რომ საკმაოდ ბევრი ახალი და საინტერესო სასტუმრო იხსნება, რომელთაც შეუძლიათ მოემსახურონ საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ ჯგუფებს, ამ თვალსაზრისით მოთხოვნა შედარებით დაბალია და აღდგენის ტემპი სწრაფი არ არის. ამ პრობლემას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, რომელთაგან ყველაზე მთავარი ქვეყანაში დრო და დრო დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა. ამას ემატება პირდაპირი ფრენების სიმცირე და ავიაბილეთების მაღალი ფასი. ინფრასტრუქტურულად საქმიანი ვიზიტორების მიღება თბილისის, ბათუმის და კახეთის მხარის ზოგიერთ სასტუმროს თავისუფლად შეუძლია.

ამასთანავე, შეიმჩნევა 1000 კაციანი დარბაზების ნაკლებობა ქვეყანაში დიდი ფორუმების ჩასატარებლად. თბილისში მშენებარე პანორამა სოლოლაკი, 3 000 - ზე მეტი დელეგატის ტევადობით, სავარაუდოდ, ქალაქის MICE ტურიზმის ბაზარზე ყველაზე დიდ საკონფერენციო სივრცეს დაამატებს. “ალიანს ჯგუფი” ბათუმში MICE ტურიზმის დანიშნულების ადგილის განვითარებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ მალე “ალიანს სითი ბათუმი” გახსნის პირველ ენერგოეფექტურ სა-

ვაჭრო და ბიზნეს ცენტრს, რომელიც საქართველოს MICE ტურიზმის მომავალ ცენტრად მოიაზრება. ქვემოთ მოცემულია საქმიანი ტურიზმის თანამედროვე ობიექტების სიმძლავრის დინამიკა თბილისში [8] (იხ. ნახ. 2).




**ნახ. 2. საქმიანი ტურიზმის ობიექტების სიმძლავრის დინამიკა თბილისში (კაცი).**

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, საერთაშორისო ბრენდის 15 სასტუმრო თბილისის MICE ტურიზმის ბაზარს 12 537 კვ.მ ფართს დაამატებს, საერთო ტევადობა კი, 8 485 სტუმარს მოიაზრებს.

2023 წელს საქართველომ უკვე უმასპინძლა “აღმოაჩინე საქართველო m&i-სთან ერთად” დიდ ღონისძიებას, სადაც ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებმა სასარგებლო კონტაქტები დაამყარეს საერთაშორისო კომპანიებთან. ამ საქმიანობის შედეგია, რომ 2024 წელს საქართველო საქმიანი ტურიზმის ცენტრად მოგვევლინა.

2024 წლის 4 ივლისს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო პრესტიჟული ფორუმი M&I თბილისი 2024; 4 დღის განმავლობაში, მასში ევროპის წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფორუმს 200-მდე მონაწილე ჰყავდა, აქედან 68 უცხოური კომპანიის წარმომადგენელი სპეციალურად საქართველოს ეწვია, რომ გასცნობოდა საქართველოს შესაძლებლობებს, მის ინფრასტრუქტურას და პოტენციალს. ასეთი მაღალი რანგის ფორუმის მასპინძლობა ნიშნავს იმას, რომ საქართველო მზად არის სამომავლოდ ჩაატაროს ნებისმიერი მაღალი რანგის თავყრილობა, რაც გაზრდის როგორც ქვეყნის ტურისტულ ცნობადობას, ისე შემოსავლებს აღნიშნული სექტორიდან. საქმიანი ტურიზმის სფეროში გლობალური ფორუმი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ორგანიზებით ჩატარდა. m&I Tbilisi-ის ფარგლებში საქართველოს ევროპიდან ეწვია 65 პოტენციური დამკვეთი. ასევე, მსოფლიოს 150-მდე პოტენციურ დამკვეთს და სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ დედაქალაქის ტურისტულ ინფრასტრუქტურას და საქმიანი ტურიზმის პოტენციალს.ს საქართველო საქმიანი ტურიზმის ცენტრად მოგვევლინა.

## დასკვნა

საქართველოში საქმიანი ტურიზმი ახალი მიმართულებაა და განვითარება ესაჭიროება. ამისათვის საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია აწყობს საერთაშორისო ფორუმებს და შეხვედრებს უცხოელ კომპანიებთან. პარალელულად ვითარდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შენდება ახალი სასტუმროები დიდი მოცულობის დარბაზებით. ამით, საქართველოს ადგილი საქმიანი შეხვედრების მსოფლიო, ევროპისა და ქალაქების რეიტინგშიც უმჯობესდება. ტურიზმი ძა-

ლიან მგრძნობიარე სექტორია და ესაჭიროება პოლიტიკური სტაბილურობა, მშვიდობა და ინფრასტრუქტურის განვითარება. ამიტომ, ტურიზმის და კერძოდ, საქმიანი ტურიზმის პერსპექტივები დამოკიდებულია აღნიშნულ სიტუაციაზე და პარამეტრებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES**


1. N. Nadareishvili. Prospects of MICE Tourism in Georgia. Sustainable Tourism: Economics and Business. III International Scientific – Practical Conference Proceedings. 2-3 June Batumi. 2012.
2. The World Travel & Tourism Council (WTTC)- https://wttc.org/research/economic-impact
3. MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA https://www.economy.ge/?page=news&nw=2551&lang=ge
4. International Meetings Statistics Report https://uia.org/sites/uia.org/files/misc_pdfs/pubs/Look_Inside_UIA_Statistics_Report_ed_64.pdf
5. ICCA-� (International Congress and Convention Association) https://assets.simpleviewinc.com/simpleview/image/upload/v1/clients/iccaweb/ICCA_Rankings_2023_230707_795d8dd3-147a-45e2-b97f-075234e8f0f6.pdf
6. Mice Review magazine - Georgia has become a regional leader in business tourism https://www.interpressnews.ge/ka/article/554271-zhurnali-mice-review-sakmiani-turizmis-mimartulebit-sakartvelo-regionul-liderad-chamoqalibda/
7. Foreign Visitor Statistics in Georgia 2023.
8. MICE Market | Georgia | 2019. https://recov.ge/news/reports https://www.investingeorgia.org/en/ajax/downloadFile/1132/MICE_Market_in_Georgia_2019.pdf


## BUSINESS TOURISM IN GEORGIA – REALITY AND PERSPECTIVES


**Nana Nadareishvili**
Doctor of Geography, Associate Professor of Georgian Technical University,
Senior Researcher Fellow at Vakhushti Institute of Geography,
E-mail: n.nadareish3005@gmail.com


**RESUME**


Business tourism in Georgia has been actively developing in recent years. In 2022, 6.6% of the total number of visitors was on business visits, and 6.8% in 2023. In 2023, the country received USD 4.1 billion in revenue from tourism, which is 26.2% higher than the pre-pandemic figure in 2019. With the 2022 ranking of business meetings of the world countries, Georgia ranks 64th with 18 meetings, while Tbilisi is ranked 129th in the ranking of world cities with 16 business meetings. There is a lack of halls for 1,000 people in Georgia to hold large forums. Under construction in Tbilisi, Panorama Sololak, with a capacity of more than 3,000 delegates, is expected to add the largest conference space to the city's MICE market. Over the next few years, 15 hotels of the international brand will increase the market of Tbilisi MICE with an area of 12,537 sq. m., with a total capacity of 8,485 guests. On July 4, 2024, the National Tourism Administration organized the International Prestige Forum of Business Tourism M&I Tbilisi 2024 in Tbilisi. Within 4 days, representatives of the leading European companies participated in it. The forum had about 200 participants, of which 68 foreign companies visited Georgia specifically to learn about Georgia's capabilities, its infrastructure and potential.



**Key words:** Business Tourism, MICE Tourism.

# საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს საინვესტიციო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები

DOI:10.36962/ECS106/6-8/2024-98

**ლევან კერესელიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
თსუ-ს მოწვეული პროფესორი
E-mail: levan.kereselidze@tsu.ge

**რეზიუმე**

წარმოდგენილია და შეფასებულია 2010-2023 წლების პერიოდში საქართველოში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, დინამიკა, სტრუქტურა.

პირდაპირი უცხოური ინვესტირების საკითხი მთელ მსოფლიოში მეტად პრობლემური თემაა. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ესპანეთი ზღუდავენ საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნიდან კაპიტალ-დაბანდებებს. ამ საკითხში ფრთხილი პოზიცია აქვთ განვითარებად ქვეყნებსაც. არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც გარკვეულ დარგებში აკრძალულია უცხოური ინვესტირება.

აღნიშნულია, რომ მართალია, საქართველოს ინვესტირებისთვის საკუთარი დანაზოგები არ ყოფნის და უცხოური ინვესტიციები სჭირდება, მაგრამ იგი მეტად ფრთხლად უნდა მოეკიდოს უცხოუელი ინვესტორების მიერ საქართველოში შერჩეულ თითოეულ პროექტს და სკრუპულოზურად შეისწავლოს ის ინტერესი, რაც ამ ინვესტორებს საქართველოში აქვთ.

ავტორის აზრით, სასურველია უცხოელ ინვესტორებთან გარიგებისას საქართველოს მთავრობამ წინა პლანზე წამოსწიოს საქართველოს აგროსექტორის პროექტების და საქართველოს სუსტად განვითარებული რეგიონების და მხარეების (რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ხევსურეთი და სხვა) დაფინანსება.

საქართველო პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყანაა. ეს მას უცხოელ ინვესტორებისთვის არამიმზიდველს ხდის. 2023 წელს რომ საქართველოში 2022 წელთან შედარებით 24%-ით ნაკლები პირდაპირი უცხოური კაპიტალი შემოვიდა, ამის მიზეზად ავტორს სწორედ ქვეყნის არასტაბილური გარემო მიაჩნია, და, მოუწოდებს მთავრობას აღმოფხვრას მისი გამომწვევი მიზეზები.

**საკვანძო სიტყვები:** საინვესტიციო ურთიერთობები; უცხოური პირდაპირი ინვესტიციები; საინვესტიციო გარემო.

**შესავალი**

ინვესტიციები ყოველთვის იყო (და არის) ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ფინანსური წყარო, იგი სჭირდება ყველა დონის ქვეყანას - განვითარებადსაც და განვითარებულსაც. განვითარებადს - ეკონომიკის განსავითარებლად, განვითარებულს კი - მიღწეული დონის შესანარჩუნებლად.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა. უხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგა მისი მეშვეობით მოხდება ეკონომიკის აღმავლობა, მოსახლეობის მასიური დასაქმება და როგორც მისი პირდაპირი შედეგი - მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. აი, რა აქვს ნათქვამი ამის შესახებ ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პოფესორს გრეგორ მენქიუს: „ინვესტირების ხელშეწყობა მთავრობის მიერ ეკონომიკური ზრდის და გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობის ერთ-ერთი გზაა“ [მენქიუ, 2008, გვ. 531]. დღეს ეს პრობლემა მეტად მწვავედ დგას საქართველოში. უმუ-

შევარი მოსახლეობა სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ მიდის, ანუ ტოვებს ქვეყანას. პატრა, მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ეს დამღუპველია, რადგან, ემიგრირებული მოსახლეობის უკან - სამშობლოში დაბრუნების ალბათობა მეტად დაბალია.

### ძირითადი ტექსტი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ეკონომიკაში დახარჯულ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. საკუთრივ ინვესტიციებს წარმოშობის ორი წყარო აქვთ - შინაგანი და გარეგანი. შინაგანი წყარო ეს არის ქვეყნის შიგნით შექმნილი დანაზოგები, გარეგანი კი - უცხოური ინვესტიციები. მოცემული სტატია ეძღვნება მხოლოდ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს და ამ კონტექსტში საქართველოს ურთიერთობას საზღვარგარეთ.

აუცილებლად მისანიშნებელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ, ისევე როგორც ყველა დანარჩენმა პოსტაბჭოურმა ქვეყანამ, დანგრეული, გაპარტახებული ეკონომიკის აღსადგენად და მის შემდგომ განსავითარებლად საჭირო რესურსების წყაროდ უცხოეთი მიიჩნია. მაშინ, საქართველოში მუსირებდა აზრი, რომ „აზიის ვეფხვებად“ წოდებულმა სინგაპურმა, ჰონკონგმა, სამხრეთ კორეამ და სხვებმა, მხოლოდ ამ გზით შეძლეს წარმატებულ ქვეყნებად გადაქცევა. საქართველოში ეს აზრი მუსირებს დღესაც, რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან ინფორმაცია სხვას მეტყველებს. აი, მაგალითად: დ. მაკალოზს [Макализ, 2007]თავის ნაშრომში მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ მათთან, ე. ი. „აზიის ვეფხვებში“, ინვესტიციების 33%-იანი დონის დროს ინვესტიციებზე მოთხოვნის მხოლოდ 1% იფარებოდა უცხოური ინვესტიციებით, დანარჩენი - 32% კი იყო ინვესტიციების შინა წყარო, ანუ საკუთარი დანაზოგი.გვახსოვდეს ისიც, რომ ინვესტიციების 33%-იანი დონის დროს ამ ქვეყნებს განვითარების ბუმი ჰქონდათ [ბერუაშვილი, 2015, გვ. 31]. ასე რომ, ქართულ საინფორმაციო სივრცეში გავრცელებული აზრი, რომ თითქოს ზემოდასახელებული ქვეყნები „ვეფხვებად“ იქცნენ მხოლოდ უცხოეთიდან მიღებული გრანდიოზული მოცულობის კაპიტალით, არ არის მართალი. მათი განვითარების ეს პრაქტიკა, ანუ განვითარების ფოკუსირება ძირითადად, შიგა წყაროზე ანუ დანაზოგებზე, გასათვალისწინებელია საქართველოსთვისაც. ეს ისე არ გავიგოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ უცხოური ინვესტიციების, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მიმღებ ქვეყნის ეკონომიკაზე აქვთ არა მხოლოდ დადებითი გავლენა, არამედ, უარყოფითიც. მათ რიცხვშია [შუბლაძე, მესხია და სხვები, 2012, გვ. 317]:

- ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის უცხოეთზე დამოკიდებულების გაძლიერება;
- უცხოელი ინვესტორების მიერ ადგილობრივი თავისებურებების, პირობების და მოთხოვნების იგნორირება;
- კაპიტალის რეპატრიაცია (დაბრუნება) და მოგების უცხოეთში გატანა;
- მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციული დარგების დაცემა;
- კონტროლის დაკარგვა უცხოური კაპიტალით შექმნილ კომპანიებზე;
- უცხოეთის ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების გაძლიერება და ეროვნულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესისადმი სტიმულების შემცირება;
- ნეგატიური დამოკიდებულება მიმღები ქვეყნის ბუნებრივ გარემო პირობებზე, სოციალურ-კულტურულ გარემოზე;
- სოციალური დაძაბულობის გაძლიერება და სხვა.

ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო, საქართველოს მიერ უცხოელ ინვესტორებიდან ინვესტიციების მიღება მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. იგი არ უნდა იყოს თვითმიზანი. საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა გულდასმით და სკრუპულოზურად უნდა შეაფასონ მათი უცხოელების მიერ საქმიანობაში არჩეული ინვესტიციური პროექტები, მათი განაცხადი და ამის გარდა, მათი ფარული მოლოდინებიც. ინვესტიციების მიმღებ ქვეყანას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს, უნდა ახსოვდეს, რომ „ინვესტიცია არის ქონება, რომელიც იხარჯება სამეწარმეო საქმიანობაში მოგების (ან სხვა სახის სარგებლის) მისაღებად“ [ქოქიაური, 2007, გვ. 11].

ბუნებრივია, რომ ინვესტორი საკუთარი ინვესტიციების განსათავსებლად ეძებს ყველაზე უფრო სარფიან ადგილს. ამის გარდა, ეს ადგილი (ქვეყანა, მხარე, რეგიონი) უნდა იყოს ნაკლებრისკიანი. ქვეყანაში, სადაც მუდმივად რევოლუციური განწყობაა, უცხოელი ინვესტორები კაპიტალს არ აბანდებენ. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

გასული XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით პირდაპირმა ინვესტირებამ აღმავლობაც განიცადა და დაცემაც, თუმცა ამ ორი პროცესს შორის ზრდის ტენდენცია დომინირებდა. ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც პირდაპირი ინვესტიციები ქვეყნის გარეთ ბანდდებოდა იყო 1950-1974 წლების პერიოდი. ამ პერიოდში პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი გამცემი ქვეყანა იყო ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ქვეყანა ინვესტირების ამ ფორმას უპირატესობას აძლევდა და აგულიანებდა თავის კომპანიებს ამ ფორმით გაეტანათ კაპიტალი საზღვარგარეთის ქვეყნებში. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები მაშინ უპირატესობას არა პირდაპირ ინვესტირებას, არამედ, პორტფელურ (არაპირდაპირ) ინვესტირებას აძლევდნენ, და, ახორციელებდნენ კიდევაც მას.

პირდაპირი ინვესტირების საკითხი დღესაც პრობლემური თემაა. მაღალგანვითარებული ქვეყნის ნაწილი - საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვები, იმ მიზეზით, რომ შიშობენ ეროვნულ რესურსებზე კონტროლის დაკარგვას, ზღუდავენ საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნებიდან პირდაპირი ინვესტიციების დაბანდებას. ეს გასაგებიცაა, რადგან ეს უცხოელი ინვესტორი მნიშვნელოვანწილად აკონტროლებს არა მხოლოდ საზღვარგარეთ გახსნლ საწარმოს საქმიანობას, არამედ, სხვადასხვა საშუალებებით მოიპოვებს ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ საიდუმლოებებსაც, რომლებსაც შემდეგში შეფარულად იყენებს თავის სასარგებლოდ მასთან ურთიერთობებში.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიღებაში ფრთხილი პოზიცია აქვთ განვითარებად ქვეყნებსაც. ამაში ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ „აზიის ვეფხვების“ მაგალითითაც დავრწმუნდით. აქაც „განხეთქილების ვაშლად“ ეროვნულ ეკონომიკაზე უცხოელი ინვესტორების ზედმეტი გავლენა სახელდება. მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებს (ძირითადად აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს) ისეთი დარგებიც აქვთ განსაზღვრული, სადაც აკრძალული აქვთ პირდაპირი უცხოური ინვესტირების განხორციელება (მაგალითად, სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, მედია-საშუალებებში და სხვა). მეორეს მხრივ, განვითარებად ქვეყნებს, სწორედ თავისი ეკონომიკების განვითარებისთვის არ ჰყოფნით საკუთარი დანაზოგი (ან საერთოდ არა აქვთ იგი) და სჭირდებათ უცხოური ინვესტიცია, თანაც არც თუ მცირე რაოდენობით. ასეთ მდგომარეობაშია დღეს საქართველოც. ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ამ ქვეყნებმა აღნიშნული ინვესტიციების მიღებამდე შეძლონ მისგან მოსალოდნელად მისაღები სარგებლის და ზარალის გამოანგარიშება. ეს არ არის ადვილი საქმე, რადგან ზარალიც და სარგებელიც ყოველთვის აბსოლუტურ რიცხვებში არ იზომება. მაგალითად, იტალიის მიერ ქ. ზუგდიდში დაფუძნებულ კომპანია „აგრი-ჯორჯიაში“ დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა, რომ იმაღლებს კვალიფიკაციას თხილის მოყვანის სორტირება, მარკირება, გადამუშავება და შენახვის წესებში - ეს სარგებელია, მაგრამ როგორ გადავიყვანოთ ეს აბსოლუტურ რიცხვებში? ანდა ქ. თბილისში არსებული ჰოსპიტალი „პედსიკორი“. ეს ჰოსპიტალი საქართველოს და ისრაელის ერთობლივი კლინიკაა. მასში ქართველი სპეციალისტებიც მუშაობენ და ებრაელი ექიმებიც. ეს კლინიკა არამხოლოდ იმიტომაა საქართველოში წარმატებული, რომ პაციენტთა მკურნალობის მთელი ტექნოლოგია უცხოურია, არამედ, იმითაც, რომ პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ფორმის არჩევანში პაციენტები (და მათი ოჯახის წევრები) არიან ჩართული. მართვის ეს მეთოდი საზღვარგარეთ ფართოდ არის აღიარებულიც და გავრცელებულიც. ამ მეთოდის მხარდამჭერები თვლიან, რომ იგი სარგებელს იძლევა [Зенина, Шешунов, 2014], მაგრამ რიცხობრივად როგორ განვსაზღვროთ ეს სარგებელი ამაზე ჯერ-ჯერობით პასუხს ისინი ვერ იძლევიან.

საქართველოს საინვესტიციო სააგენტო სხვადასხვა საშუალებებით აქტიურად ეძებს უცხოელ ინვესტორებს და ხშირად ყოველგვარ შემოწმება-გადამოწმების გარეშე უშვებს მათ საკუთარ ბაზარზე. მთელი ამ 30 წლის განმავლობაში ასეთი გამარტივებული წესით არა ერთი და ორი „ცრუ

ინვესტორი“ შემოვიდა საქართველოში და არცთუ მცირე ზარალი მიაყენა ქვეყანას (მართალია ამ საკითხზე ინფორმაცია კონფიდენციალურია, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი მაინც მეტ-ნაკლებად ცნობილი ხდება). ასეთ ფაქტებს იწვევს მხოლოდ პასუხისმგებელი პირების ამ საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულება, რასაც თავის მხივ, ისინი პრობლემის **სასწრაფოდ გადაწყვეტის** აუცილებლობით ხსნიან. უცხოური პირველადი ინვესტიციების ქვეყნის სამსახურში ჩაყენება რომ იწვევს მის ეკონომიკურ ზრდას, ეს აქსიომაა და მას მტკიცება არ სჭირდება. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბანდება **მნიშვნელოვანი** საქმეა. მაგრამ ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმე დროში შესრულების თვალსაზრისით იყოფა **სასწრაფო** და **არასასწრაფო მნიშვნელოვან საქმედ**. ცხადია, საქართველოსნაირ კრიზისული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში უცხოურ პირდაპირ ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღებას ორივე ეს ნიშანი აქვს - იგი მნიშვნელოვანიც არის და სასწრაფოც. საქართველოს ინვესტიციური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციური გადაწყვეტილების **სისწრაფე** საქართველში წინა პლანზეა წამოწეული მის **მნიშვნელობასთან** შედარებით. ასეთი მიდგომა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. ისინი, ჩვენი აზრით, ერთ სიბრტყეზე უნდა განიხილებოდნენ. ასე აკეთებდნენ და დღესაც ასე აკეთებენ „აზიის ქვეყნები“ და თვით იაპონია და ჩინეთი. იაპონია უცხოეთიდან დაფინანსებული თითოეული პროექტის დასაბუთებას ხშირად 2-3 წელიწადს ანდომებს.

პოლიტიკურად ისეთ არამყარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, პირდაპირი ინვესტირებას ძირითადად, ვენჩურული (რისკიანი) ინვესტორები ახორცილებენ. მათ აქ შემოსავლით სხვადასხვანაირი ზრახვები შეიძლება ჰქონდეთ, ისეთიც კი, რომელიც დაემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას [Котлер, Картаджая, Янг, 2009., с. 76]. აი, ამიტომ, საქართველოს შესაბამის ორგანოებს ევალებათ ამ საკითხის იმ რანგში აყვანა და ისე შესრულება, როგორც ამას აკეთებენ იაპონელები, ცხადია, სტრატეგიულად მოაზროვნე ექსპერტების (ეკონომისტები, იურისტები) ჩართვით.

ამ საკითხზე ყურადღებას განსაკუთრებულად იმიტომ ვამახვილებთ, რომ როგორც წესი, ვენჩურული ინვესტიცია ინოვაციების იდეების მქონე ქვეყნებში და მათ კომპანიებში შედის ამ იდეების რეალიზაციით კოლოსალური მოგების მისაღებად [Gladstone, 2002, p. 6]. ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ამ მხრივ, მეტად მიმზიდველია მათთვის. მაშინ ჩნდება კითხვა, ეს თუ ასე არ არის, მაშ, რა იზიდავს მათ საქართველოში?

ცნობილია, რომ რაც უფრო სტაბილურია ქვეყანა, მით უფრო მიმზიდველია იგი უცხოური ინვესტიციებისთვის. სწორედ მისი მასშტაბები გვიჩვენებს ინვესტიციების მიმღები ქვეყნის სტაბილურობის დონეს, მის ინვესტიციურ მიმიზდველობას და ზოგადად ეკონომიკურ პოლიტიკას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეს ის თავისუფალი კაპიტალია, რომლის მიზანმიმართული და სწორი მართვით თვით ღარიბ ქვეყანასაც კი შეუძლია ღირსეულად ჩაერთოს მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკაში და აალორძინოს თავისი ქვეყანა. მაშასადამე, სახელმწიფოს მთავრობა საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორია [ტაბატაძე. 2016. გვ. 312]. რადგან საქართველო ჯერ კიდევ ეკონომიკის ბევრ სექტორში (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, სამთო-მოპოვებით და გადამამუშავებელ მრეწველობაში) და ზოგიერთ რეგიონში (საქართველოს მთიანი მხარეები - თუშეთი, სვანეთი, აჭრის მთიანეთი, ხევსურეთი და სხვა) განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას, ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ამ დეფიციტის შევსებაზე. დარგებიდან განსაკუთრებული შველა სჭირდება სოფლის მეურნეობას, რეგიონებიდან კი, მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონს, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის და კახეთის, აჭარის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მთიან მხარეებს, კერძოდ, თუშეთს, აჭარის მთიანეთს და სვანეთს. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ამ რეგიონებში (და მხარებში) დაბანდებას საქართველოს მთავრობის მხრიდან ისეთივე მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარება სჭირდება, როგორსაც ახორციელებდა გერმანია თავის სტრუქტურულად სუსტ რეგიონებში - ბავარიაში, ემსლანდა და ზაარლანდში ინვესტიციების ხელშესაწყობად. ეს ღონისძიებებია [კლემპი რ. 2013. გვ. 164]: გადასახადებიდან განთავისუფლება, საკუთრების სამართლებრვი დაცვის მაღალი საიმედოობა, სატრანსპორტო გადაზიდვებზე ტარიფების შემცირება და სხვა. სტიმულირების ამ ინსტრუმენტების

ამოქმედებამ მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა ინვესტორებს მეტი კაპიტალი დაებანდებინათ გერმანიის ზემოთდასახელებულ მხარეებში.

დღეს საქართველოში არსებული საინვესტიციო ვითარება ძნელად შესაფასებელია. ქვეყანა პოლიტიკურად მეტად არამდგრადია; ფაქტიურად თითოეული უცხოელი ინვესტორი საქართველოში საკუთარი კაპიტალის ინვესტირებით დიდ რისკზე მიდის, მაგრამ მეტ-ნაკლებად ინვესტირებას მაინც ახორციელებს. საქართველოშიც სწორედ მისი ასეთი მატება-კლების მონაცვლეობა შეინიშნება.

ცხრილი 1 გვიჩვენებს, საქართველოში განხორციელებულ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების მოცულობას და სტრუქტურას ქვეყნების ჯგუფების ჭრილში. ცხრილიდან ჩანს, რომ 2010 წლიდან 2020 წლამდე, ანუ „კოვიდ-19“-ის პანდემიის დაწყებამდის საქართველოში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 66,2%-ით არის გაზრდილი. ეს ზრდა შეეხო მხოლოდ ევროკავშირს და დსთ-ის ქვეყნებს. პირველი გაიზარდა 74,2%-ით, მეორე - 69,3%-ით.

2020-2021 წლებში, როცა მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და დაიწყო საზღვრების ჩაკეტვა, ბუნებრივია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა. 2020 წელს მან შეადგინა - 595257 ათასი აშშ დოლარი, ანუ 2019 წლის მხოლოდ 44%, 2021 წელს კი, მისი - 92,5% (1252729 ათასი აშშ დოლარი), ანუ 2021 წლიდან „კოვიდ-19“-ით გამოწვეული შეზღუდვების შემცირების კვალობაზე საქართველოში დაიწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინების მატება და 2022 წელს მან 2097898 ათას აშშ დოლარს მიაღწია. მასში 46% ეკავა ევროკავშირს, 8% - დსთ-ის ქვეყნებს, 46% სხვა ქვეყნებს, ხოლო - 0,8% დანარჩენ ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**ცხრილი 1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა საქართველოში მსოფლიოს ქვეყნების გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით**

| | 2010 | 2019 | 2020 | 2022 | 2023 | დინამიკა (%-ში) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2010-2019 წ.წ. | 2022-2023 წ.წ. |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სულ (ათასი აშშ დოლარი) | 814497 | 1354093 | 595257 | 2097898 | 1594746 | 166,2 | 76 |
| მათ შორის:<br>1. **ევროკავშირის ქვეყნები:** | | | | | | | |
| ათასი აშშ დოლარი | 248211 | 432486 | 338679 | 963392 | 524873 | 174,2 | 54,4 |
| ხვ. წონა (%) | 30,4 | 32,0 | 57,0 | 45,9 | 33,0 | - | - |
| 2. **დსთ-ის ქვეყნები:** | | | | | | | |
| ათასი აშშ დოლარი | 91156 | 154368 | 56534 | 167971 | 218890 | 169,3 | 130 |
| ხვ. წონა (%) | 11,2 | 11,4 | 9,5 | 7,2 | 13,7 | - | - |
| 3. **სხვა ქვეყნები:** | | | | | | | |
| ათასი აშშ დოლარი | 429944 | 760355 | 198587 | 965205 | 138645 | 177 | 14,3 |
| ხვ. წონა (%) | 52,7 | 56,0 | 33,3 | 46,0 | 8,7 | - | - |
| 4. **დანარჩენიქვეყნები:** | | | | | | | |
| ათასი აშშ დოლარი | -35 | 14904 | 3253 | 14474 | 712338 | - | 492 |
| ხვ. წონა (%) | - | 1,0 | 0,5 | 0,8 | 44,5 | - | - |
| 5. **საერთაშორისო ორგანიზაციები:** | | | | | | | |
| ათასი აშშ დოლარი | 45186 | 6884 | 1458 | 1330 | -79293 | 15,2 | - |
| ხვ. წონა (%) | 5,5 | 0,5 | 0,2 | 0,1 | - | - | - |

2010-2022 წლების პერიოდში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების თვალსაზრისით 2022 წელი იყო ყველაზე მასშტაბური, ყველაზე პროდუქტიული. იგი წინა წლების ინვესტიციებს აღემატებოდა:2006 წელს - 1,8-ჯერ, 2008 წელს - 1,3-ჯერ, 2010 წელს - 2,5-ჯერ, 2012 წელს - 2,3-ჯერ, 2014 წელს - 1,2-ჯერ, 2015 წელს - 1,3-ჯერ, 2017 წელს - 3,5-ჯერ, 2018 წელს - 1,6-ჯერ, 2019 წელს - 1,6-ჯერ, 2020 წელს - 3,5-ჯერ,2 021 წელს - 1,7-ჯერ. ჩვენი აზრით, ეს აღმასვლა 2023 წელშიც გაგრძელდებოდა, რომ საქართველოში ყოფილიყო მშვიდი პოლიტიკური გარემო. სამწუხაროდ, ასე არ იყო არც 2023 წელს და ასე არ არის არც მიმდინარე წელს. სწორედ ამ მიზეზით 2023 წელს საქართველოში შემოვიდა 24%-ით ნაკლები უცხოური პირდაპირი ინვესტიცია 2022 წელთან შედარებით. ეს შემცირება არ შეხებია დსთ-ის ქვეყნებს და სხვა ქვეყნების ჯგუფს. იგი რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ინვესტიციების შემცირება მთელი 45,6%-ით მოხდა ევროკავშირის ქვეყნებიდან. ეს იმ ქვეყნების ჯგუფია, რომელთანაც 2014 წელს დაიდო ასოცირების შეთანხმება ღრმა, ყოვლისმომცველი თავისუფალი თანამშრომლობის შესახებ. ეს შეთანხმება ეხება ევროკავშირ-საქართველოს შორის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ თანამშრომლობასაც (კარი V), რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ინვესტიციური საქმიანობა წარმოადგენს. დასახელებულ შეთანხმებაში ამ მიმართულებით ვკითხულობთ, რომ იგი ხელს შუწყობს „ინვესტორების ეფექტიან და ადექვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას“ [საქართველო-ევროკავშირის... 2014, გვ. 15]. შეთანხმების სტრუქტურულ ჩამონათვალში ინვესტიციური თანამრომლობა არ არის ნახსენები, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდა ჩვენს მიერ ზევით აღნიშნულისა, მხარეებს ამ სფეროში ურთიერთვალდებულებები არ აქვთ აღებული. ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, რადგან დასახელებული შეთანხმება მიზნად ისახავდა ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვანი მექანიზმების შექმნას, და, ამ მიმართულებით კიდევ გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები მართლმსაჯულების სფეროში, კონფლიქტების მოგვარებაში, საგარეო ვაჭრობაში, კორუფციის აღკვეთაში და სხვაგან [ლაპიაშვილი, 2019, გვ. 40], საქართველოს საზოგადოებას ჰქონდა (და აქვს დღესაც) იმის მოლოდინი, რომ აღნიშნული დაახლოება, ანუ მეზობლობის განმტკიცება პოზიტიურად აისახებოდა ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მოცულობაზეც. 2022 წელს ეს მოხდა კიდეც. ამ წელს ევროკავშირიდან საქართველოში შემოვიდა 963392 ათასი აშშ დოლარი ინვესტიცია, რაც 4-ჯერ აღემატებოდა 2010 წლის მაჩვენებელს და თითქმის 3-ჯერ 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ამის გარდა, რომ 2010-2022 წლების პერიოდში ეს იყო შემთხვევა, რომლის დროსაც ევროკავშირი თავისი ხვდრითი წილით (45,9%) საქართველოში შემოსულ პირდაპირ უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში თითქმის დაეწია სხვა ქვეყნების ჯგუფის წილს (46%), რომლებიც წინა წლებში ყოველთვის სჯობნიდნენ მას (გამონაკლისი იყო მხოლოდ 2020 წელი). ამ წელს ევროკავშირიდან საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ექსპორტის მოცულობით პირველ ათეულში მოხვდნენ [საქართველოს სტატისტიკური... 2023, გვ. 277-278]:

1. ესპანეთი (360472 ათასი აშშ დოლარი).
2. ნიდერლანდები (360472 ათასი აშშ დოლარი).
3. ირლანდია (120556 ათასი აშშ დოლარი).
4. ჩეხეთი (84473 ათასი აშშ დოლარი).
5. მალტა (39017 ათასი აშშ დოლარი).
6. გერმანია (33337 ათასი აშშ დოლარი).
7. ავსტრია (22778 ათასი აშშ დოლარი).
8. ესტონეთი (200057 ათასი აშშ დოლარი).
9. დანია (17632 ათასი აშშ დოლარი).
10. (ლუქსემბურგი (14017 ათასი აშშ დოლარი).

ამ ქვეყნებმა ევროკავშირიდან საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებში 94,3%

დაიკავეს, ხოლო საქართველოს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში - 43,3%. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან ამ მაჩვენებლით 2022 წელს წინა პლანზე იდგნენ:

- გაერთიანებული სამეფო (436954 ათასი აშშ დოლარი).
- აშშ (76496 ათასი აშშ დოლარი).
- რუსეთი (108118 ათასი აშშ დოლარი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით 2023 წელს საქართველოში ვითარება მკვეთრად გაუარესდა. წინა წელთან შედარებით პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება მთლიანად 24%-ით შემცირდა. 45,6%-ით შემცირდა ევროკავშირიდან საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების იმპროტი და მისი როლიც საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების საერთო მოცულობაში 94,3%-დან 33%-მდე დაეცა. მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა სხვა ქვეყნების ჯგუფიდან შემოსულ ინვესტიციებშიც. მისმა დონემ წინა წელთან შედარებით, მხოლოდ 14,3% შეადგინა.

ევროკავშრიდან საქართველოში ინვესტირების პირველ ათეულში მოხვედრილ ქვეყნებსაც შეეცვალათ ადგილები: ესტონეთი, ლუქსემბურგი და ირლანდია საერთოდ ამოვარდნენ ამ ათეულიდან და მათი ადგილები დაიკავეს საფრანგეთმა, დანიამ და შვეიცარიამ. ნიდერლანდებმა დაიკავა პირველი ადგილი (მეორეს ნაცვლად), მალტამ - მეორე ადგილი (მეხუთის ნაცვლად), ჩეხეთმა - მეექვსე ადგილი (მეოთხეს ნაცვლად), ავსტრია დარჩა კვლავაც მეშვიდე ადგილზე, ესპანეთმა მეოთხე ადგილი (პირველის ნაცვლად). ამ ათეულში ახლად შემოვიდნენ შვეიცარია და ლატვია და შესაბამისად დაიკავეს მესამე და მეცხრე ადგილები (იხ. იცხრილი 2).

ამ ათმა ახალმა ათეულმა ევროკავშირიდან საქართველოში 2023 წელს შემოსულ პირდაპირ ინვესტიციებში დაიკავა 93,9%, ხოლო საქართველოში შემოსულ პირდაპირ ინვესტიციების საერთო მოცულობაში - 32,9%. წინა წელთან შედარებით ერთიც შემცირებულია და მეორეც.

**ცხრილი 2. 2023 წელს ევროკავშირიდან საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების შემოტანით მოწინავე ქვეყნების ათეული**

| ადგილების განაწილება | ქვეყნის დასახელება | საქართველოში შემოტანილი პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა (ათასი აშშ დოლარი |
|---|---|---|
| 1 | ნიდერლანდები | 360501 |
| 2 | მალტა | 80022 |
| 3 | შვეიცარია | 34484 |
| 4 | ესპანეთი | 33840 |
| 5 | გერმანია | 21850 |
| 6 | ჩეხეთი | 16460 |
| 7 | ავსტრია | 14545 |
| 8 | საფრანგეთი | 10497 |
| 9 | ლატვია | 9366 |
| 10 | დანია | 8610 |

მსოფლოს დანარჩენი ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მოცულობით კვლავაც პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო (391967 ათასი აშშ დოლარი, მეორე ადგილი დაიკავა თურქეთმა (168 827 ათასი აშშ დოლარი), ხოლო მესამე აშშ-მა (153548 ათასი აშშ დოლარი).

ამრიგად, 2023 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში საქართველოსა და უცხოეთის ქვყნებს შორის ურთიერთობაში მეტად არსებითი ნეგატიური ცვლილება დაფიქსირდა, კერძოდ, 2022 წელთან შედარებით, 503150 ათასი აშშ დოლარით შემცირდა უცხოური პირდაპირი

ინვესტიცია, რომელიმაც, ცხადია, გარკვეულად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის განვთარება.

ჩვენი აზრით, პირველი და ძირითადი მიზეზი, რაც საქრთველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების მასშტაბზე უარყოფითად მოქმედებს არის ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ანუ არამიმზიდველი საინვესტიციო გარემო. ყველა დანარჩენი მიზეზი - საკუთრების დაუცველობა, დაბალი მოტივაცია, კორუფცია და სხვა - ქვმიზეზებია და თუ ძირითდი მიზეზი, მარტივად მოგვარდება, აღმოიფხვრება ქვემიზეზიც.

**დასკვნა**

საქართველოს საინვესტიციო საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ამის მიზეზია შიდა დანაზოგის ნაკლებობა. ასეთ დროს ქვეყნის განუხრელი ზრდისთვის, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ არის საკმარისი. საქართველოს პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, უცხოელი ინვესტორები პერიოდულად თავს იკავებენ ან ამცირებენ საქართველოში ინვესტირების მოცულობას. დღეს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული ამოცანაა, რათა აღმოფხვრას არასტაბილურობის მიზეზები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008.
2. Маколиз Д. Экономика бизнеса. М., 2007. с.556.
3. შუბლაძე გ., მესხია ი. და სხვები. საერთაშორისო მენეჯმენტი. თბ., 2012.
4. ბერუაშვილი ბ. საინვესტიციო საქმიანობა სამშენებლო სფეროში. დისერტაცია. 2015.
5. ქოქიაური ლ. ინვესტიციური პროექტები. 2007.
6. Зенина Л. и др.. Экономика и управление здравохранении. М., 2014.
7. Котлер Ф. и др. Привлечение инвесторов. М., 2009.
8. Gladstone D., Dladstone L. Venture Capital Handbook: An Entrepreneur’s Gulde to Raising Venture Capital, Upper saddle River, NJ: Prentice Hall. 2002.
9. ტაბატაძე მ. საინვესტიციო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგი. 2016.
10. კლუმპი რ. ეკონომიკური პოლიტიკა. 2013.
11. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2023.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2005.
13. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი“.თბ., 2014.
14. ლაპიაშვილი ნ. ევროკავშირი საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს. ჟ. „ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი“. #4-5. 2018-2019.
15. ჟორჟიკაშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ჟ. „ეკონომისტი“. #1. 2024.

**REFERENCES:**

1. Mankiw G. Principles of economics. Tb., 2008.
2. Маколиз Д. Экономика бизнеса. М., 2007. с.556.
3. Shubladze G., Meskhya I. and others. International management. Tb., 2012.
4. Beruashvili b. Investment activity in the field of construction. thesis. 2015.
5. Kokiauri L. investment projects. 2007.
6. Зенина Л. и др.. Экономика и управление здравохранении. М., 2014.
7. Котлер Ф. и др. Привлечение инвесторов. М., 2009.
8. Gladstone D., Dladstone L. Venture Capital Handbook: An Entrepreneur’s Gulde to Raising Venture Capital, Upper saddle River, NJ: Prentice Hall. 2002.

9. Tabatadze M. Investment environment and international ranking of the country. 2016.
10. Klump R. Economic policy. 2013.
11. Statistical Yearbook of Georgia. Tb., 2023.
12. Statistical Yearbook of Georgia. Tb., 2005.
13. "Georgia-EU Association Agreement Guide". Tb., 2014.
14. Lapiashvili N. The European Union calls for the improvement of the justice system of Georgia. J. "Georgian Journal of European Studies". #4-5. 2018-2019.
15. Zhorzhikashvili N. The influence of direct foreign investments on the economy of Georgia. J. "economist". #1. 2024.

# THE CURRENT STATE OF GEORGIA'S INVESTMENT RELATIONS WITH FOREIGN COUNTRIES AND THE WAYS TO IMPROVE IT

**Levan Kereselidze**
Doctor of Business Administration,
TSU invited professor
E-mail: levan.kereselidze@tsu.ge

**RESUME**

The article - **"The current state of Georgia's investment relations with foreign countries and ways to improve it"** - presents the volume, dynamics, structure of foreign direct investments in Georgia during the period of 2010-2023 and evaluates it.

The issue of foreign direct investment is a very problematic topic all over the world. France, Great Britain, Germany and Spain restrict capital investments in their country from other countries. Developing countries also have a cautious position in this matter. There are countries where foreign investment is prohibited in certain sectors.

The article mentions that although Georgia does not have its own savings and needs foreign investments to invest, it should be very careful about each project selected by foreign investors in Georgia and scrupulously study the interest that these investors have in Georgia.

According to the author of the article, it is desirable for the Georgian government to prioritize the financing of Georgian agro-sector projects and less developed regions and parts of Georgia (Racha-Lechkhumi, Tusheti, Khevsureti, etc.) in negotiations with foreign investors.

Georgia is a politically unstable country. This makes it unattractive to foreign investors. In 2023, compared to 2022, the direct foreign capital entered Georgia by 24% less, the author believes that the unstable environment of the country is the reason for this, and he calls on the government to eliminate its causes.

**Key words:** investment relations; foreign direct investments (FDI); investment environment.

# საინტერესო მონოგრაფია

გამოვიდა პროფ. **მარინა ტაბატაძის** სამეცნიერო მონოგრაფია - **„სახელმწიფოს პოსტკრიზისული სტრატეგია"**. ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე გლობალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს, - განვითარების დისპროპორციებს და რეცესიას, ეკონომიკურ კრიზისებს და კრიზისის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგიას. მონოგრაფიაში ქრონოლოგიურად არის ასახული პანდემიური კრიზისის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებები, ეკონომიკური რეფორმების სახელმწიფო სტრატეგია და განვითარების ტენდენციები საქართველოში. წიგნი წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც გაანალიზებულია ის უაღრესად რთული გზა, რაც განვლო ჩვენმა ქვეყანამ კრიზისის შემდგომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით და ის წარმატებული სტრატეგია, რომელმაც საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი გახადა მსოფლიო ეკონომიკისათვის და რამაც მყარი საფუძველი შეუქმნა გლობალურ სამყაროში მის წარმატებულ პოზიციონირებას.

თანამედროვე მსოფლიოს დესტაბილიზაცია და კრიზისების გამწვავება ახასიათებს, რაც აქტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაზე, იწვევს რა არასტაბილურობას სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, აქტუალური ხდება აღნიშნული კრიზისების პრევენციის, მისი მართვის მეთოდების და ეკონომიკური რყევის უარყოფითი შედეგების შემცირების პრობლემების კვლევა, სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი როლისა და მისი ეფექტიანი მართვის საკითხების შესწავლა.

ქვეყნების მომავალი განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან სწორი ადაპტირების უნარზეა დამოკიდებული, რასაც ეკონომიკურ დისპროპორციებზე ხელისუფლების ეფექტიანი რეაგირების და განვითარების ოპტიმალური პროგნოზირების უნარი განსაზღვრავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნაშრომში განხილულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მმართველობითი სტანდარტები და მისი სტაბილური განვითარების სტრატეგიები, კრიზისულ გარემოში გლობალური ეკონომიკური სისტემების სწორი კოორდინირების და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ცალკეულ დონეს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები.

პანდემიურმა კრიზისმა განსაკუთრებით გაამწვავა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროცესი, მნიშვნელოვნად შეაფერხა იგი და უმძიმესი გავლენა მოახდინა როგორც ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობის კეთილდღეობასა და ცხოვრების დონეზე. გაზრდილმა ინფლაციამ, უმუშევრობამ, სახელმწიფო ვალმა, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენა ხელისუფლებას და მისი ფუნქციების მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა. კრიზისის გლობალურმა ხასიათმა ეროვნული ანტიკრიზისული სტრატეგიების კოორდინაცია და მართვის ერთიანი სტანდარტების დაწესება მოითხოვა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ხელისუფლების როლი კრიზისის ეფექტიანი მართვის და მის შემდგომ პერიოდში მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკის რეაბილიტაციის სტრატეგიის განსაზღვრაში. მსოფლიოს დაბალანსებული განვითარების აუცილებლობამ გლობალურ გარემოში ეკონომიკის მართვის უნიფიცირებული სტანდარტების შემუშავება და ქვეყნების ეროვნული ანტიკრიზისული პოლიტიკის ურთიერთკოორდინირება მოითხოვა, ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეროვნული ეკონომიკის რეგულირების და სტაბილიზაციის პროცესში.

აღნიშნული საკითხების შესწავლა დაედო საფუძვლად მ. ტაბატაძის მონოგრაფიას, მასში პანდემიური კრიზისის დესტრუქციული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეფასებულია საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული სტრატეგია, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კრიზისის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის მართვის სახელისუფლებო პლატფორმას,

მის ძირითად მიმართულებებს და მექანიზმებს. კრიზისის მართვის ქართული სტრატეგია პრეცედენტული აღმოჩნდა დანარჩენი მსოფლიოსათვის თავისი დადებითი შედეგებით და მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაკეთებული ყველაზე პოზიტიური დასკვნებით. საქართველოს ხელისუფლების მიერ კრიზისიდან გამოსვლის და მის შემდგომ პერიოდში გატარებული უაღრესად წარმატებული ეკონომიკური სტრატეგია აქტუალურია თანამედროვე თეორიული კვლევებისთვის, მას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გლობალური ეკონომიკისთვის ოპტიმალური პოსტკრიზისული სტრატეგიის შემუშავების, მისი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის და შედეგების განზოგადების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების შეფასება გლობალურ პროცესებთან მიმართებაში, შესაბამისად, უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული სტანდარტების კვლევა, ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამების ანალიზი საქართველოსა და ცალკეული ქვეყნის მაგალითზე. ზოგადად, ნაშრომის ერთ-ერთ დამსახურებას, სწორედ, ეროვნული და მსოფლიო პროცესების დროსა და სივრცეში პარალელური განხილვა შეადგენს, რაც განსაკუთრებით ამაღლებს წიგნის როგორც თეორიულ, ისე, პრაქტიკულ მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში და, კონკრეტულად, ეკონომიკური კრიზისის ფორმირების პრევენციის საკითხში.

წიგნში ფართოდ არის გაანალიზებული კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური არსი, მისი ფაქტორები, ძირითადი ნიშნები, მიმდინარეობის ტენდენციები და კრიზისების მართვის თანამედროვე მეცნიერული მიდგომები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პანდემიური კრიზისის მართვის ერთიანი გლობალური სისტემის ანალიზი და ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი უნიკალური ისტორიული მასალა. ნაშრომში დეტალურად არის განხილული საქართველოში კრიზისის მართვის მხარდაჭერის საერთაშორისო პროგრამები, მისი უნიკალური მასშტაბები და შედეგები, რითაც ხაზგასმულია კრიზისთან ბრძოლის ერთიანი სტანდარტების უპირატესობა და მათი ეფექტური გამოყენების უნარი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რამაც შესაძლებელი გახადა პოსტპანდემიურ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპების მიღწევა და საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგების მოპოვება.

საინტერესოდ არის წარმოდგენილი კრიზისის მართვის სახელმწიფო მექანიზმები: ანტიკრიზისული მონეტარული სტრატეგია საქართველოში და სავალუტო ბაზრის წონასწორობის საკითხები, კრიზისის მართვის და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ფისკალური მექანიზმები, ანტიკრიზისული რეგულირების ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენების სტანდარტები და შესაძლებლობები. მონოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის შეფასებას და დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრას, საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განხილვას და საექსპორტო წარმოების უპირატესი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების ანალიზს.

ავტორის მიერ შედგენილია ეკონომიკის ფისკალური და მონეტარული მდგრადობის ზოგადი **ჩარჩო-სტანდარტები**, რაც სხვადასხვა სახის კრიზისული პროცესის კორექტირების და ოპტიმალური მართვის საშუალებას იძლევა. ამ მიზნით შერჩეული ოთხი სტანდარტული სიტუაციისათვის (ინფლაციის მართვა, ეკონომიკური ზრდა, საპროცენტო განაკვეთის რეგულირება, ბიუჯეტის დეფიციტის მართვა) კრიზისის რეგულირების კლასიკურ სტანდარტებთან ერთად, ავტორის მიერ განისაზღვრა ლოკალურ გარემოში ინდივიდუალური მმართველობითი გადაწყვეტილებების და დიფერენცირებული ინსტრუმენტების გამოყენების არეალი, ასევე, საბაზრო წონასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები. სწორედ ეს საკითხი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით და წარმოადგენს პრაქტიკულ რეკომენდაციას მმართველობითი სტრუქტურებისთვის.

მ. ტაბატაძის მონოგრაფიას „სახელმწიფოს პოსტკრიზისული სტრატეგია“ არსებითი როლი მიუძღვის კრიზისების რეგულირების უნიფიცირებული სტანდარტების შემუშავებასა და ეკო-

ნომიკის დაბალანსებული განვითარების სტრატეგიის შექმნაში, მას მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს სახელმწიფოს ეკონომიკის მარეგულირებელი ფუნქციების განმსაზღვრელი ინსტიტუციებისთვის, კრიზისების მართვის საკითხებით დაინტერესებული საჯარო სტრუქტურებისა და სამეცნიერო საზოგადოებისათვის. წიგნი დაეხმარება ეკონომიკური ზრდის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებს ქვეყნის განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრასა და მისი რეალიზებისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავებაში.

მარინა ტაბატაძის მონოგრაფია **„სახელმწიფოს პოსტკრიზისული სტრატეგია“** ფუნდამენტური ეკონომიკური პროფილის ნაშრომია, იგი არსებითი შენაძენია ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის, ხელისუფლებისათვის, მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი მონოგრაფია თავისი მასშტაბით, სიღრმით და აქტუალობით ერთ-ერთი საუკეთესოა ბოლო პერიოდის ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, მომავალში მისი გაგრძელება მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ეროვნული მეცნიერებისთვის, არამედ გლობალური ეკონომიკური კვლევებისა და ერთობლივი სახელისუფლებო-სამეცნიერო აქტივობებისთვის. ვულოცავთ ქალბატონ მარინას წარმოდგენილი მონოგრაფიის გამოცემას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სახელმწიფოს ეკონომიკური არსის მეცნიერული შესწავლის მიმართულებით.

**რუსუდან ქუთათელაძე**
ემდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

# სამეცნიერო სტატიის
# წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

*ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში:* ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენთიფიკატორი-* ***DOI***), ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

**სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს სტატიის ფარულ რეცენზირებას. იბეჭდება დადებითი რეცენზიის მიმღები სტატია.**

### პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭდვა ჟურნალში.

### სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

**რეზიუმე** ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

**საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

# PUBLICATION REQUIREMENTS
# FOR SCIENTIFIC ARTICLES:

*The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: **CROSSREF** (assigned an unique International Digital Identifier - **DOI**), **https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

**The Editorial Board provides blind review of the articles. The article with positive review is published.**

## PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

## THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

**Resumes** must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

**Key words** in Georgian and English languages;

**Title** of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**
**Тел. 599 56-90-78**
**economics.bpengi.com**
**E-mail: economica_2008@yahoo.com**
**E-mail: economica_1918@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 20.06.2024 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.07.2024 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361